

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
სატრანსპორტო და მანქანათმშენებლობის ფაკულტეტი

ISSN 1512-3537

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა

№1 (41) 2018

სასწავლო – მეთოდური და
სამეცნიერო – კვლევითი ნაშრომების კრებული



გამომცემლობა „ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა“

თბილისი 2018

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა
ТРАНСПОРТ И МАШИНОСТРОЕНИЕ
TRANSPORT AND MACHINEBUILDING

სარედაქციო კოლეგია

პროფ. იოსებ ბაციკაძე; პროფ. ზურაბ ბოგველიშვილი; პროფ. ნათია ბუთხუზი; პროფ. ალექსი ბურდულაძე; პროფ. ოთარ გელაშვილი (მთავარი რედაქტორი); პროფ. მერაბ გოცაძე; პროფ. დავით თავხელიძე; პროფ. ჯუმბერ იოსებიძე; პროფ. სერგო კარიბიძისი; პროფ. ვასილ კოპალეიშვილი; პროფ. თამაზ მეგრელიძე; პროფ. მანანა მოისრაფიშვილი; პროფ. ენვერ მოისრაფიშვილი; პროფ. თამაზ მორჩაძე; პროფ. თამაზ მჭედლიშვილი; პროფ. გოდერძი ტყეშელაშვილი; პროფ. ჯუმბერ უფლისაშვილი (დამფუძნებელი და გამომცემელი); პროფ. არჩილ შრანგიშვილი (მთავარი რედაქტორის მოადგილე); პროფ. ავთანდილ შარვაშიძე; პროფ. მიხეილ შილაკაძე; პროფ. მერაბ შვანგირაძე; პროფ. ზაურ ჩიტაძე; პროფ. დავით ძოცენიძე; პროფ. გია ჭელიძე.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ

проф. Иосеб Басикадзе; проф. Зураб Богвелишвили; проф. Натиа Бутхузи; проф. Алексей Бурдуладзе; проф. ОТАР ГЕЛАШВИЛИ (главный редактор); проф. Мераб Гоцадзе; проф. Давит Тавхелидзе; проф. Джумбер Иосебидзе; проф. Серго Карипидис; проф. Василий Копалеишвили; проф. Тамаз Мегрелидзе; проф. Манана Моисрапишвили; проф. Енвер Моисрапишвили; проф. Тамаз Морчадзе; проф. Тамаз Мчедлишвили; проф. Годердзи Ткешелашвили; проф. ДЖУМБЕР УПЛИСАШВИЛИ (основатель и издатель); проф. АРЧИЛ ПРАНГИШВИЛИ (зам. главного редактора); проф. Автандил Шарвашидзе; проф. Михаил Шилакадзе; проф. Мераб Швангирадзе; проф. Заур Читидзе; проф. Давид Дзоценидзе; проф. Гия Челидзе.

EDITORIAL BOARD

Prof. Ioseb Bacikadze; Prof. Zurab bogvelishvili; Prof. Natia Butkhuzi; Prof. Alexy Burduladze; Prof. OTAR GELASHVILI (editor-in-chief); Prof. Merab Gotsadze; Prof. Davit Tavkheldize; Prof. Jumber Iosebidze; Prof. Sergo Karibidisi; Prof. Vasil Kopaleishvili; Prof. Tamaz Megrelidze; Prof. Manana Moistsrapishvili; Prof. Enver Moistsrapishvili; Prof. Tamaz Morchadze; Prof. Tamaz Mchedlishvili; Prof. Goderdzy Tkeshelashvili; Prof. JUMBER UPLISASHVILI (Constituent and editor); Prof. ARCHIL PRANGISHVILI (deputy editor-in-chief); Prof. Avtandil Sharvashidze; Prof. Mikheil Shilakadze; Prof. Merab Shvangiradze; Prof. Zaur Chitidze; Prof. David Dzotsenidze; Prof. Gia Chelidze.

ჟურნალის გრაფიკული უზრუნველყოფის პროცესში აქტიურ მონაწილეობას ღებულობს საგამომცემლო ტექნოლოგიების სპეციალობის სტუდენტი **მაქსიმე წულაია**

В процессе графического обеспечения журнала активное участие принимает студент специальности издательской технологии **Максима Цулаия**

In the journal graphical design process take active participation student of publishing technology **Maksime Tsulaia**

რედაქტორი: პროფ. **თეა ბარამაშვილი**
редактор: проф. **ТЕА БАРАМАШВИЛИ**
editor: Prof. **TEA BARAMASHVILI**

რედაქციის მისამართი: თბილისი, კოსტავას 77
Адрес редакции: Тбилиси, Костава 77
Address of the editorial office: 77 Kostava Str., Tbilisi, Georgia

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

http://gtu.ge/Stmm/Faculties/jurnali_transporti_manqanatmshenebloba.php

ციფრული ბიბლიოთეკა "ივერიელი" (საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა)

<http://dspace.nplg.gov.ge/handle/1234/248720>

Tel: +995 599 56 48 78; +995 551 611 611

შინაარსი

გოგორწყვილებისა და რელსების დაზიანების დიაგნოზირების ახალი სისტემა ნ. მღებრიშვილი, გ. მღებრიშვილი, ა. შარვაშიძე, ნ. კუტუბიძე, ლ. კურახჩიშვილი, მ. ტატანაშვილი	5
Анализ формирования и оценка производственного потенциала предприятия Пак Хе Сун, Куприн А. А.....	15
სამგანზომილებიანი მოდელირება და მისი ფუნდამენტური წესები ლ. მიქელაძე	23
შემოქმედებითი აზროვნება ლ. მიქელაძე	29
ფასიანი ქალაქების ბეჭდვის ტექნოლოგიების ეკონომიკური ეფექტიანობა ჯ. უფლისაშვილი, ნ. ნათბილაძე, თ. ბარამაშვილი, ნ. წიფწივაძე	37
ქართული მეღვინეობისთვის განკუთვნილი სარეკლამო პროდუქციის კონსტრუირება და ტექნოლოგია ჯ. უფლისაშვილი, ნ. ნათბილაძე, მ. ყიფშიძე, ა. იორამაშვილი	43
ბავშვთა კვების სარეკლამო-შესაფუთი ნაწარმის დამზადების ეკონომიკური ეფექტიანობის დასაბუთება ჯ. უფლისაშვილი, ნ. ნათბილაძე, მ. ყიფშიძე, გ. მეტრეველი	51
არაბლანტი ნავთობპროდუქტების გადასაზიდი ცისტერნების დამცავ-შემშვები სარქველების კვლევა თ. გრიგორაშვილი, მ. გრიგორაშვილი	57
რკინიგზის მოძრავი შემადგენლობის ინდივიდუალური რესურსის მართვა ექსპლუატაციაში თ. გრიგორაშვილი, ვ. აბულაძე	66
სატვირთო ვაგონების სარემონტო დეპოს მუშაობის შეფასების ძირითადი კრიტერიუმები თ. გრიგორაშვილი, ვ. აბულაძე	75
ПОВЫШЕНИЕ ЭНЕРГЕТИЧЕСКИХ ПОКАЗАТЕЛЕЙ ЭЛЕКТРОПОЕЗДОВ ПОСТОЯННОГО ТОКА ТИПА ЭР-2, ЭР-22 Кариписиде С.И., Шарвашидзе А.М., Саникидзе Дж.К., Чичуа Л.З., Схиртладзе Ю.П.	85
ЭР-2 და ЭР-22 ელექტრომატარებლების ტირისტორული სქემით სიჩქარის რეგულირებისას ფილტრის და საკომუტაციო კონტურის პარამეტრების გაანგარიშების მეთოდი ს. კარიპიდისი, ა. შარვაშიძე, ჯ. სანიკიძე, ლ. ჩიჩუა, ი. სხირტლაძე	102
ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ეფექტურობა საქართველოს ორგანიზაციებში ნ. სებისკვერაძე	117
ინვესტიციების პრობლემატიკა საქართველოს მრეწველობაში გ. ტყემელაშვილი, ნ. ხითარიშვილი	126

საბაზრო ინფრასტრუქტურა და მრეწველობის ინვესტირება საქართველოში გ. ტყეშელაშვილი, ნ. ხითარიშვილი	136
საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის შესაძლებლობები და მიღწევები შ. მინდიაშვილი, ვ. რევიშვილი	146
რისკების შეფასება მულტიმოდალურ გადაზიდვებში ვ. ხარიტონაშვილი, დ. აშოთია	153
დამუხრუჭების პარამეტრების სიდიდის გავლენა ავტოტექნიკური ექსპერტიზის დასკვნაზე ვ. ხარიტონაშვილი, პ. ჭანია	163
ინვესტიციების გამოყენების ეფექტურობა და მისი პროგნოზირება ი. ამანათაშვილი, ნ. ელაშვილი, მ. ამანათაშვილი	169
სუბლიმაციური შრობის ანალიზი ი. ჩაჩავა	178
ОПЫТ СУШКИ СЕЛЬСКОХОЗЯЙСТВЕННОЙ ПРОДУКЦИИ И ОПРЕДЕЛЕНИЕ КПД ПОЛИКАРБОНАТНОЙ СУШИЛЬНОЙ УСТАНОВКИ И. Чачава, К. Арчвадзе	193
ავტორთა საყურადღებოდ	200



უკ 656.259.1

გოგორწყვილებისა და რელსების დაზიანების დიაგნოზირების
ახალი სისტემა

ნ. მღებრიშვილი, გ. მღებრიშვილი, ა. შარვაშიძე, ნ. კუტუბიძე,

ლ. კურახჩიშვილი, მ. ტატანაშვილი

(სტატია მომზადებულია რუსთაველის სამეცნიერო ფონდის

მხარდაჭერით [გრანტის ნომერი DI/16/4-140/14])

რეზიუმე: ჩატარებულია მატარებელთა უსაფრთხო მოძრაობის პრობლემების მიმოხილვა. ანალიზური კვლევების საფუძველზე განისაზღვრა და გრაფიკულად შემუშავდა გოგორწყვილის ბრუნვის სიჩქარის დამოკიდებულება იმპულსების რაოდენობასთან; დადგინდა გოგორწყვილების და რელსების დაზიანების გამოვლენის ხარისხი და განისაზღვრა მისი მაჩვენებელი; შემუშავდა გოგორწყვილებისა და რელსის ცვეთისა და დაზიანების სიდიდის განსაზღვრის პროგრამული უზრუნველყოფა.

საკვანძო სიტყვები: გოგორწყვილი, ცვეთა, დაზიანება, კონტროლი, მიკროპროცესორული ბლოკი, ალგორითმი.

პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ გოგორწყვილის დაზიანება ძირითადად გოგორწყვილსა და რელსს შორის ურთიერთმომქმედი ძალების შედეგად წარმოშობილი საკისრების დატვირთვის ძალების ცვლილებებით წარმოიქმნება, რაც იწვევს გოგორწყვილების სრიალსა და იუზას (შემდგომში დაოთხკუთხედებას). აღსანიშნავია, რომ ხშირ შემთხვევაში ეს დაზიანება იწვევს გოგორწყვილების

ბუქსების გახურებას. საბოლოო ჯამში ამ დაზიანების შედეგად ხდება გოგორწყვილების გაჭედვა, რაც გამოიხატება კატასტროფებით.

რელსების დაზიანება ძირითადად გამოიხატება მათი ზედაპირული პროფილის ცვეთით, რომელიც თავის მხრივ მოქმედებს გოგორწყვილზე, იწვევს მათ სრიალსა და იუზებს, ხოლო შემდგომში დაზიანებებს. ამ დაზიანების შედეგად ხდება რელსის დაზიანება, ხოლო შემდეგში გატეხვა, რაც გამოიხატება ვაგონების (შემადგენლობის) რელსებში ჩავარდნით.

ეს ფაქტორები შესამჩნევად ამცირებენ შემადგენლობის მოძრაობის უსაფრთხოების პირობებს, საიმედოობას და ზრდიან ავარიისა და კატასტროფის შესაძლებლობების ალბათობებს.

დღეს საზღვარგარეთის მოწინავე ქვეყნები მიმართავენ წინასწარ მონიშნულ, რთული რელიეფის ადგილებში, რელსების დაზეთვას, რაც შესამჩნევად ამცირებს რელსისა და გოგორწყვილის ცვეთის ფაქტორს. მიუხედავად იმისა, რომ გარემო პირობები ბინძურდება, მიღებული ეკონომიური ეფექტი შესამჩნევად აჭარბებს ეკოლოგიური გაჭუჭყიანების შედეგად მიღებულ ხარჯებს. ეს მეთოდი, მიუხედავად თავისი ძვირადღირებულებისა და დიდი ეკონომიური ეფექტურობისა, ვერ აღმოფხვრის გოგორწყვილისა და რელსის ცვეთას და დაზიანებას.

მაგალითისათვის აშშ რკინიგზის ფედერალური ადმინისტრაციის FRA ოფისის მიერ ჩატარებული მიმოხილვიდან სატვირთო მატარებლების მოძრაობის უსაფრთხოების საკითხებში განვლილი 15 წლის განმავლობაში, ნათლად ჩანს, რომ ავარიათა უმეტესი შეთხვევა გამოწვეულია გოგორწყვილისა და რელსის დაზიანების შედეგად. ხოლო თანამედროვე ტექნიკის დანერგვა ვერ უზრუნველყოფს კატასტროფათა აღმოფხვრას.

როგორც ცნობილია, მოძრავი ნაწილის მუშაობა გოგორწყვილი-რელსი სისტემაში დაკავშირებულია ორივე ელემენტის მნიშვნელოვან ცვეთასთან, მაგრამ განსაკუთრებული დონით ეს ეხება გოგორწყვილს - რკინიგზის ვაგონის უმნიშვნელოვანეს კვანძს, რომელსაც მუდმივად სჭირდება კონტროლი. ამასთან დაკავშირებით, მოძრავი ნაწილის ფაქტიური მდგომარეობის ტექნიკური

მომსახურებისათვის აუცილებელია ზუსტი ობიექტური ინფორმაცია გოგორწყვილის ყველა ელემენტის ცვეთაზე.


ავტორთა ჯგუფის მიერ ჩატარებული ანალიტიკური გამოკვლევები და მრავალწლიანი შრომები საშუალებას იძლევა ვივარაუდოდ, რომ გოგორწყვილების და რელსის ურთიერთმომქმედი ძალების შედეგად გამოწვეული გოგორწყვილების ან რელსის ცვეთა პრაქტიკულად ყველა შემთხვევაში იწვევს გოგორწყვილების იუზასა და სრიალს. თავიდან რა თქმა უნდა მცირე ენთროპიით.

აქედან გამომდინარე დადგინდა, რომ გოგორწყვილის იუზასა და სრიალის დაფიქსირება შესაძლებლობას მოგვცემს აღმოვაჩინოთ გოგორწყვილისა და რელსის ცვეთის ხარისხი. ამ ვერსიის განვითარებისა და პროექტის დამუშავების საფუძველს წარმოადგენს გამოგონება N1676899 "მოდრავი შემადგენლობის სიჩქარისა და გავლილი მანძილის მაკონტროლებელი მოწყობილობა". იგი გამორიცხავს მოწყობილობის ჩვენებაში მოდრავი შემადგენლობის სიჩქარისა და გავლილი მანძილის ცდომილებას, რადგან აფიქსირებს გოგორწყვილის სრიალსა და იუზებს მოძრაობის დროს და ამის საფუძველზე კორექცია უკეთდება სიჩქარესა და გავლილ გზას, რითაც შესაძლებელია იზრდება ხელსაწყოს ჩვენების სიზუსტე.

ამ გამოგონების საფუძველზე ავტორთა ჯგუფის მიერ დამუშავდა გოგორწყვილების და რელსების ცვეთისა და დაზიანების დიაგნოსტიკური სისტემა. სისტემის სქემა (ნახ. 1) შედგება: მოდრავი შემადგენლობის გოგორწყვილებთან დამონტაჟებული გადამწოდები 1-1 ÷ 1-4 გამოიმუშავებს იმპულსურ სიგნალებს, რომლებიც შეესაბამება გოგორწყვილების ყოველ სრულ შემობრუნებას. თითოეული გადამწოდის 1-1 ÷ 1-4 მიერ გამოიმუშავებული იმპულსები ეწოდება შესაბამისი ტრიგერების 2-1 ÷ 2-4 მთვლელ შესასვლელებს. ტრიგერების 2-1 ÷ 2-4 გამოსასვლელებზე მიიღება იმპულსები, რომელთა ხანგრძლივობა შეესაბამება გოგორწყვილების მიერ ერთი სრული ბრუნის შესრულების ხანგრძლივობას. ეს უკანასკნელი ეწოდება შესაბამის იმპულსების გასაღებ მოწყობილობებს 3-1 ÷ 3-4 გასაღებ შესასვლელებზე, ხოლო ამავე მოწყობილობების მართვის შესასვლელებზე ეწოდება სიგნალები იმპულსების გენერატორიდან 5. შედეგად იმპულსების გასაღები მოწყობილობების 3-1 ÷ 3-4 გამოსასვლელებზე მიიღება იმპულსების კონები, სადაც თითოეულ კონაში

იმპულსების რაოდენობა შეესაბამება გოგორწყვილების მიერ შესრულებული ერთი ბრუნის ხანგრძლივობას. იმპულსების კონები ეწოდება შესაბამის მთვლელებს $4-1 \div 4-4$ თვლის შესასვლელებზე. მთვლელების $4-1 \div 4-4$ მართვის შესასვლელებზე ეწოდება კოდირებული სიგნალები დავალების ბლოკიდან 6. დავალების ბლოკის 6 მიერ გამომუშავებული თითოეული კოდი შეესაბამება კონკრეტულ გოგორწყვილს მოძრავ შემადგენლობაში. ამ კოდების საფუძველზე ხორციელდება კონკრეტული მთვლელების $4-1 \div 4-4$ გამოსასვლელებიდან ინფორმაციის ამოკითხვა, რომელიც შეესაბამება მთვლელის შესასვლელზე მიწოდებულ იმპულსების კონაში არსებული იმპულსების რაოდენობას, ანუ შესაბამისი გოგორწყვილების მიერ შესრულებული ერთი ბრუნის ხანგრძლივობას.

ამოკითხული ორობითი სიგნალები მთვლელების $4-1 \div 4-4$ - გამოსასვლელებიდან მიეწოდება მიკროპროცესორულ შედარების და დამუსავების ბლოკს 7 სადაც ორობითი სიგნალები დარდება ეტალონურ ორობით კოდს და ხორციელდება მათ შორის სხვაობის გამოთვლა.



ნახ. 1. სისტემის მუშაობის ბლოკ-სქემა.

მიკროპროცესორული შედარების ბლოკი მუშაობს შემდეგნაირად, დავალების ბლოკიდან 6 მიღებული ბრძანების საფუძველზე ერთერთი, მთვლელის $4-1$, გამოსასვლელიდან ხორციელდება ორობითი სიგნალის ამოკითხვა, რომელიც შეესაბამება კონკრეტული გოგორწყვილის მიერ შესრულებული ერთი ბრუნის


ხანგრძლივობას. ეს სიგნალი დარდება ეტალონურ მნიშვნელობას. შემდეგ ხდება სიგნალსა და ეტალონურ მნიშვნელობას შორის სხვაობის შედარება სხვაობის ეტალონურ მნიშვნელობასთან (რომელიც შეესაბამება გოგორწყვილის მიერ შესრულებული ერთი ბრუნის ხანგრძლივობის დასაშვებ ფარგლებს Δ). თუ შედარების შედეგად აღმოჩნდა, რომ სხვაობამ დასაშვებ ფარგლებს Δ გადააჭარბა, მაშინ მიკროპროცესორული შედარების ბლოკი იმახსოვრებს სხვაობის მნიშვნელობას და ახდენს ოპერაციების 1 – 5 გამეორებას იმავე გოგორწყვილის (რომელიც შეესაბამება 4-1 მთვლელს) შემდეგი მე-10 სრული ბრუნის შესრულების შემდეგ და ა.შ. მეორდება ხუთჯერ, სანამ აღნიშნული გოგორწყვილი 50 სრულ ბრუნს არ შეასრულებს. აღსანიშნავია, რომ 50 სრული ბრუნის განმავლობაში ყოველ მე-10 ბრუნზე შედარების განხორციელება შერჩეულია ცვეთის ან იუზას განსაზღვრის ოპტიმალური პირობიდან გამომდინარე და ცხადია, რომ ეს რაოდენობები შეიძლება ვარიირებდეს სისტემის პრაქტიკული გამოყენების პირობების შესაბამისად. ყოველ მე-10 ბრუნზე მიღებული სხვაობის მნიშვნელობები ინახება მიკროპროცესორული შედარების ბლოკის 7 ბუფერულ მეხსიერებაში, რომლებიც შემდეგ ერთმანეთს დარდება. თუ მიღებული სხვაობის მნიშვნელობები ერთმანეთის ტოლი აღმოჩნდა, ანუ გოგორწყვილის ყოველი მეათე ბრუნის ხანგრძლივობები ტოლია, მაშინ მიკროპროცესორული შედარების ბლოკი 7 გამოიმუშავებს შესაბამის სიგნალს ინდიკაციის ბლოკის 8 მიერ რელსის დაზიანების შესახებ ინდიკაციის უზრუნველყოფის მიზნით. იმ შემთხვევაში თუ მიღებული სხვაობის მნიშვნელობები განსხვავებული აღმოჩნდა, მაშინ მიკროპროცესორული შედარების ბლოკი 7 გამოიმუშავებს შესაბამის სიგნალს ინდიკაციის ბლოკის 8 მიერ გოგორწყვილის დაზიანების შესახებ ინდიკაციის უზრუნველყოფის მიზნით.

ცნობილია, რომ საქართველოს სავაგონო პარკში ირიცხება მხოლოდ 4-დერძიანი ვაგონები, ამიტომაც სავარაუდოდ თვითეულ ვაგონზე დამაგრებულია 4 მოდული დერძების შესაბამისად. თვითეული მოდული მიერთებულია საერთო შინასთან, რომელიც დაკავშირებულია ანალიზის ბლოკთან-კომპიუტერთან. ანალიზის ბლოკში ალგორითმის საშუალებით იწარმოებს ყოველი გოგორწყვილის ექსპერტიზა შემდეგი ლოგიკით:

ა) თუ ერთი და იგივე ნომრის გოგორწყვილიდან მრავალჯერადი გამეორებით მოვა ინფორმაცია იუზისა და სრიალის შესახებ ეს ნიშნავს, რომ დაზიანებულია აღნიშნული ნომრის გოგორწყვილი.

ბ) თუ გოგორწყვილები თანამიმდევრობით, რიგის მიხედვით მოგვცემენ სიგნალს იუზასა და სრიალის შესახებ, ეს ნიშნავს, რომ მოცემულ უბანზე დაზიანებულია რელსი.

ინფორმაციის მაღალი სიზუსტით უზრუნველყოფის შესაძლებლობას ადასტურებს მარტივი გაანგარიშების ის ფაქტიც, რომ იმპულსების გენერატორის 500 კვც სიხშირის დროს, სხვაობა იმპულსების რაოდენობას შორის ΔF გოგორწყვილის ერთი ბრუნის დროს სტანდარტული გოგორწყვილის 950მმ, გაცვეთილი მხოლოდ 0.5 მმ (949მმ დიამეტრით) არის მნიშვნელოვანი სიდიდის და მოძრაობის სიჩქარის 10-200 კმ/სთ ფარგლებში იცვლება 559-28 დიაპაზონში ნახ. 2.



ნახ. 2. იმპულსების რაოდენობა სიჩქარესთან დამოკიდებულებით.


ავტორთა მიერ შემოთავაზებული ხერხის საფუძველზე შექმნილი სისტემა - ახალი მიმართულებაა, როგორც მსოფლიო რკინიგზის ავტომატიკისა და ტელემექანიკის, ასევე ვაგონთმშენებლობის დარგში.

დასამუშავებელი სისტემის ერთერთ საკვანძო ნაწილს წარმოადგენს ლოკომოტივში განთავსებული მიკროპროცესორული შედარების და დამუშავების ბლოკი (ნახ.1-ის 7). რომლის პროგრამული უზრუნველყოფისათვის, დამუშავებულ

მუშაობის ალგორითმში ნახ. 3 გათვალისწინებულია შემდეგი ოპერაციები და მსვლელობები:

1. შედარების პროცესის დასაწყისი;
2. ცვლადების შემოტანა;
3. მთვლელებიდან c, d, და K მნიშვნელობების განსაზღვრა, სადაც K არის იმპულსთა რაოდენობის სხვაობის დასაშვები სიდიდე;
4. ბლოკში აღწერილი ციკლის საშუალებით ხდება მრიცხველებიდან შემოსული იმპულსების ყოველი 10 ნაკადის სხვაობათა შედარება;
5. და 6. ბლოკებში აღწერილი ციკლის საშუალებით ხდება შემოსულ იმპულსთა რაოდენობათა შორის სხვაობის გამოთვლა და იმპულსთა რაოდენობის სხვაობის დასაშვებ სიდიდეზე შედარების შემდეგ მდგომარეობის სამი შესაძლო ვარიანტის გამოტანა:
 - ა) კარგია
 - ბ) დაზიანებულია გოგორწყვილი
 - გ) დაზიანებულია რელსი
7. იმპულსთა რაოდენობის სხვაობის გამოთვლა;
8. d-მთვლელის ერთით გაზრდა;
9. იმპულსთა რაოდენობის სხვაობის შედარება დასაშვებ Δ სიდიდეზე, რომლის ინფორმაცია შემოდის ლოკომოტივის სიჩქარის ბლოკიდან;
10. ვარიანტის გამოტანა კარგია;
11. c მთვლელის მნიშვნელობის ერთით გაზრდა;
- 12 d და c მთვლელების მნიშვნელობების შედარება;
13. ვარიანტის გამოტანა “დაზიანებულია გოგორწყვილი”;
14. ვარიანტის გამოტანა “დაზიანებულია რელსი”;
15. E ცვლადზე გამოთვლის პირველი შედეგის მნიშვნელობის მინიჭება;
16. გამოთვლის პირველი შედეგის შედარება ყოველ შემდგომ შედეგზე;
17. გამოთვლების შედეგების სხვადასხვა მნიშვნელობის მიღების შემთხვევაში გაფრთხილების გამოტანა “გაიმეორეთ შემოწმების პროცესი” და პროცესის საწყის პოზიციაზე დაბრუნება;

18. გამოთვლების შედეგების იდენტურობის შემთხვევაში მიღებული მნიშვნელობების დაფიქსირება;
19. შედარების პროცესის დასასრული.



ნახ. 3. მიკროპროცესორული შედარების ბლოკის მუშაობის ალგორითმი.

დასკვნა

ანალიზური კვლევების საფუძველზე განისაზღვრა და გრაფიკულად შემუშავდა გოგორწყვილის ბრუნვის სიჩქარის დამოკიდებულება იმპულსების რაოდენობასთან;

კვლევის საფუძველზე დადგინდა გოგორწყვილების და რელსების დაზიანების გამოვლენის ხარისხი და განისაზღვრა მისი მაჩვენებელი;

შემუშავდა გოგორწყვილებისა და რელსის ცვეთისა და დაზიანების სიდიდის განსაზღვრის პროგრამული უზრუნველყოფა;

დამუშავდა მონაცემთა დამუშავების და შედარების მიკროპროცესორული ბლოკის ალგორითმი ცენტრალიზირებული სისტემისათვის;

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Cameron P.Lonsdale, Brian T. Tusa, Steven L. Dedmon “Radial Ultrasonic Testing of Freight Car Axles”, 2007 ASME/IEEE Joint Rail Conference & Internal Combustion Engine Technical Conference March 13-16, 2007, Pueblo, Colorado, USA.
2. Гаришвили И., Мгебришвили Н., Дундуа А.-Установление причин юз и скольжении на основе анализа взаимодействующих сил колесных пар и рельса. – журнал «Транспорт» №3-4, Тбилиси 2015, страница 23-26;
3. N. Mgebrishvili, I. Garishvili, A. Dundua, K. Kutateladze, N. Kutubidze, G. Mgebrishvili - New Method of Determination of Wheel Pair’s and Rail’s Damage – Proceedings Of Mechanics The International Scientific Conference, pp. 187-197, Tbilisi, 2016;
4. И. Гаришвили, Н. Мгебришвили, А. Дундуа, Н. Кутубидзе, Г. Мгебришвили. - Устройство диагностики износа и повреждении колесных пар и рельсов. - журнал «Транспорт» №1-4 (61-64), Тбилиси 2016, стр 9-11.
5. N. Mgebrishvili, A. Sharvashidze, I. Garishvili, N. Kutubidze - Device for Diagnosis of Wheels Rails and Rail wear and Damage – International Scientific Journal “Problems of Mechanics - #2(67), pp. 37-42. Tbilisi, 2017.

Новая система диагностирования колесных пар и рельсов

**Н. Мгебришвили, Г. Мгебришвили, А. Шарвашидзе, Н. Кутубидзе,
Л. Курахчишвили, М. Татанашвили**

Резюме

Проведен обзор проблем безопасности движения поездов. На основе аналитических исследований определен и графически разработан зависимости скорости вращения колесных пар от количества импульсов. Установлен качества выявления износа колесных пар и рельсов и определен ее показатель. Разработано программное обеспечение определения величины износа и повреждения колесных пар и рельсов.

A new system for diagnosing wheel sets and rails

**N. Mgebrishvili, G. Garishvili, A. Sharvashidze, N. Kutubidze,
L. Kurakhchishvili, M. Tatanashvili**

Abstract

The problems of train safety movement are reviewed. Based on the analytical study, the dependence of the rotation speed of wheel pairs on the number of pulses is determined and graphically developed. The quality of revealing the wear of wheel sets and rails is established and its index is determined. The software has been developed to determine the amount of wear and damage to wheel sets and rails.

GTU
TRANSPORT AND MACHIN-
ENGINEERING FACULTY

www.gtu.ge

TRANSPORT AND
№1 (41)  2018

MACHINEBUILDING

T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

**Анализ формирования и оценка производственного потенциала
предприятия**

Пак Хе Сун

(СПб университета Технологий Управления и Экономики)

Куприн Андрей Анатольевич

(Северо-Западного института управления РАНХиГС)

Резюме: *В статье рассматриваются условия функционирования экономической системы и наличие в ней элементов основных ресурсов, что связано с эффективным функционированием производственной системы потенциала предприятия и требует на современном этапе своего развития совершенно иных, более современных методов оценки установления их результирующей величины.*

Ключевые слова: производственный потенциал; структура потенциала предприятия; оценка производственного потенциала.

Рассматривая одним из условий эффективного функционирования экономической или производящей системы, наличие в ней производства товаров, услуг, элементы основных ресурсов и др., что связано с функционированием производственной системы необходимо отнести вышеперечисленное к элементам «производственного потенциала» предприятия, что не только является составной частью экономического потенциала, но и функционально «завязано» с трудовым, инновационным, маркетинговым и другими видами потенциала.

Например на системном уровне именно производственный потенциал формирует рабочие места, которые выступают в качестве функциональной обратной связи для трудового потенциала и в результате происходит сбалансированное перераспределение потоков и запасов в системе, т.е. потенциалы структурируются.

Существуют различные предложения содержания понятия структуры потенциала предприятия и его составляющие (подпотенциал), однако все они носят аналогичный характер, а сам потенциал хозяйствующего субъекта представляет собой некую совокупность наиболее важных для производственной деятельности элементов (подпотенциалов). Однако поскольку не существует единого мнения по поводу содержания самого понятия «потенциал» трудно конкретизировать (какие виды подпотенциалов следует включать в структуру потенциала предприятия, а какие не имеет смысла).

На наш взгляд, в любом из рассмотренных вариантов есть та рациональность, которую следует использовать при формализации содержания понятия структура потенциала предприятия и наиболее рациональным будет объединение некоторых описанных выше структурных элементов. Именно в этой связи представляет интерес более подробное рассмотрение некоторых, как нам представляется, практических предложений специалистов этой проблематики.

Некоторые исследователи потенциала предприятия придерживаются экономического направления, предлагая структуру потенциала хозяйствующего субъекта рассматривать как совокупность основных производственных фондов, основных средств, нематериальных активов и трудовых ресурсов.

Однако, на наш взгляд, здесь нет необходимости в структуре производственного потенциала выделять движимое и недвижимое имущество, поскольку основные средства уже включают в себя производственные и непроизводственные фонды. Следуя логике авторов, в качестве отдельного элемента структуры потенциала предприятия нужно считать землю, труд, капитал, предпринимательскую активность, другие используемые в производственном процессе экономические ресурсы, хотя доказана теоретическая и практическая необоснованность традиционной схемы классификации этих ресурсов.

Существует другая модель, в основе которой находятся с одной стороны - людские и финансовые ресурсы, производственные фонды, информация, которые характеризуют микросреду предприятия, и с другой - создаваемая продукция либо другие товарные услуги, которые характеризуют макросреду хозяйствующего

субъекта¹ На наш взгляд, в своём исследовании авторы лишь наметили направление в изучении процесса формирования потенциала предприятия, поскольку в предлагаемой ими модели нет других важнейших компонентов, признанных большинством отечественных исследователей этой экономической категории.

Некоторые экономисты, наоборот, слишком конкретизируют компоненты потенциала хозяйствующего субъекта, но при этом справедливо отмечают, что потенциал предприятия следует рассматривать как совокупность достигнутого потенциала и потенциала развития объекта исследования. Достигнутый потенциал обеспечивается имуществом предприятия (актив), обязательствами перед собственниками и другими агентами (пассив). В потенциал развития некоторые авторы включают авансированный капитал (актив), обязательства перед бюджетом и внебюджетными фондами, банками и другими субъектами хозяйственной деятельности (пассив), где базой для анализа процесса формирования потенциала предприятия, по их мнению, может служить бухгалтерская документация.

На наш взгляд, такая точка зрения авторов имеет право на существование, поскольку активы есть не что иное, как ресурсы предприятия, а пассивы могут рассматриваться как право собственности на эти ресурсы. Например имущественное положение предприятия, определяется наличием и размещением имущества и капитала, поэтому сопоставление этих показателей помогает оценить финансовое состояние хозяйствующего субъекта. Однако для оценки стоимости предприятия как имущественного комплекса необходимо рассматривать потенциал предприятия как способность трудового коллектива обеспечивать своё долговременное функционирование и достижение производственных целей на основе использования системы наличных ресурсов. В этой ситуации уже требуется оценка не только ресурсов, имеющихся в наличии у предприятия, но и резервов, выявленных в результате проведённого анализа использования производственного потенциала.

¹ Протасов, В.Ф. Протасова А.В. Анализ деятельности предприятия (фирмы), производство, экономика, финансы, инвестиции, маркетинг, оценка персонала : учеб. пособие / В.Ф. Протасов, А.В. Протасова. – 2-е изд., перераб. и доп. – М. : Финансы и статистика, 2005. – 522 с.

Любопытна точка зрения учёных, которые предлагают вариант раскрытия сущности не только научной категории «экономический потенциал», но и его структуры. Следует сразу же отметить, что авторы считают необязательным разделять понятия «потенциал предприятия» и «экономический потенциал». И хотя, на наш взгляд, в этом слабость позиции авторов, тем не менее, представленная ими модель, которая отражает элементы социально-экономической категории «потенциал» и представляет собой совокупность потенциалов производственного, трудового, ресурсного, мотивационного, интеллектуально-образовательного и других видов.

Некоторые исследователи выделяя факторы, формирующие потенциал предприятия и составляющие потенциала (производственный, трудовой, ресурсный и т.д.) не включают такие виды потенциалов как (финансовый, инновационный) и не ясно, за счёт чего формируются эти важнейшие элементы потенциала предприятия. Или например раскрывая содержание, интеллектуально-образовательного потенциала авторы вводят лишь понятия информационный, человеческий и интеллектуальный капиталы, забывая что возможен еще расчётно-сбытовой, ресурсный потенциал - предпринимательский капитал.

Следует отметить ещё одну особенность в исследованиях, посвящённых проблемам структуризации потенциала хозяйствующих субъектов. Анализ которых показывает, что зачастую авторами отождествляются различные структурные элементы потенциалов и не проводится чёткой грани между отдельными структурными элементами потенциала предприятия - производственным и экономическим, производственным и ресурсным, инновационным и научно-техническим, коммерческим и предпринимательским, трудовым и организационно-управленческим, маркетинговым, рыночно - сбытовым и торговым и др.

На наш взгляд, это снижает значимость исследований, поскольку научный и практический интерес представляют не только признание всем научным сообществом однозначного понимания сущности, структуры и элементов категории «потенциал», но и взаимосвязи между, во-первых, категорией «потенциал» и их структурными элементами, во-вторых, структурными элементами внутри категории «потенциал» и, в-третьих, между потенциалом хозяйствующего субъекта в целом и

внешней по отношению к нему среде (административной, юридической, рыночной и другим факторами, составляющими внешнюю по отношению к предприятию среду). И в этой связи представляет несомненный интерес установление взаимозависимости структурных элементов потенциала предприятия, а также в целом потенциала предприятия с элементами внешней среды, включая использование интегрированных форм бизнеса, и определение уже на этой основе синергетического эффекта возможностей наращивания потенциала хозяйствующего субъекта.

Потенциал предприятия, должен увеличиваться вследствие углубления разделения труда, производства и сбыта продукции, специализации и кооперации участников рыночных отношений. Кстати проведенные исследования позволяют утверждать, что потенциал хозяйствующего субъекта увеличивается при переходе от жестких форм (аффилированность участников в едином производственном и финансовом процессах) к более мягким формам интеграции (кооперация и различные формы организационной общности). Именно поэтому установление оптимальной структуры производственного потенциала предприятия приобретает всё большее значение, включая в себя, прежде всего, материальные ресурсы, характеризующиеся техническим состоянием основных производственных фондов, уровнем применяемой технологии, наличием и характером использования в производственном процессе объектов промышленной интеллектуальной собственности, а также трудовыми и инвестиционными ресурсами.

Эту проблему логично рассматривать в следующей последовательности, где в начале целесообразно проанализировать структуру и возможности формирования и использования производственного потенциала предприятия, затем аналогичные возможности финансового, экономического, рыночного, организационно-структурного и некоторых других видов потенциалов. А единый методический подход к анализу элементов потенциала позволит выявить общие закономерности происходящих процессов и создать предпосылки для вовлечения в хозяйственный оборот не только внутренние резервы развития производства (эндогенные факторы), но базу (экзогенные факторы), что позволит сохранить конкурентоспособный уровень

развития материальной и интеллектуальной независимости предприятия в изменяющейся рыночной среде.

Однако в современной экономике количественных оценок производственного потенциала становится явно недостаточно и отдельно взятая стоимость ресурсов не дает представления о качественных характеристиках производства, что требует введения дополнительных относительных измерителей производственного потенциала, которые должны более точно определять (усиливать или снижать) эффективность количественных характеристик.

Методология количественной оценки производственного потенциала чаще рассматривается с позиций двух основных подходов: ресурсного (затратного) и результативного, где методы ресурсного подхода предлагают рассматривать производственный потенциал как ресурсы производства, определяющие максимальные возможности производства в конкретный период времени, в основе которого используется определение рыночной стоимости производственных активов и трудовых ресурсов. При этом в качестве активов рассматривается любая собственность организации: основной капитал, оборотный капитал, нематериальные активы. А например при результативном подходе сущность производственного потенциала определяют как потенциальные экономические результаты (объем выпуска продукции, прибыль, показатели эффективности использования производственных ресурсов). Поэтому и оценка потенциала организации при реализации различных подходов в оценке должна осуществляться в направлении от «выхода» производственной системы к ее «входу», оценивая изменения спроса и предложения данного продукта на рынке, определяя фазу его жизненного цикла и позицию организации по отношению к основным конкурентам, но лишь через показатели, характеризующие процесс капитализации в отрасли и уже только потом оценивать возможную доходность активов организация.

Таким образом, анализ показал, что теория производственного потенциала предприятия в настоящее время находится на уровне формирования общих направлений и концепций, являясь по сути одним из новых направлений экономических исследований, где уже в самом направлении оценки производственного потенциала,

можно выделить совокупность потенциалов образующих комплексность этого понятия, что делает исследования в этой области особенно актуальными и перспективными.

Список используемой литературы:

- 1) Архипов В.М. Проектирование производственного потенциала объединений (теоретические аспекты). / В.М.Архипов. – СПб.: Изд. СПбГУ, 2004. – 266 с.
- 2) Афанасьев М.Ю., Васильева Н.В. Моделирование производственного потенциала фирмы с учетом факторов неэффективности и риска. /М.Ю.Афанасьев Н.В. Васильева.- М.: Издательство ЦЭМИ РАН, 2004. – 256 с.
- 3) Авдеенко В.И., Котлов В.А. Производственный потенциал промышленного предприятия / В.И.Авдеенко, В.А.Котлов. - М.: Экономика, 2005. - 208 с.
- 4) Хорева Т. А. Создание модели прогнозирования роста производственного потенциала при активизации инновационной деятельности / Т. А. Хорева // Региональная экономика: теория и практика. - 2010. - № 9.
- 5) Глазырин М., Королев В. Механизмы использования потенциала саморазвития муниципальных образований // Экономист.-2000.-№8.
- 6) Бартова Е.В., Алферова Т.В. Анализ влияния производственного потенциала на эффективность деятельности промышленных предприятий // Российское предпринимательство. - 2012. - № 13 (211). - с. 46-50.
- 7) Евдокимова Л.О. Методология содержания и оценки экономического потенциала в предпринимательской деятельности организации // Российское предпринимательство. - 2011. - № 12 Вып. 1 (197). - с. 16-20
- 8) Усанов Г.И. Рыночный потенциал предприятия: диагностика состояния, стратегия адаптации и развития: моногр. – Владивосток: Изд-во Дальневост. ун-та, 2002. – 250 с.
- 9) Назаров, В.Л. Инновационные технологии в системе стратегического управления государственной недвижимостью: препринт / Назаров, Валерий Львович; Санкт-Петербургский государственный ун-т экономики и финансов, Кафедра экономики предприятия и производственного менеджмента. - СПб.: Изд-во СПбГУЭФ, 2007
- 10) Морошкина, М. В. Ресурсный потенциал как основа экономического развития региона // Стратегия развития и конкурентоспособность муниципальных образований : Материалы науч.-практ. семинара (2 ноября 2004 г.,г. Петрозаводск). - Петрозаводск, 2005.
- 11) Донец Ю.Ю. Эффективность использования производственного потенциала. / Ю.Ю. Донец. - Киев.: Знание, 2004. - 123 с.

- 12) Евсева О.А. Оценка производственного потенциала промышленного предприятия и стратегия активизации его использования: автореф.дис.канд.экон. наук / О.А. Евсева – Санкт-Петербург, 2006. – 18 с.
- 13) Евсева О.А., Окорочков В.Р. Анализ экономического потенциала предприятия и пути его повышения / О.А.Евсева, В.Р.Окорочков // Материалы Всеросс. межвузовской научно-техн. конференции «XXXIII неделя науки СПбГПУ», - СПб, 2005 – 145 с.
- 14) Евсева О.А. Элементы производственного потенциала промышленных предприятий и методика оценки их эффективного использования / О.А.Евсева // Труды 7-й межд. научно-практ. конференции «Экономика, экология и общество России в 21-м столетии», - СПб, 2005. – 90с.
- 15) Крассовский В.П. Экономический потенциал: резервы и отдача. / В.П.Крассовский. - М.: Экономика, - 2006. – 250 с.
- 16) Лапин Е.В. Оценка экономического потенциала предприятия. / Е.В.Лапин. - Сумы: ИТД «Университетская книга», 2004. – 360с.

Analysis of formation and assessment of production capacity of the enterprise

Pak Xse Sun, A. Kuprin

Abstract

In article operating conditions of economic system and existence of elements of the main resources in it are considered that is connected with effective functioning of a production system of capacity of the enterprise and demands at the present stage of the development is made other, more modern methods of assessment of establishment of their resultant of size.

საწარმოთა სამრეწველო პოტენციალის შეფასებისა


და ფორმირების ანალიზი

პაკ ხე სუნ, ა. კუპრინი

რეზიუმე

სტატიაში განხილულია საწარმოთა ეკონომიკური სისტემის ფუნქციონირების პირობები და ძირითადი რესურსების როლი, რაც განაპირობებს სამრეწველო სისტემის ეფექტურ ფუნქციონირება და განვითარების მოცემულ ეტაპზე მოითხოვს სრულიად განსხვავებულ, უფრო თანამედროვე შეფასების მეთოდებს, რომელიც საწარმოთა პოტენციალის გაზრდის საბოლოო ზღვარს დაადგენს.

GTU
TRANSPORT AND MACHI-
NEBUILDING FACULTY
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№1 (41)  2018
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უაკ 0802

სამგანზომილებიანი მოდელირება და მისი ფუნდამენტური წესები

ლ. მიქელაძე

(თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 0108, საქართველო, თბილისი,
გრიბოედოვის ქ. №22)

რეზიუმე: სტატია ეძღვნება პოლიგონალური მოდელირების უნივერსალური წესების განსაზღვრას და განხილვას. სამგანზომილებიანი ციფრული მოდელირების, აქტუალობიდან გამომდინარე. ამ წესების სწავლის და პრაქტიკაში გამოყენების შედეგად, ციფრული ობიექტები ხარვეზების გარეშე იქნება შექმნილი. გამართულად მოდელირებული ობიექტების გამოყენება შეიძლება ვიზუალიზაციის, ციფრული ანიმაციის და სამგანზომილებიანი ბეჭდვის დროს. სამგანზომილებიანი ბეჭდვა დღესდღეობით შედარებით ახალი სფეროა, მაგრამ მომავალში მოხდება ისე, რომ ის ისეთივე ჩვეულებრივი მოვლენა იქნება როგორც ფურცელზე ბეჭდვა. ამ პერსპექტივიდან გამომდინარე და ჩემი დისერტაციის „სივრცული და შემოქმედებითი აზროვნება ციფრულ მოდელირებაში და მათი გამოსახვის საშუალებები“, საჭიროდ ჩავთვალე მკითხველისთვის წარმომედგინა პოლიგონალური მოდელირების ხუთი ფუნდამენტური წესი, რომელიც დაფუძნებულია ევკლიდურ გეომეტრიაზე.

საკვანძო სიტყვები: მოდელირება, ციფრული მოდელირება, ობიექტი, ანიმაცია.

სამგანზომილებიანმა მოდელირებამ სულ უფრო და უფრო მეტი მნიშვნელობა შეიძინა მრავალი დარგისთვის და მასზე მოთხოვნაც მკვეთრად იზრდება. მომავალში მრავალი საწარმოს განვითარება ციფრულ მოდელირებას

დაუკავშირდება და თითოეული ადამიანის ყოველდღიურობის ნაწილად იქცევა. დღეს სამგანზომილებიანი ბეჭდვა აღარ არის ფანტასტიკის სფერო და ჩვენს ყოველდღიურ ყოფაში უფრო და უფრო ხშირად გვხვდება, რაც საბოლოო ჯამში იმ ეტაპს მიაღწევს, მსგავსად ტექსტის დაბეჭდვისა ნივთებს დავბეჭდავთ. ამ პერსპექტივიდან გამომდინარე, სამგანზომილებიანი ციფრული მოდელირება მნიშვნელოვანი მიმართულებაა და საჭიროა მისი წესების ჩამოყალიბება.

მოდელირების მრავალი საშუალებიდან პოლიგონალური მოდელირება ერთერთი ყველაზე პოპულარული სისტემაა, მისი მოქნილი ლოგიკით და ხელსაწყოების მრავალფეროვნებით. პოლიგონალური მოდელირება საკმაოდ შემოქმედებითი პროცესია, რომლის დროს იქმნება სასურველი სამგანზომილებიანი მოდელები როგორც არის: პერსონაჟები, შენობები, სხვადასხვა სამრეწველო დიზაინის ნივთები და სხვა მრავალი. მაგრამ როგორც ყველაფერს პოლიგონალურ მოდელირებასაც გააჩნია ეტაპები და წესები, რომელთა დაცვა აუცილებელია სრულყოფილი მოდელების შესაქმნელად. გამოცდილებამ და მრავალი წლის პედაგოგიურმა საქმიანობამ მიმიყვანა იმ იდეამდე, რომ ჩამომეყალიბებინა პოლიგონალური მოდელირების მარტივი წესები, რომლებიც დაეხმარება მათ, ვისაც სურს დაეუფლოს პოლიგონალურ მოდელირებას.

პოლიგონალური მოდელირება სახეცვლილი ევკლიდური გეომეტრიაა, მარტივად რომ წარმოვიდგინოთ პოლიგონალური მოდელი წარმოადგენს სხვადასხვა ზომის ზედაპირებს, გაერთიანებულს ერთ უწყვეტ ფორმაში. ესეთი ზედაპირის შესაქმნელად საჭიროა რამოდენიმე წესის დაცვა და სხვადასხვა ხელსაწყოების გამოყენება. პოლიგონალური მოდელი აგებულია ზედაპირებისაგან (FACE)-გან, რომლებიც იქმნებიან მინიმუმ სამი წერტილის არსებობის შემთხვევაში, წერტილები დაკავშირებულია მონაკვეთებით რომლებიც წარმოადგენენ მოდელის კარკასს. პოლიგონალურ სისტემას სამი ძირითადი კომპონენტი გააჩნია რომელთა მონიშვნა და მანიპულირებაა შესაძლებელი. ესენი გახლავთ: წერტილი ანუ VERTEX - სი, მონაკვეთი ანუ EDGE - ი და ზედაპირი ანუ FACE - სი. მათგან მხოლოდ ვერტექსის შექმნა შეიძლება დამოუკიდებლად, დანარჩენი შემადგენელი ელემენტები ვერტექსების შექმნის შემდეგ ჩნდება.

ობიექტის მოდელირების დაწყება ბევრნაირად შეიძლება. შესაქმნელი ობიექტის მოცულობის განსაზღვრით და შესაბამისი სტანდარტული ობიექტის არჩევით, ან ყველაზე მარტივი, ერთი ზედაპირის შექმნით და შემდგომ მისი გამრავლებით იმ ფორმის მიხედვით რის მოდელირებასაც ვახდენთ. როგორც არ უნდა დაიწყო მოდელირება, წესების დაცვა აუცილებელია. სწორი პოლიგონალური ბადე ვერტიკალური და ჰორიზონტალური ეჯებისგან ფორმირდება, ამისათვის აუცილებელია პირველი წესის დაცვა რომელიც ზედაპირის სწორ ტოპოლოგიურ ბადეს უზრუნველყოფს.

ამ წესის თანახმად **ერთი პოლიგონი უნდა შედგებოდეს არაუმეტეს ოთხი ვერტექსისგან**. ამ წესის დაცვით სამგანზომილებიანი ობიექტის ზედაპირი ოთხ კუთხიანი პოლიგონებისგან იქნება ფორმირებული, რომლებიც ძალაუნებურად ვერტიკალური და ჰორიზონტალური ეჯების ბადეს ქმნიან.

მეორე წესის თანახმად **ართი ვერტექსი არ უნდა აკავშირებდეს ხუთ ეჯზე მეტს**. იდეალურ შემთხვევაში ერთი ვერტექსი აერთიანებს ოთხ ეჯს, მაგრამ მეხუთე ეჯი ძალაუნებურად ემატება პოლიგონზე განხორციელებული ე.წ. ექსტრუდის დროს. ისეთ ვერტექსებს რომლებიც ხუთ ეჯს ანუ მონაკვეთს აერთიანებს სტარპოინტები ეწოდება, ვარსკვლავის სახის წერტილი. ე.წ. სტარპოინტების გარეშე პრაქტიკულად წარმოუდგენელია მოდელირება, მაგრამ მათი განლაგება მნიშვნელოვანია ისეთ ადგილებში იყოს, რომ არ მოხდეს ობიექტის ზედაპირის გაუაზრებლად გაფუჭება. ეს ორი წესი გახლავთ ძირითადი და მათი დაცვა აუცილებელია.

მესამე წესის დაცვა განსაზღვრავს მკვეთრი კუთხეების არსებობას მრგვლოვან ზედაპირზე. ასეთი ფორმები მრავლად გვხვდება, თითქმის ნებისმიერ ობიექტზე განსაკუთრებით სამრეწველო დიზაინის სფეროში, თუნდაც ადამიანის სხეულის მოდელირების დროს. ამ წესის ფორმულირება ბევრნაირად შეიძლება, წესი გვეუბნება **იქ სადაც საჭიროა არსებობდეს მკვეთრი ფორმა, ეჯები ერთმანეთთან ახლოს უნდა მდებარეობდეს**. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ უნდა შევქმნათ ვიწრო პოლიგონები. ეს წესი მოქმედებს ყოველთვის ფეისების ფიზიკურად არსებობის შემთხვევაში, მაგრამ არსებობს სხვა საშუალებები მკვეთრი ფორმების შესაქმნელად, მაგალითად CREASE მოდიფიკატორი.

მეოთხე წესი გვასწავლის ობიექტების ზედაპირის ტოპოლოგიურ სრულყოფილებას. პირველი ნაწილი გვეუბნება, რომ ნებისმიერი ფეისის გვერდითა ფეისი მისი მსგავსი უნდა იყოს, ხოლო მეორე ნაწილი გვასწავლის, რომ ვერტიკალურად და ჰორიზონტალურად მიმავალი ეჯები ობიექტის ფორმას უნდა მიეყვებოდნენ. ამ წესის დაცვით ობიექტები განსაკუთრებით ანიმაციური პერსონაჟები და ზოგადად მრგვლოვანი ზედაპირები ტოპოლოგიური ბადის სრულყოფას იძენენ. არ შეიძლება ძალიან დიდი სხვაობა იყოს პოლიგონების ზომას შორის, დავუშვათ ერთმა გრძელმა პოლიგონმა მოიცვას მკლავის ან წვივის მთელი მონაკვეთი მიუხედავად იმისა თუ იგი ფორმას ქმნის. ასეთი ზედაპირები ბევრ პრობლემებს ქმნიან, პირველი ობიექტის დამრგვალების დროს და შემდგომ მოდიფიკატორებთან მუშაობისას და ბოლოს ობიექტების ანიმირების პროცესში.

მეხუთე წესის დაცვით თავიდან ვიცილებთ ხარვეზებს რენდერის დროს, ამ წესის თანახმად ფეისები ერთმანეთში არ უნდა იკვეთებოდეს რასაც ინტერპოლაცია ეწოდება, ფეისების ერთმანეთში შეჭრა ობიექტის უზუსტობის გარდა რენდერის დროს ვიზუალურ ხარვეზს გვაძლევს. ამავე წესის მეორე ნაწილის თანახმად ფეისები რომლისგანაც არის აგებული ობიექტი ერთ მხარეს უნდა იხედებოდეს. მოგეხსენებათ ფეისებს მხოლოდ ერთი მხარე გააჩნია როგორც სიბრტყეს არ აქვს სისქე. ფეისების მიმართულებას ყურადღება ექცევა მოდელირების დროს, განსაკუთრებით ვიზუალიზაციის შემთხვევაში მასალები არასწორად რენდერდება და ვიზუალურ ხარვეზს ქმნის, ამიტომ არის მნიშვნელოვან ამ წესის დაცვა, რომ პოლიგონები ერთმანეთში არ შეიჭრას და ფეისები ყოველთვის გარეთა მხარეს იყოს მიმართული.

ეს ხუთი წესი უნივერსალურია ნებისმიერი პროგრამის პოლიგონალური მოდელირების სისტემისთვის, ამ წესების დაცვით ყოველთვის გამართული მოდელების შექმნა შეიძლება. როგორც ავღნიშნე პოლიგონალური მოდელირება ევკლიდური გეომეტრიის ევოლუციაა. მათ შორის კავშირი კი შემდეგშია.

ევკლიდეს პირველი განსაზღვრება გვეუბნება, რომ წერტილი არის ის რისი ნაწილიც არაფერია. მსგავსად ევკლიდეს წერტილის განსაზღვრებისა, ე.წ. VERTEX - იც, არის ის რასაც არ გააჩნია სხეული ის უბრალოდ დეკარტის კოორდინატთა სისტემაში არსებულ x , y და z ღერძზე მითითებული ციფრული მნიშვნელია.

ევკლიდეს პირველი პოსტულატი გვეუბნება, რომ ნებისმიერი წერტილიდან ნებისმიერ წერტილამდე შეიძლება გაივლოს მონაკვეთი. მონაკვეთი სამგანზომილებიან ვირტუალურ სივრცეში წარმოადგენს ე.წ. EDGE - ს. ეჯი იქმნება ორ ვერტექსს შორის, რომელსაც არ გააჩნია სისქე, მსგავსად ევკლიდეს განსაზღვრებისა წრფის შესახებ. განსაზღვრება გვეუბნება, რომ წრფე არის სიგრძე სისქის გარეშე, რომ წრფის კიდეები არის წერტილები და ბოლოს სწორი წრფე არის ის რომლის ყველა წერტილი თანაბრად არის განლაგებული. ევკლიდეს წრფესა და პოლიგონალური სისტემის ერთერთ კომპონენტს ეჯს შორის ძალიან დიდი მსგავსებაა და მისი უარყოფა შეუძლებელია. ბოლო კომპონენტი პოლიგონალურ სისტემაში წარმოადგენს ე.წ. FACE - სს ანუ ზედაპირს.

ფეისსა და ევკლიდეს სიბრტყის განსაზღვრებებს შორის ასევე უდაო კავშირია. ფეისი სამგანზომილებაში წარმოადგენს ზედაპირს რომელიც სამ ვერტექსს შორის იქმნება. ხოლო ევკლიდე გვეუბნება, რომ ზედაპირი არის ის რასაც გააჩნია მხოლოდ სიგრძე და სიგანე, ზედაპირის კიდეები არის წრფეები და ბოლოს სწორი ზედაპირი არის ის რომლის ყველა წრფე თანაბრად არის განლაგებული.

ამ განსაზღვრებებიდან გამომდინარე, პოლიგონალურ ზედაპირსაც არ გააჩნია სისქე მას მხოლოდ სიგრძე და სიგანე აქვს და მსგავსად ევკლიდეს ზედაპირის კიდეებისა რასაც წრფეები წარმოადგენენ, პოლიგონალური ზედაპირის კიდეებს ეჯები ქმნის. აქედან გამომდინარე ჩემს მიერ წარმოდგენილი პოლიგონალური მოდელირების წესები დაფუძნებულია ევკლიდეს განსაზღვრებებზე და პოსტულატებზე. ყოველივე ეს კი კიდევ ერთხელ ამტკიცებს გეომეტრიის უდიდეს როლს კაცობრიობის განვითარებაში და განსაკუთრებით მომავალი სამყაროს მშენებლობაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Toomas Little Heath – Euclid's Elements.

Fundamental rules of three-dimensional modeling

L. Mikeladze

Abstract

The article is devoted to the analysis and review of universal rules of polygonal modeling. Due to the relevance of 3D digital modeling and its study, and subsequently applying these rules to the practice, objects are created perfectly. Correctly modeled objects can be used for visualization, digital animation and 3D printing. Currently, three-dimensional printing is a new field, but in future it will be just as ordinary as printing on paper. Based on this perspective and my dissertation work "Spatial and Creative Thinking in Digital Modeling and Methods of their representation" I found it necessary to present to the reader five basic rules for polygon modeling based on the Euclidean geometry.

Фундаментальные правила трёхмерного моделирования

Л. Микеладзе

Резюме

Статья посвящена анализу и обзору универсальных правил полигонального моделирования. Благодаря актуальности трехмерного цифрового моделирования и его изучения, а в последствии применения на практике этих правил, объекты создаются без каких-либо недостатков. Правильно моделируемые объекты могут использоваться для визуализации, цифровой анимации и трехмерной печати. В настоящее время, трехмерная печать это новая сфера деятельности, но в будущем это будет так же обыденно как и печатанье на бумаге. Основываясь на этой перспективе и моей диссертационной работе "«Пространственное и творческое мышление в цифровом моделировании и методы их изображения» Я счел необходимым представить для читателя пять основных правил полигонального моделирования основанных на геометрии Евклида.



უაკ 0802

შემოქმედებითი აზროვნება

ლ. მიქელაძე

(თბილისის სახელმწიფო სამხატვრო აკადემია, 0108, საქართველო, თბილისი,
გრიბოედოვის ქ. №22)

რეზიუმე: სტატია ეძღვნება ადამიანის შემოქმედებით აზროვნებას. იმას თუ როდენ მნიშვნელოვანია განათლების სფეროში შემოქმედებით აზროვნებაზე ყურადღების გამახვილება, ჩვენი ქვეყნის განვითარებისთვის. სტატიაში მოყვანილია შემოქმედებითი აზროვნების მაგალითები და ასევე წარმოდგენილია პატარა ტესტი, რომელიც საშუალებას გვაძლევს გამოვაკლინოთ შემოქმედებითი აზროვნების დონე, ასე ვთქვათ როდენ შემოქმედებითად შეუძლია ადამიანს მიუდგეს საკითხს და გადაჭრას იგი. მოყვანილია სამყაროს შექმნის მეცნიერული და რელიგიური ვერსიები და ორივე, ერთმანეთთან დაკავშირებულია იდეის დაბადების ფაქტორთან რომლის არსი ამოუცნობია.

საკვანძო სიტყვები: შემოქმედებითი აზროვნება, მეცნიერული და რელიგიური ვერსიები.

რა არის შემოქმედებითი აზროვნება, გააჩნია თუ არა ის ყველა ადამიანს, როგორ უნდა განვავითაროთ ასეთი აზროვნება და ზოგადად რისთვის არის საჭირო შემოქმედებითი აზროვნება ინდივიდისთვის. ეს ის ძირითადი საკითხებია და არა მარტო რაზედაც წარმოგიდგენთ ჩემ დაკვირვებას და რამოდენიმე საინტერესო პარალელს გავავლებ თითქოს ერთმანეთთან არანაერ კავშირში მყოფ საგნებს შორის.

კაცობრიობის განვითარების ყოველ ეტაპზე შემოქმედებითი აზროვნება თამაშობდა გადამწყვეტ როლს თუმცა ძირითადად ყურადღება ექცეოდა არა შემოქმედებით აზროვნებას არამედ სხვადასხვა მიზეზ შედეგობრივ მოვლენებს რომლებმაც განაპირობეს კაცობრიობის განვითარება. მაგრამ ბოლო დროს სულ უფრო და უფრო ხშირად გვესმის ტერმინი კრეატიული რომელმაც უფრო ფართო მნიშვნელობა შეიძინა ვიდრე სიტყვა შემოქმედებითმა.

კრეატიულობა მეტად აქტუალური გახდა მრავალი დარგისთვის, განსაკუთრებით სახელოვნებო მიმართულების სფეროებში, ეს ზოგადად დადებითი მოვლენაა რითაც უფრო უკეთესი შედეგის მიღწევას შესაძლებელი დასახული მიზნების განსახორციელებლად.

ამგვარად, სულ უფრო და უფრო მეტი ადამიანი ცდილობს გარკვეული საკითხები კრეატიულად ანუ შემოქმედებითად გადაჭრას, მაგრამ ხდება ისე, რომ ტერმინი არასწორად ესმით და ხშირად ორიგინალურში ეშლება, რასაც არა სწორ და უცნაურ შედეგებთან მივყავართ. მოკლე განმარტებით კრეატიულობა არის მოვლენა როდესაც იქმნება რაღაც ახალი და გარკვეულ წილად სასარგებლო, თუმცა, საკითხის გადაჭრა ხშირად არც სასარგებლო და არც რაიმე ახალი გზის საშუალებით ხდება.

მრავალი ფაქტორი განსაზღვრავს როგორ და რა სახით აზროვნებს ადამიანი, მათ შორის გარემო არის ის ფაქტორი რომელიც ძირითადად აყალიბებს ადამიანის აზროვნების თავისებურებებს, განსაკუთრებით შემოქმედებითი აზროვნების დონეს. გარემო სადაც ვითარდება ახალგაზრდა ადამიანი უდიდეს გავლენას ახდენს მისი მსოფმხედველობის ჩამოყალიბებაში. სხვაგვარად რომ ვთქვათ ის გარემო სადაც ის ყალიბდება როგორც ინდივიდი, შედგება მრავალი ფაქტორისგან, მათ შორის, გეოგრაფიული, სოციალური მდგომარეობა, ასევე მნიშვნელოვანი ფაქტორი გახლავთ შემთხვევითობა.

ეს გარემოს ის შემადგენელი ნაწილებია რის უგულველყოფასაც ვერ შევძლებთ. ერთი სიტყვით გარემო არის ის ფაქტორი რამაც განსაზღვრა ადამიანის განვითარება. შემოქმედებით აზროვნებას ხელს უწყობს გარემო სადაც, შეზღუდული შესაძლებლობებია, ამის მაგალითია ადამიანის მოხერხებულობა,

როდესაც იგი მაქსიმალურად იყენებს მისთვის ხელმისაწვდომ საშუალებებს საუკეთესო შედეგის მისაღებად.

აქედან გამომდინარე, რთულად წარმომიდგენია ადამიანმა იაზროვნოს იმ ელემენტებით რომლებიც მის გონებაში გარემოდან მიღებული ინფორმაციით არ არის შემდგარი, პრაქტიკულად ასეთი ელემენტები არ არსებობს ყოველ შემთხვევაში მსურს ვიფიქრო, რომ ადამიანს შეუძლია წარმოშვას იდეები რომლთა საწყისი ბუნებიდან მიღებული არ აქვს. მაგალითისთვის დავსვათ ასეთ კითხვას? შესაძლებელია თუ არა რაიმე ისეთის მოფიქრება რისი საწყისიც არ იქნება ბუნებიდან აღებული ელემენტი. მარტივად რომ ვთქვათ რაიმე არარსებულის მოფიქრება. მაგალითად შეძლებდა თუ არა ადამიანი მოეფიქრებინა გამჭვირვალე იმ პირობაში თუ მისი მაგალითი ბუნებაში არ იქნებოდა, წარმოვიდგინოთ ყველა სითხე და კრისტალი რძესავით გაუმჭვირვალე, რომ ყოფილიყო.

ენერგეტიკული მაჩვენებლების გაუმჯობესება

კარიპისი ს.ი., შარვაშიძე ა.მ., სანიკიძე ჯ.კ.,

ჩიჩუა ლ.ზ., სხირტლაძე ი.პ.

რეზიუმე

სტატიაში პირველად სწორედ არის განსაზღვრული გამშვები დანაკარგების კოეფიციენტი როგორც გასვების პროცესში, ასევე მაღალი სიჩქარით მოძრაობისას. მოყვანილია ამ მატარებლების, რომლებიც მუშაობენ საქართველოს რკინიგზაზე 17 წელზე მეტი ხნის განმავლობაში, პრაქტიკული ელექტრული სქემები, სადაც არ არსებობს ელექტროენერგიის დამატებითი დაკარგები რომელიმე ელემენტზე. მოყვანილია ამ მატარებლების ელექტრული სქემები თანამედროვე ტრანზისტორებზე IGBT, 6500V, 600A.



უაკ 621.337.2.072.2:681.586.6

ЭР-2 და ЭР-22 ელექტრომატარებლების ტირისტორული სქემით
სიჩქარის რეგულირებისას ფილტრის და საკომუტაციო კონტურის

პარამეტრების გაანგარიშების მეთოდი

ს. კარიპიდიანი, ა. შარვაშიძე, ჯ. სანიკიძე,

ლ. ჩიჩუა, ი. სხირტლაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, საქართველო, თბილისი,

მ. კოსტავას ქ. №77)

რეზიუმე: ცნობილია, რომ ნებისმიერი იმპულსური გარდამქმნელის და მითუმეტეს სიხშირულ-იმპულსური გარდამქმნელის მკვებავ ქსელთან ერთდროულად მუშაობა, მნიშვნელოვნადაა დამოკიდებული გარდამქმნელის საფილტრო მოწყობილობის და საკომუტაციო კონტურის პარამეტრების სწორ შერჩევაზე. წინამდებარე ნაშრომში შემოთავაზებულია აღნიშნული პარამეტრების განსაზღვრის გამარტივებული მეთოდი. წარმოდგენილ ნაშრომში პირველადაა განსაზღვრული რეზონანსის ზონა საფილტრო მოწყობილობაში, რაც არაა გაკეთებული განივ-იმპულსურ რეგულატორში. საკომუტაციო კონტურის პარამეტრების გათვლისას შემოთავაზებულია არსებულზე უფრო მარტივი და ზუსტი მეთოდი.

საკვანძო სიტყვები: იმპულსატორი, სიხშირულ-იმპულსური, განივ-იმპულსური, ტირისტორი, ფილტრი, საკომუტაციო კონტური, პარამეტრი და ა.შ.

ა) ფილტრის ელემენტების პარამეტრების გაანგარიშება

როგორც ცნობილია, იმპულსური რეგულირების დროს საკონტაქტო ქსელში დენის პულსაციის შესამცირებლად გამოიყენება საფილტრო

მოწყობილობა. დღეისათვის საფილტრო მოწყობილობის მრავალი სქემაა ცნობილი. პრაქტიკულად მომუშავე ძალურ იმპულსური რეგულირების სქემებში ფართო გავრცელება ჰპოვა ე.წ. I და II მაგვარმა ფილტრებმა.


საკონტაქტო ქსელში დენის პულსაციის მაღალი დონე უარყოფითად მოქმედებს კავშირგაბმულობის და სიგნალიზაციის გამართულ მუშაობაზე. ამიტომ პულსაციის დონე მკაცრადაა ლიმიტირებული. აღნიშნულიდან გამომდინარე, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფილტრის პარამეტრების სწორ განსაზღვრას, რათა პულსაციამ არ გადააჭარბოს დასაშვებ ნორმებს.

ჩვენი გამოკვლევების მიზანს შეადგენს გავანალიზოთ ფიზიკური პროცესები და შევიმუშაოთ მეთოდიკა ფილტრის პარამეტრების ზუსტი განსაზღვრისათვის. ამ მიზნით განვიხილავთ I-ს მაგვარ ფილტრს, რომლისაგანაც იკვებება იმპულსური გარდამქმნელი. სიხშირულ-იმპულსური გარდამქმნელების მუშაობის გარკვეულ სიხშირეზე წარმოიშვება მეტად არასასურველი რეზონანსული პროცესები, რომლის თავიდან ასაცილებლად სხვადასხვა ავტორები მიმართავენ სხვადასხვა მეთოდს. კერძოდ, ფილტრის დროსელს L უმატებენ დაბალ დენებზე გათვლილ დიდ ინდუქტიობას L1, რომელიც გარკვეულ დენზე (სიხშირეზე) შუნტირდება „K“ კონტაქტორით (ნახ. 1, ა). ზოგიერთი ავტორი გვთავაზობს ფილტრის დროსელს არაწრფივი მახასიათებლით (ნახ. 1, ბ).

წინამდებარე ნაშრომში აღნიშნული ამოცანის გადასაწყვეტად წარმოვადგენთ ახალ ორიგინალურ მეთოდს, ფილტრის შესასვლელზე VD ძალური დიოდის ჩართვას, რომელიც ეწინააღმდეგება საკონტაქტო ქსელსა და იმპულსურ გარდაქმნელს შორის რეზონანსული დენების ცირკულაციას (ნახ. 1, გ).

ქვემოთ განვიხილავთ სქემას (ნახ. 1, ვ), რომლის პარამეტრების განსაზღვრისას მიღებულია დაშვებები:

- მკვებავი ძაბვა იდეალურად გასწორებულია (პულსაცია ნულის ტოლია);
- სქემის ელემენტების აქტიური წინააღმდეგობის სიმცირის გამო უგულვებელყოფილია;




ნახ. 1.

- დატვირთვის დენი იდეალურად გასწორებულია (პულსაცია ნულის ტოლია);
- წევის ძრავები, მათი დიდი ინდუქტივობის გამო, წარმოდგენილია როგორც I_0 დენის წყარო.

უნდა აღინიშნოს, რომ დღეისათვის არსებობს ფილტრის პარამეტრების გათვლის მრავალი მეთოდი. კერძოდ: ფაზური სიბრტყის მეთოდი [1], დენის მრუდების ფურიეს მწკრივად დაშლის მეთოდი [2-3] და ა.შ.

ფილტრის პარამეტრების გაანგარიშების ჩვენს მიერ შემოთავაზებული მეთოდი ზუსტი და უფრო თვალსაჩინოა და საშუალებას გვაძლევს დავადგინოთ რეზონანსული მოვლენების წარმოქმნის ზონები. საანგარიშო სქემა მოცემულია ნახ. 2-ზე, რომელზეც ტირისტირული გარდამქმნელი წარმოდგენილია K მწყვეტარას სახით, ხოლო წევის ძრავები შეცვლილია I_0 დენის წყაროთი.



ნახ. 2.

ნახ. 3-ზე წარმოდგენილია ფილტრის დამყარებულ რეჟიმში მუშაობის დამახასიათებელი დენების და ძაბვების იდეალიზებული მრუდები სიხშირულ-იმპულსური რეგულირებისას. აქ გამოყენებულია შემდეგი აღნიშვნები:

T_0 – ტირისტორული მწყვეტარას რხევითი კონტურის პერიოდია

$$T_0 = \frac{2\pi}{\omega_0}; \quad \omega_0^2 = \frac{1}{L_k C_k};$$

T – სიხშირული იმპულსური გარდამქმნელის მუშაობის პერიოდია, რომელიც იცვლება $T = 2\pi/\omega_0$ ფარგლებში.

Ω^2 – ფილტრის საკუთარი კუთხური სიხშირეა, $\Omega^2 = 1/LC$.


სანამ განვიხილავთ ზუსტი გაანგარიშების მეთოდს, მანამ იდეალიზებული მრუდების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია გამოვიყვანოთ გარკვეული თანაფარდობები, რომლებიც იქნება ამოცანის პირველი მიახლოებითი გადაწყვეტა.

ნახ. 3-ზე მოცემული მრუდების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავწეროთ:

$$C \frac{dU_c}{dt} = I_0 - I. \quad (1)$$

ზემოთ მიღებული დაშვებები შესაძლებლობას გვაძლევს (1) ჩავწეროთ შემდეგი სახით:

$$C \frac{\Delta U_c}{\Delta t} = I_0 - I \quad (2)$$



ნახ. 3.

ან, როგორც:

$$C \frac{\Delta U_c}{t_0} = I_0 - \frac{t_0}{T} I_0 = I_0 \left(1 - \frac{t_0}{T}\right). \quad (3)$$

(3) გამოსახულებიდან განვსაზღვრავთ ფილტრის კონდენსატორზე ძაბვის პულსაციას:

$$\Delta U_c = \frac{I_0 t_0}{C} \left(1 - \frac{t_0}{T}\right). \quad (4)$$

თუ იგივეს ჩავწერთ ფარდობით ერთეულებში, მივიღებთ:

$$\frac{\Delta U_c}{U} = \frac{I_0 t_0}{UC} \left(1 - \frac{t_0}{T}\right). \quad (5)$$

(5) განტოლებით, ფილტრის მოცემული პარამეტრებისათვის, შეგვიძლია პირველი მიახლოებით განვსაზღვროთ ფილტრის კონდენსატორზე ძაბვის პულსაცია.

დავწეროთ:

$$L \frac{di}{dt} = \frac{\Delta U_c}{4}. \quad (6)$$

თუ (6)-ში $\frac{di}{dt}$ შევცვლით სასრულო ნაზრდით $\frac{\Delta i}{\Delta t}$ -თი, მივიღებთ:

$$L \frac{\Delta I}{\Delta t} = \frac{\Delta U_c}{4} \quad \text{და} \quad L \frac{\Delta I}{t_0} = \frac{\Delta U_c}{4}. \quad (7)$$

(7)-დან საბოლოოდ ვწერთ:

$$\Delta i = \frac{I_0 t_0^2}{4UC} \left(1 - \frac{t_0}{T}\right). \quad (8)$$

ფარდობით ერთეულებში გვექნება:

$$\frac{\Delta I}{I_0} = \frac{t_0^2}{4UC} \left(1 - \frac{t_0}{T}\right). \quad (9)$$

(5) და (9) გამოსახულებებით, შეგვიძლია პირველი მიახლოებით განვსაზღვროთ ძაბვისა და დენის პულსაციების მნიშვნელობები I_0 , L და C მოცემული პარამეტრებისათვის და ავაგოთ დამოკიდებულებები $\frac{\Delta U}{U} = f\left(\frac{t_0}{T}\right)$

და $\frac{\Delta i}{I_0} = f\left(\frac{t_0}{T}\right)$ (ნახ. 4).

$L_{\text{გ}}$ და $C_{\text{გ}}$ პარამეტრების მნიშვნელობები პრაქტიკული ანგარიშებისათვის საკმარისი სიზუსტით შეგვიძლია გავთვალოთ (4) და (8) გამოსახულებების საფუძველზე ΔU_c და ΔI სიდიდეების მოცემული მნიშვნელობებისათვის. თუ მოითხოვება ზემოთნაჩვენები პარამეტრების უფრო ზუსტი გაანგარიშება, შეგვიძლია ვისარგებლოთ [5] ნაშრომში მოცემული უფრო მაღალი სიზუსტის მქონე ფაზური სიბრტყის მეთოდით.

მაშასადამე, თუ მოცემული გვაქვს:

$$\Delta U_c = 300 \text{ ვ}; \quad t_0 = 600 \cdot 10^{-6} \text{ წმ}; \quad T = 0,002 \text{ წმ} \quad (f = 500 \text{ ჰერცი}); \quad U = 3000 \text{ ვ};$$


$I_H = 450 \text{ ამპ}$; (4) ფორმულის საფუძველზე შეგვიძლია დავწეროთ

$$C_{\text{გ}} = \frac{I_H \cdot t_0}{\Delta U_c} \left(1 - \frac{t_0}{T}\right) = \frac{450 \cdot 600 \cdot 10^{-6}}{300} \left(1 - \frac{600 \cdot 10^{-6}}{0,002}\right) = 630 \cdot 10^{-6} \text{ ფ.}$$

ანალოგიურად, იმავე პარამეტრებისათვის, როდესაც $\Delta I = 4,5 \text{ ამპ}$, (8)

გამოსახულების საფუძველზე შეგვიძლია დავწეროთ:

$$L_{\text{გ}} = \frac{I_n \cdot t_0^2}{4C\Delta I} \left(1 - \frac{t_0}{T}\right) = \frac{450(600)^2 \cdot 10^{-12}}{4 \cdot 630 \cdot 10^{-6} \cdot 4,5} (1 - 0,3) = 14,28 \cdot 10^{-3} + \text{ჰენრი.}$$



ნახ. 4.

მათი პრაქტიკული უფრო ზუსტი მნიშვნელობები ტოლია:

$$C_{\text{გ}} = 600 \cdot 10^{-6} \text{ ფ; } L_{\text{გ}} = 10 \cdot 10^{-3} \text{ ჰენრი.}$$

მიღებული აღნიშვნებისა და საწყისი პირობების გათვალისწინებით $0 < t < T_0$ შეგვიძლია ინტერვალისათვის შევადგინოთ განტოლებათა სისტემა ოპერატორულ ფორმაში:

$$U(P) = L[PI(P) - I_1(0)] + U_c(P), \quad (10)$$

$$I(P) = I_0(P) - I_c(P), \quad (11)$$

$$I_c(P) = C[U_{c1}(0) - PU_c(P)]. \quad (12)$$

(10), (11) და (12) განტოლებების ერთდროული ამოხსნით $I(P)$ და $U_c(P)$ მიმართ მივიღებთ:

$$I(P) = I_1(0) \frac{P}{P^2 + \Omega^2} + \frac{U}{L} \cdot \frac{1}{P^2 + \Omega^2} - \frac{U_{c1}(0)}{L} \cdot \frac{1}{P^2 + \Omega^2} \cdot \frac{I_0}{LC} \cdot \frac{1}{P(P^2 + \Omega^2)}, \quad (13)$$

$$U_c(P) = \frac{U}{LC} \cdot \frac{1}{P(P^2 + \Omega^2)} - \frac{I_0}{C} \cdot \frac{1}{P^2 + \Omega^2} + U_{c1}(0) \frac{P}{P^2 + \Omega^2} + I_1(0) \cdot \frac{1}{P^2 + \Omega^2}. \quad (14)$$

შესაბამის დროით ფუნქციებს [4] ექნებათ სახე:

$$I(t) = I_1(0) \cos \Omega t + U \sqrt{\frac{L}{C}} \sin \Omega t - U_{c1}(0) \sqrt{\frac{C}{L}} \sin \Omega t + I_0(1 - \cos t), \quad (15)$$

$$U_c(t) = U(1 - \cos \Omega t) - I_0 \sqrt{\frac{L}{C}} \sin \Omega t + U_{c1}(0) \cos \Omega t + I_1(0) \sqrt{\frac{L}{C}} \sin \Omega t. \quad (16)$$

(15) და (16) განტოლებებით $0 < t < T_0$ ინტერვალში შეგვიძლია გამოვთვალოთ ნებისმიერი რეჟიმი.

ახლა განვიხილოთ $0 < t < T - T_0$ ინტერვალი (K მწვევტარა გამორთულია). განტოლებებს ექნებათ სახე:

$$U(P) = L[PI(P) - I_2(0)] + U_c(P), \quad (17)$$

$$I(P) = C[U_{c2}(0) - PU_c(P)]. \quad (18)$$

(17) და (18) განტოლებების ერთდროული ამოხსნით $I(P)$ და $U_c(P)$ მიმართ მივიღებთ:

$$I(P) = \frac{U}{L} \cdot \frac{1}{P^2 + \Omega^2} + I_2(0) \cdot \frac{P}{P^2 + \Omega^2} + \frac{U_{c2}(P)}{L} \cdot \frac{1}{P^2 + \Omega^2}, \quad (19)$$

$$U_c(P) = \frac{U}{LC} \cdot \frac{1}{P(P^2 + \Omega^2)} + \frac{I_0(0)}{C} \cdot \frac{1}{P^2 + \Omega^2} - U_{c2}(0) \frac{P}{P^2 + \Omega^2}. \quad (20)$$

შესაბამისად, დროით ფუნქციაში გვექნება:

$$I(t) = I_2(0) \cos \Omega t + U \sqrt{\frac{L}{C}} \sin \Omega t + U_{c2}(0) \sqrt{\frac{C}{L}} \sin \Omega t, \quad (21)$$

$$U_c(t) = U(1 - \cos \Omega t) - I_2(0) \sqrt{\frac{L}{C}} \sin \Omega t - U_{c2}(0) \cos \Omega t. \quad (22)$$

(21) და (22) გამოსახულებებით შეგვიძლია $0 < t < t - T_0$ ინტერვალისთვის გავთვალოთ ნებისმიერი რეჟიმი.

$0 < t < T_0$ ინტერვალისათვის, (16) განტოლების საფუძველზე, ვწერთ:

$$U_{c2}(0) = U(1 - \cos \Omega T_0) - I_2(0) \sqrt{\frac{L}{C}} \sin \Omega T_0 + U_{c1}(0) \cos \Omega T_0 + I_1(0) \sqrt{\frac{L}{C}} \sin \Omega T_0. \quad (23)$$

თუ გავითვალისწინებთ, რომ

$$U_{c1}(0) = 2U_{c1} - U_{c2}(0), \quad (24)$$

(23) და (24) საფუძველზე შეგვიძლია დავწეროთ:

$$U_{c2}(0) = \frac{1}{1 + \cos \Omega T_0} \left[U(1 - \cos \Omega T_0) - I_0 \sqrt{\frac{L}{C}} \sin \Omega T_0 + 2U \cos \Omega T_0 + I_1(0) \sqrt{\frac{L}{C}} \sin \Omega T_0 \right]. \quad (25)$$

ასევე (22)-ის საფუძველზე ვწერთ:

$$U_{c1}(0) = U[1 - \cos \Omega(T - T_0)] + I_2(0) \sqrt{\frac{L}{C}} \sin \Omega(T - T_0) - U_{c2}(0) \cos \Omega(T - T_0). \quad (26)$$

(25) და (26) საფუძველზე შეგვიძლია დავწეროთ:

$$\Delta U_{c1} = U_{c1}(0) - U_{c2}(0). \quad (27)$$

(27) განტოლებით, მოცემულია Ω^2 და T_0/T მნიშვნელობებისათვის შეგვიძლია გავთვალოთ კონდენსატორზე ძაბვის პულსაცია ΔU_c ; ეს უფრო ზუსტია ვიდრე (4) განტოლება. ამ დროს ვითვალისწინებთ, რომ

$$I_1(0) \approx I_2(0) = I_0 \frac{T_0}{T}. \quad (28)$$

ანალოგიურად, დენის პულსაციისათვის ვწერთ:

$$I_{\max} = I_2(0) \cos \Omega(T - T_0) \frac{1}{2} + U \sqrt{\frac{C}{L}} \sin \Omega(T - T_0) + U_{c2}(0) \sqrt{\frac{C}{L}} \sin \Omega(T - T_0) \frac{1}{2}. \quad (29)$$

$$\Delta I = I_{\max} - I_1(0), \quad (30)$$

სადაც I_{\max} აიღება (29) გამოსახულების მიხედვით, ხოლო $I_1(0)$ კი – (28) მიხედვით, $U_c(0)$ ძაბვის მნიშვნელობა აიღება (25) მიხედვით.

გაანგარიშების გაიოლების მიზნით, (28) განტოლება წარმოვადგინოთ შემდეგნაირად:

$$I_{\max} = I_2(0) \cos \Omega T_0 \left(1 - \frac{T_0}{T}\right) - U \sqrt{\frac{C}{L}} \sin \Omega T_0 \left(1 - \frac{T_0}{T}\right) - U_{c2}(0) \sqrt{\frac{C}{L}} \sin \Omega T_0 \left(1 - \frac{T_0}{T}\right). \quad (31)$$

როგორც ცნობილია [2], ფილტრის მუშაობის ეფექტურობის შესაფასებლად შემოაქვთ ფილტრის გასწორების კოეფიციენტის ცნება, რომელიც შეიძლება წარმოვადგინოთ როგორც:

$$K_g = \frac{\Delta U_{c1}}{\Delta U_{c2}} = \frac{\Delta I_1}{\Delta I_2}, \quad (32)$$

სადაც ΔU_{c1} , ΔU_{c2} , ΔI_1 , ΔI_2 წარმოადგენენ ძაბვისა და დენის მყისიერ (ეფექტურ) მნიშვნელობებს $0 < t < T_0$ და $0 < t < T - T_0$ ინტერვალებში.

31) გათვალისწინებით შეგვიძლია დავწეროთ:

$$K_g = \frac{U_{c1}(0) - U_c(T_0)}{U_c(T - T_0) - U_{c2}(0)}, \quad (33)$$


სადაც $U_c(T_0)$ და $U_c(T-T_0)$ აიღება (16) და (25) გამოსახულებიდან.

(33) განტოლება შეგვიძლია დავიყვანოთ შემდეგ მარტივ სახემდე:

$$K_g = \frac{1}{(\omega^2/\Omega^2)-1} \quad (34)$$

სადაც

$$\Omega = \frac{1}{\sqrt{LC}}; \quad \omega = \frac{2\pi}{T_0} \left(\frac{T_0}{T} \right) = \frac{2\pi}{T_0} \lambda. \quad (35)$$



ნახ. 5.

თუ ვისარგებლებთ (34) გამოსახულებით, შეგვიძლია ავაგოთ დამოკიდებულება (ნახ. 5)

$$K_g = f\left(\frac{\omega}{\Omega}\right).$$

ბ) საკომპუტაციო კონტურის პარამეტრების გაანგარიშება

დღეისათვის აღნიშნულ ამოცანაზე მიძღვნილია საკმარისზე მეტი ნაშრომები, რომელთა უმრავლესობა მოცემულია [1; 2; 3; 5]-ში. მათში დასმულ ამოცანაზე სხვადასხვა გზებითაა მიღებული შესაბამისი პასუხები. ჩამოთვლილი სამუშაოებიდან უნდა აღინიშნოს [6] ნაშრომი, რომელშიც ყურადღება ძირითადად ეთმობა ფილტრის ორივე პარამეტრს L და C -ს, ინდუქტიობის

ელექტრომაგნიტური ენერჯის $\frac{LI^2}{2}$ და ტევადობის ელექტრული ენერჯის $\frac{CU^2}{2}$ სახით, რის საფუძველზეც ხდება ამოცანის ოპტიუმის განსაზღვრა.

წინამდებარე სამუშაოში გამოყენებულია სულ სხვა მიდგომა, რომელიც ითვალისწინებს ორივე ელემენტის ერთდროულ $\frac{LC \cdot I_{\text{გ}}}{U_{\text{ც}} \cdot C}$ პარამეტრის სახით მოქმედებას, რის საფუძველზეც წარმოებს ჩვენთვის საინტერესო პარამეტრის მინიმუმის განსაზღვრა. როგორც ქვემოთ იქნება ნაჩვენები, ასეთი მიდგომა შედარებით იოლია მიზნის მისაღწევად.

რხევითი კონტურის დენის მრუდი ნაჩვენებია ნახ. 6-ზე. აქვე მითითებულია მისი ძირითადი პარამეტრები, ისეთები როგორცაა: ტირისტორის გამორთვის დრო $\omega_0 t_{\text{გ}}$; დატვირთვის დენის სიდიდე $I_{\text{გ}}$; რხევითი კონტურის დენის ამპლიტუდა I_m ; $I_m \sin \omega_0 t$ სინუსოიდის და დატვირთვის დენის $I_{\text{გ}}$ გადაკვეთის წერტილი 1, რომელიც შეესაბამება $\omega_0 t_{\text{გ}}$ დროს და ა.შ. აღნიშნული ნახაზის საფუძველზე, შეგვიძლია დავწეროთ გამორთვის დროის $t_{\text{გ}}$ -ის გასაანგარიშებელი გამოსახულება

$$t_{\text{გ}} = \sqrt{LC} \left(\pi - 2 \arcsin \frac{I_{\text{გ}}}{I_m} \right), \quad (36)$$

სადაც $t_{\text{გ}}$ არის ტირისტორის გამორთვის დრო;

L, C – რხევითი კონტურის ინდუქტივობა და ტევადობა;

I_m – ხვედრითი კონტურის დენის ამპლიტუდა;

$I_{\text{გ}}$ – დატვირთვის დენის მნიშვნელობა.

ცნობილია, რომ $I_m = U_{\text{ც}} \sqrt{\frac{C}{L}}$; თუ აღნიშნულს გავითვალისწინებთ და

შემოვიღებთ აღნიშვნებს

$$\lambda = \frac{I_{\text{გ}}}{U_{\text{ც}} \cdot C} \sqrt{LC}; \quad \tau_{\text{გ}} = \frac{I_{\text{გ}}}{U_{\text{ც}} \cdot C} t_{\text{გ}},$$

მაშინ (36) გამოსახულება შეგვიძლია ჩავწეროთ ასე

$$\tau_{\text{გ}} = \lambda (\pi - 2 \arcsin \lambda). \quad (37)$$

(37) გამოსახულებაში τ_{ϕ} არის ტირისტორის გამორთვის დრო განზომილების გარეშე. L და C პარამეტრების ოპტიმალური მნიშვნელობები შეგვიძლია განვსაზღვროთ თუ $\frac{\partial \tau_{\phi}}{\partial \lambda}$ წარმოებულს გაუტოლებთ 0-ს. ამ შემთხვევაში მივიღებთ

$$f(\lambda) = \pi - 2 \arcsin \lambda - \frac{2\lambda}{\sqrt{1-\lambda^2}} = 0. \quad (38)$$


(38) ტრანსცენდენტური განტოლება შეიძლება ამოხსნას ნებისმიერი მიახლოებითი მეთოდით. ამოხსნის შედეგად ვღებულობთ λ პარამეტრის ოპტიმალურ მნიშვნელობას $\lambda_{\max} = 0,6514$.

(37) გამოსახულებით ვაწარმოებთ გათვლას და მიღებული შედეგები შეგვაქვს 1 ცხრილში.

ცხრილი 1

λ	0,4	0,5	0,63	0,65	0,67	0,7	0,75	0,8	–
λ_{ϕ}	0,9267	1,0467	1,1194	1,1211	1,11996	1,1124	1,082	1,0283	–

1-ლი ცხრილის მონაცემებით ვაგებთ დამოკიდებულებას $\tau_{\phi} = f(\lambda)$ ნახ. 6, ბ.



ნახ. 6. რხევითი კონტურის დენების და მრუდების ფორმები.

როგორც აგებული $\tau_{\delta} = f(\lambda)$ მრუდიდან ჩანს ზუსტად $\lambda_{\max} = 0,6514$ მნიშვნელობაზე τ_{δ} აღწევს მაქსიმუმს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ გზით გათვლილი LC პარამეტრების მნიშვნელობები იქნება ოპტიმალური.

$$\tau_{\delta} = \frac{I_{\text{გ}}}{U_{\text{გ}} \cdot C} \cdot t_{\text{გ,ამ}} \quad \text{გამორთვის დროს ფარდობითი მნიშვნელობის}$$

განსასაზღვრელი გამოსახულების საფუძველზე, საკომუტაციო კონდენსატორი ტევადობა, განისაზღვრება როდესაც: $I_{\text{გ}} = 150$ ამპ; $U_{\text{გ}} = 3000$ ვ; $t_{\text{გ}} = 500 \cdot 10^{-6}$ წმ, ოპტიმალური $\tau_{\delta} = 1.12$ (იხ. ნახ. 1), მივიღებთ

$$C_{\text{კ}} = \frac{I_{\text{გ}} \cdot t_{\text{გ}}}{\tau_{\delta} \cdot U_{\text{გ}}} = \frac{150 \cdot 500 \cdot 10^{-6}}{1,12 \cdot 3000} = 22,32 \cdot 10^{-6} \quad \text{ფ,}$$

საკომუტაციო კონტურის ინდუქტივობა $L_{\text{კ}}$ განისაზღვრება გამოსახულებიდან:

$$L_{\text{კ}} = \left(\frac{U_{\text{გ}}}{I_{\text{მ}}} \right)^2 C_{\text{კ}} = \left(\frac{3000}{300} \right)^2 \cdot 22,32 \cdot 10^{-6} = 2,32 \cdot 10^{-3} \quad \text{ჰენრი.}$$

დასკვნა

1. გაანგარიშების წარმოდგენილი მეთოდიკით ჩატარდა გაანგარიშება ЭР-2 და ЭР-22 ელექტრომატარებლების სიჩქარის რეგულირების სიხშირულ-იმპულსური რეგულატორების ფილტრის და საკომუტაციო კონტურის მიზანშეწონილი პარამეტრების მნიშვნელობების დასადგენად.

გაანგარიშების შედეგად ელექტრომატარებლის ერთი მოტორული სექციისათვის, რომლის სიმძლავრეა $P = 1200$ კვტ, მიღებულია შემდეგი მნიშვნელობები:

ა) საფილტრო მოწყობილობისათვის:

$$I_{\text{გ,ამ}} = 450 \quad \text{ამპ;}$$

ინდუქტიურობა $L_{\text{კ}}$ ჰენრი;

ტევადობა $C_{\text{კ}} = 630 \cdot 10^{-6}$ ფარადი;

ბ) საკომუტაციო კონტურისათვის:

$$I_{\text{ნომ}} = 250 \text{ ამპ.}$$

ინდუქტიურობა $L_{\text{ფ}} = 13,28 \cdot 10^{-3}$ ჰენრი.

საკომუტაციო კონდენსატორის ტევადობა ერთი ფაზისათვის

$$L_{\text{ფ}} = 22,32 \cdot 10^{-6} \text{ ფარადი; } t_{\text{ალღ}} = 600 + \text{ მკწმ;}$$

2. მიღებული ანალიტიკური გამოსახულებების საფუძველზე განსაზღვრულია საფილტრო მოწყობილობაში რეზონანსის მომენტი, რომელიც ზემოთ განსაზღვრულ პარამეტრებისას უტოლდება $f_{\text{რ.ზ.}} = (50-60)$ ჰერცს.
3. რეზონანსის თავიდან ასაცილებლად, სქემაში გათვალისწინებულია საფილტრო მოწყობილობის მიმდევრობით დიოდის ჩართვა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Карибов С.И., Георгадзе Р.И. и др. Метод расчета входных фильтров тяговых тиристорных преобразователей. // Электричество, Москва, № 9, 1969. – с.
2. Буре И.Т., Шевченко В.В. Входные фильтры статических преобразователей ЭВС постоянного тока. // Электричество, Москва, № 5, 1970. – с.
3. Электропоезда постоянного тока с импульсными преобразователями. // Под ред. В.Е. Розендельфа. – Москва: Транспорт, 1976. – с.
4. Гарднер М.Ф., Бернс Дж.Л. Переходные процессы в линейных системах. – Москва: Физматгиз, 1961. – с.
5. Карипидис С.И. Статические преобразователи электроподвижного состава. Технический университет. Тбилиси, 2015.
6. Бедфорд Б., Ховт Р. Теория автономных инверторов. Москва. Энергия. 1969.

**МЕТОД РАСЧЕТА ПАРАМЕТРОВ ФИЛЬТРА И КОММУТАЦИОННОГО
КОНТУРА ПРИ РЕГУЛИРОВАНИИ СКОРОСТИ ЭЛЕКТРОПОЕЗДОВ EP-2 И
ЭР-22 ПО ТИРИСТОРНОЙ СХЕМЕ**

С. Карипидис, А. Шарвашидзе, Дж. Саникидзе,

Л. Чичуа, Ю. Схиртладзе

Резюме

Известно, что одновременная работа любого импульсного преобразователя и тем более частотно-импульсного преобразователя с питающей сетью, во много зависит от правильного выбора параметров устройства фильтра преобразователя и коммуникационного контура. В настоящей работе предлагается упрощенный метод определения указанных параметров. В настоящей работе впервые определена зона резонанса в устройстве фильтрации, что не сделано в поперечно-импульсном регуляторе. При вычислении параметров коммуникационного контура предложен более простой и более точный метод.

**METHOD OF CALCULATION OF FILTER AND SWITCH CONTOUR
PARAMETERS AT REGULATING THE SPEED OF EP-2 AND ER-22 ELECTRIC
TRAINS BY THYRISTOR SCHEMES**


S. Karipidis, A. Sharvashidze, J. Sanikidze,

L. Chichua, I. Skhirtladze

Abstract

It is well known that simultaneous works of any pulse transmitter and even more frequency-pulse transmitter is significantly depending on the correct selection of transformer's transmitter filter device and switching contour parameters. In the present work is offered a simplified method for determining the above parameters. In the present work, the resonance zone is firstly defined in the filtration device that is not made for transversal-pulse regulator. At calculating the parameters of the switxhing contour, a simpler and more accurate method is offered.

GTU
TRANSPORT AND MACHIN-
ENGINEERING FACULTY
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№1 (41)  2018
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უაკ: 330; 625

ხარისხის მენეჯმენტის სისტემის ეფექტურობა

საქართველოს ორგანიზაციებში

ნ. სებისკვერაძე

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, საქართველო, თბილისი,
მ . კოსტავას ქ. №77)

რეზიუმე: წარმატების მიღწევის მიზნით, მომხმარებლის და სხვა დაინტერესებული მხარეების მოთხოვნილებების და მოლოდინის დაკმაყოფილებისთვის, ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს და დანერგოს ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, რომელიც შეადგენს კომპანიის საერთო მართვის ორგანულ ნაწილს. კომპანიის ხელმძღვანელობის ყველაზე მნიშვნელოვან ამოცანას წარმოადგენს ცვლილებების დანერგვის აუცილებლობის გაცნობიერება, დანერგვის მექანიზმის შემუშავება და მათი დაყვანა თითოეულ მუშაკამდე.

საკვანძო სიტყვები: ხარისხის მენეჯმენტის სისტემა, PDCA ციკლი, Lean Six Sigma, სტრუქტურული ერთეულები, პროცესების ლანდშაფტი.

შესავალი

ნებისმიერ კომერციულ თუ არაკომერციულ ორგანიზაციას აქვს ბიზნეს პროცესები. ისინი ავად თუ კარგად მიმდინარეობს და შესაბამისი ხარისხის ღირებულებას ქმნის, რადგან საბოლოო პროდუქტის ხარისხი უფრო მეტად პროცესების ხარისხზეა დამოკიდებული ვიდრე სხვა ფაქტორებზე. სწორი ბიზნეს პროცესი კი არის ის რომელიც, გამომდინარეობს კომპანიის სტრატეგიული პრიორიტეტებიდან და სტრუქტურაში ამოცანებზე პასუხისმგებელ პირებს აძლევს

შესაძლებლობას, რესურსების მაქსიმალური ოპტიმიზაციის ფონზე მიაღწიონ მაქსიმალურ შედეგებს.

ძირითადი ნაწილი

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა - „ურთიერთდაკავშირებული ან ურთიერთმოქმედი ელემენტების ერთობლიობა“. Oxford-ის ლექსიკონი მას განსაზღვრავს როგორც - „ერთად მომუშავე საგნების ერთობლიობა, როგორც მექანიზმის ნაწილები ან ურთიერთდაკავშირებული ქსელი (სტრუქტურა)“.

მენეჯმენტის სისტემებს გააჩნიათ მრავალი ურთიერთმოქმედი კომპონენტი, ყველა მათგანი ხასიათდება განსხვავებული და განსაკუთრებული ფუნქციით, თუმცა, თითოეულმა მათგანმა უნდა იმუშაოს ერთად, რათა მთლიანმა სისტემამ იფუნქციონიროს სათანადოდ. მაგალითად, თუ საბურავში ჰაერი დაბალ წნევაზეა ჩატვირთული, ეს იმოქმედებს საჭეზე, მანევრზე და საწვავის ხარჯზეც. აგრეთვე, მან შეიძლება დააზიანოს თვით საბურავი ან მასთან ასოცირებული სხვა ელემენტები, რომლებიც საბოლოოდ გამოიწვევს სისტემის მტყუნებას.

მენეჯმენტის სისტემის დანიშნულებაა, მართოს სისტემის ყველა კომპონენტი იმგვარად, რომ სისტემის შედეგი იყოს ოპტიმიზირებული და შეძლოს მიაღწიოს მის დანიშნულებას.

ხარისხის მენეჯმენტის სისტემა ეფუძნება ორგანიზაციას PDCA ციკლის ცალკეულ ეტაპზე. ორგანიზაციულ დონეზე, PDCA ციკლი სცდება მხოლოდ ხარისხის კონტროლს და უზრუნველყოფას და ხდება სისტემის მენეჯმენტის ინსტრუმენტი.

ორგანიზაციულ დონეზე PDCA სისტემა შეიძლება მოიცავდეს:

Plan - ორგანიზაციის დანიშნულება და სტრატეგიული მიმართულება; განსაზღვრული ამოცანები და მიზნები; ამ ამოცანების მისაღწევად საჭირო მეთოდების, სტრუქტურების, სისტემების და პროცესების შემუშავება და დადგენა;

Do - საოპერაციო საქმიანობები - პროცესის დასასრული, რომელიც მომხმარებლის მოთხოვნებს გარდაქმნის იმ პროდუქტად და მომსახურებად, რომელიც აკმაყოფილებს ამ მოთხოვნებს;

Check - გაზომვის და მონიტორინგის ყველა საქმიანობა, რომელიც საშუალებას აძლევს ორგანიზაციას თვალი ადევნოს დაგეგმილის შესრულებას და რომლის შესახებ ანგარიში წარედგინება უმაღლეს ხელმძღვანელობას;

Act - ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებები და საქმიანობები ორგანიზაციის სამართავად, კურსის შესანარჩუნებლად და საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

Lean Six Sigma გამოიყენება განურჩევლად მცირე, საშუალო და დიდი ზომის ბიზნესისთვის. რეალურად, ის წარმატება, რომელსაც აღწევენ დიდი ბიზნესები, შესაძლებელია მიღწეულ იქნას მცირე და საშუალო ბიზნესის მიერ, რადგან თანამშრომლების სიმცირის, ნაკლები რესურსების საჭიროების და ბიუროკრატიის დაბალი დონის გამო, მცირე ორგანიზაციებს შეუძლიათ უფრო მოქნილი მოძრაობა და წინსვლა. იგი თანაბრად გამოიყენება როგორც მწარმოებლების, აგრეთვე სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაციების მიერ, რადგან Lean Six Sigma ფოკუსირებას ახდენს პროცესების გაუმჯობესებასა და მომხმარებლის კმაყოფილებაზე.

Lean Six Sigma არის ფართოდ აღიარებული პრინციპული მიდგომა პროცესების შედეგების გასაუმჯობესებლად და მომხმარებლისა და სხვა დაინტერესებული მხარეებისთვის დამატებითი ფასეულობის შესაქმნელად. იგი წარმოადგენს 2 მძლავრი მეთოდის - Lean და Six Sigma - კომბინაციას, რომლებიც გამოიყენება როგორც წარმოების, აგრეთვე მომსახურების სექტორში.

Lean ცნობილია თავისი მეთოდური მიდგომით, რომელიც უსარგებლო ხარჯების აღმოფხვრის საშუალებით ამარტივებს წარმოების და მომსახურების პროცესებს, ამასთანავე, ინარჩუნებს კლიენტებისთვის ფასეულობის მიწოდებას.

Six Sigma წარმოადგენს პრობლემების შედეგიანად გადაწყვეტის ერთ-ერთ მეთოდს. პრაქტიკამ აჩვენა, რომ Six Sigma-ს გამოყენებით, მცირდება წარმოებული პროდუქტის დამიწოდებული მომსახურების დეფექტების რაოდენობა. შედეგად იზრდება შემოსავალი და მომხმარებლის კმაყოფილება.

Lean და Six Sigma ავსებენ ერთმანეთს. ამ ორი მეთოდის კომბინაცია მოგცემთ ინსტრუმენტების კომპლექსს იმისათვის, რომ გაიზარდოს ორგანიზაციის შიგნით

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (41) 2018

არსებული ნებისმიერი პროცესის სიჩქარე და შედეგიანობა - რაც იწვევს გაზრდილ შემოსავალს, შემცირებულ ხარჯებს და გაუმჯობესებულ კოლაბორაციას.

ორგანიზაციაში ხარისხის მენეჯმენტის ეფექტური სისტემა უზრუნველყოფს:

სტრუქტურის გამართულ კოორდინაციას სწორად შერჩეულ სტრატეგიას;

კადრების რელევანტურ შერჩევას და პერსონალის კვალიფიკაციის დონის ამაღლებას;

გამართული ადმინისტრაციული სისტემის ფუნქციონირებას (თან ამ ელ. სისტემები, პროგრამები, ტექნ. ინოვაციური საკომუნიკაც. საშ.);

მიზნობრივი მოკლე და გრძელვადიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებას;

სწორი საადრიცხვო პოლიტიკას განსაზღვრავს;


შიდა საწარმოო პროცესის კონტროლს;

ჯანსაღ კონკურენტუნარიანობას (კონკურენცია უცხოურ კომპანიებს როგორც შიდა, ასევე გარე ბაზრებზე);


ორგანიზაციის იმიჯის ფორმირება;

ეფექტურ შედეგებს;

ხარისხის წლიური პროგრამის სახით ორგანიზაციამ უნდა განსაზღვროს კონკრეტულ მიზნები, რომლებიც თანხვედბა ორგანიზაციის სტრატეგიას და არ ეწინააღმდეგება დამკვეთის მოთხოვნებსა და მოლოდინს.



სტრუქტურა ანაწილებს მენეჯმენტის ყურადღებას და ძალისხმევას ამოცანებზე და განსაზღვრავს მათზე დახარჯული რესურსების მოცულობას. რეალურად ამოცანის მნიშვნელობა მხოლოდ მაშინ იზრდება, როდესაც შესაბამისი ცვლილება ხდება სტრუქტურაში და არა მაშინ, როცა ამ ამოცანის მნიშვნელობის დეკლარირებას მენეჯმენტი აკეთებს.




ორგანიზაციის სტრუქტურა განსაზღვრავს თუ როგორ, რა საკითხებზე განაწილდება მენეჯმენტის ყურადღება, რა თემებზე მსჯელობას და ფიქრს მოანდომებენ ისინი საკუთარ დროს და ენერჯიას და რამდენს.

რაც უფრო სწორად არის გაკეთებული სტრუქტურა მით უფრო დიდ ხანს შეუძლია იმუშაოს მასში არსებითი ცვლილებების შეტანის გარეშე. სწორად გაკეთებულ სტრუქტურაში ადამიანები იცვლებიან ისე, რომ თვით ამ სტრუქტურებში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ ხდება. ასეთი სტრუქტურები ორგანიზაციის დანიშნულების ღრმა გააზრების და მთავარი პროცესების სწორად დამუშავების შედეგად იქმნება. ისინი თვითონ მართავენ ადამიანებს და არა პირიქით, ადამიანები მართავენ მათ. ასეთი სტრუქტურები ეხმარებიან ორგანიზაციას: 1. განახორციელოს სტრატეგია; 2. ეფექტიანად მართოს მიმდინარე პროცესები და, რაც მთავარია, 3. უკეთ გამოიყენოს მასში მომუშავე ადამიანების შესაძლებლობები. ეს არის ის სამი ამოცანა, რომელსაც სწორად გაკეთებული ორგანიზაციული სტრუქტურა უნდა ემსახურებოდეს.

ორგანიზაციამ უნდა შეიმუშავოს სტრატეგიულ მიზნები, რომლებიც

მიმართულია:

- ორგანიზაციის კონკურენტუნარიანობის ამაღლებისკენ;
- სტაბილური და კორპორატიული დამკვეთების რაოდენობის გაზრდისკენ;
- თანამშრომელთა კვალიფიკაციის ამაღლებისკენ;
- უსაფრთხო და სასიამოვნო სამუშაო გარემოს შექმნისკენ;
- წარმოებული პროდუქციის ხარისხის მუდმივი გაუმჯობესებისკენ.



ნახ. 1. პროცესების ლანდშაპტი.

ორგანიზაციაში მისი პროცესების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმების გაუმჯობესებისათვის და ეფექტურობის ამაღლების მიზნით, განსაზღვრულ და აღწერილ უნდა იქნას ხმს-ის ძირითადი, დამხმარე და მენეჯმენტის პროცესები, რომლებიც სექმატურად მოცემულია მე-1 ნახაზზე პროცესების ლანდშაფტში.


კომპანიამ უნდა შეიმუშაოს და დოკუმენტურად აღწეროს:

- ✓ სტრუქტურული ერთეულების მიხედვით კომპანიის შიდა პროცესები;
- ✓ პროცესების მიმდინარეობის ქრონოლოგია;
- ✓ სტრუქტურულ ერთეულებს შორის პროცესების თანაკვეთა;
- ✓ შესაბამისი პროცესების განხორციელებისთვის აუცილებელი;

პროცედურები;

- ✓ თითოეულ პროცედურის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები.

ორგანიზაციის საქმიანობა ხორციელდება შიდა და გარე დოკუმენტაციით განსაზღვრული მოთხოვნებისა თუ წესების ფარგლებში. დამკვიდრებულია შიდა დოკუმენტაციის სამდონიანი სტრუქტურა.



სურ. 1. დოკუმენტაციის პირამიდა.

დასკვნა

ნებისმიერ კომერციულ თუ არაკომერციულ ორგანიზაციას აქვს ბიზნეს პროცესები. ისინი ავად თუ კარგად მიმდინარეობს და შესაბამისი ხარისხის ღირებულებას ქმნის, რადგან საბოლოო პროდუქტის ხარისხი უფრო მეტად პროცესების ხარისხზეა დამოკიდებული ვიდრე სხვა ფაქტორებზე. სწორი ბიზნეს პროცესი კი არის ის რომელიც, გამომდინარეობს კომპანიის სტრატეგიული პრიორიტეტებიდან და სტრუქტურაში ამოცანებზე პასუხისმგებელ პირებს აძლევს შესაძლებლობას, რესურსების მაქსიმალური ოპტიმიზაციის ფონზე მიაღწიონ მაქსიმალურ შედეგებს.

მომხმარებლისთვის მაღალი ხარისხის საქონლის და მომსახურების მიწოდების გზების ძიება მუდმივი და დაუსრულებელი პროცესი უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში უპირატესობას კონკურენტები მოიპოვებენ და მომხმარებლებსაც გადაიბირებენ. სრულყოფის პროცესის შეფერხება იწვევს კომპანიის მიერ კონკურენტული ბრძოლის და მომხმარებლის კმაყოფილების გამოწვევის უნარების დაკარგვას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნ. პაიჭაძე, ე. ჩოხელი, ნ. ფარესაშვილი - „ადამიანური რესურსების მენეჯმენტი“;
2. ი. მარგალიტაძე - „მენეჯერის უნარ-ჩვევები“;
3. ე. ბარათაშვილი, ლ. თაკვალანძე, ა. აბრალავა - მენეჯმენტი და ადმინისტრირება, თბ., 2007.;
4. Lloyd's "ბიზნესის გაუმჯობესების სატრენინგო პროგრამები".

**ЭФФЕКТИВНОСТЬ СИСТЕМЫ УПРАВЛЕНИЯ КАЧЕСТВОМ
В ГРУЗИНСКИХ ОРГАНИЗАЦИЯХ**

Н. Себискверадзе

Резюме

С целью достижения успеха, для удовлетворения потребностей и ожиданий клиента и других заинтересованных сторон, организация должна разработать и внедрить систему управления качеством, которая является органической частью общего управления компанией. Важнейшей задачей руководства компании является осознание необходимости внесения изменений, разработка механизма внедрения и их доведение до каждого сотрудника.


**EFFECTIVENESS OF QUALITY MANAGEMENT SYSTEM
IN GEORGIAN ORGANIZATIONS**

N. Sebiskveradze

Abstract

For achieving success, to satisfy the needs and expectations of the customer and other interested parties, the organization should develop and implement the quality management system, which is the organic part of the company's general management. The most important task of the management of the company is to understand the necessity of carrying out of changes, development of the mechanism of implementation and reducing them to each employee.

GTU
TRANSPORT AND MACH-
INEBUILDING FACULTY
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№1 (41)  2018
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უაკ: 330; 625

ინვესტიციების პრობლემატიკა საქართველოს მრეწველობაში

გ. ტყეშელაშვილი, ნ. ხითარიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, საქართველო, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №77)

რეზიუმე: ინვესტიციების მოზიდვის პრობლემა აქტუალურია საქართველოს ეკონომიკისათვის და განსაკუთრებით მისი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სექტორისათვის–მრეწველობისათვის, რომელიც თანდათან ჰკარგავს წამყვანი დარგის პოზიციებს. სტატიაში ყურადღება გამახვილებულია საქართველოს მრეწველობის დღევანდელ მდგომარეობაზე, ამ დარგში ინვესტიციების მოცულობაზე და ინვესტიციების ზრდის მაკრო და მიკროეკონომიკურ პრობლემებზე. მიკროეკონომიკური პრობლემებიდან გამოყოფილია შრომითი რესურსების პროფესიონალიზმი და კვალიფიკაცია, ხოლო მაკროეკონომიკური პრობლემები დაჯგუფებულია საბაზრო ინფრასტრუქტურად, ფულად-საკრედიტო ურთიერთობებად, საგადასახადო გარემოდ და სამეურნეო სამართლად. დასახულია გზები ამ ფაქტორების გასააქტიურებლად ინვესტიციების მოზიდვის საქმეში.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მრეწველობა, მენეჯმენტი, ინვესტიცია.

შესავალი

სამოქალაქო განათლების ლექსიკონი ინვესტიციებს შემდეგნაირად განმარტავს:

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (41) 2018

1. ნებისმიერი სახის ფულადი, ქონებრივი და ინტელექტუალური ფასეულობის ან უფლების გრძელვადიანი დაბანდება საკუთარ ან უცხო ქვეყანაში სამეწარმეო და სხვა ობიექტებში, რომელიც გამოიყენება შესაძლო მოგების ან სხვა სახის სარგებლობის მიღების მიზნით;

2. სახელმწიფოს მიერ სხვადასხვა დარგის საწარმოებში, საწარმო-საინვესტიციო პროგრამებსა და საწარმო-საინვესტიციო პროექტებში კაპიტალის დაბანდება, რომლის ძირითად მიზანია ქვეყნის სამრეწველო პოტენციალის მაქსიმალური ეფექტიანობის ამოქმედება და წარმოების განვითარების ხელშეწყობით უმუშევრობის დონის შემცირება („საქართველოს ეროვნული საინვესტიციო სააგენტოს შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 3);

3. შესაძლო მოგების მიღების მიზნით ჭარბი ლიკვიდური სახსრების დაბანდება მოკლევადიან მატერიალურ ან არამატერიალურ აქტივებში („არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულების-საკრედიტო კავშირების შესახებ“ საქართველოს კანონი, მუხლი 1).²

ბუნებრივია ინვესტიციებზე ბევრად არის დამოკიდებული ქვეყნის ეკონომიკური განვითარება. განსაკუთრებით ინვესტიციები მნიშვნელოვანია საქართველოს ეკონომიკის განვითარებისათვის, რომლის მთლიანი შიდა პროდუქტის-მშპ-ს მოცულობა ოფიციალური სტატისტიკით 2016 წელს მხოლოდ 3864 ა.შ.შ. დოლარი იყო, რაც მსოფლიო საშუალო მაჩვენებელზე რამდენჯერმე მცირეა და ქვეყანა მესამე სამყაროს განვითარებად ქვეყნების რიგშია (იხ. ცხრილი 1).³

ცხრილი 1

მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობის დინამიკა საქართველოში ერთ სულ მოსახლეზე

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016	I 2017	II 2017	III 2017
მშპ ერთ სულ (მიმდინარე ფასებში) აშშ	2623.0	3230,7	3523.4	3599.6	3676.2	3766.6	3864.6	860.9	1022.6	1104.5

²სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. საიტი: www.nplg.gov.ge.
გადამოწმებულია 07.02.2018.

³სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მშპ. ოფიციალური საიტი Geostat.ge.გადამოწმებულია 07.02.2018.

ძირითადი ნაწილი

ჯერ კიდევ უახლოეს წარსულში საქართველოს მრეწველობის დარგი სოლიდურად იყო წარმოდგენილი, სადაც დასაქმებული იყო მთელი შრომისუნარიანი მოსახლეობის 35-40% და იწარმოებოდა საქართველოში წარმოებული მთლიანი როდულების 60%-ზე მეტი. (იხ. „Народное хозяйство в 1987 году3. გვ.13.)⁴ . დღეისათვის კი ამ დარგში, რომელთანაც გაერთიანებულია ელ. ენერჯის, წყლისა და ჰაერის მიწოდებაც, შექმნილი დამატებითი ღირებულება უფრო ნაკლებია, ვიდრე ვაჭრობასა და რემონტში. (იხ. ცხრილი.2)⁵

ცხრილი 2

წარმოების ანგარიში ეკონომიკური საქმიანობის სახეების მიხედვით 2016 წელს

(მიმდინარე ფასებში; მლნ. ლარი)

	რესურსები	გამოყენება	გამოყენება
	გამომშვება საბაზისო ფასებში	შუალედური მოხმარება	დამატებითი ღირებულება
სოფლის მეორეობა, თევზჭერა, ნადირობა	4058.2	1428.7	2629.5
მრეწველობა	10487.6	6389.6	4098.0
პროდ. გადამუშავება შინამეურნეობების მიერ	2190.1	1488.8	701.2
მშენებლობა	6261.3	3761.4	2499.9
ვაჭრობა;ავტომობ.და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	6456.6	1477.0	4979.7
სასტუმროები და რესტორნები	1734.6	912.4	822.1
ტრანსპორტი	3515.1	1324.0	2191.0
კავშირგაბმულობა	1026.1	326.3	699.8
საფინანსო საქმიანობა	1867.2	703.0	1164.2
ოპერაციები უძრავი ქონებით; იჯარა და მომხმარებელთა მომსახურება	4063.5	1167.0	2896.5
სახელმწიფო მმართველობა	3569.6	908.7	2660.9

⁴„Народное хозяйство в 1987 году3. გვ. 13.

⁵საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2017.თბილისი 2018. გვ. 117.

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (41) 2018

განათლება	1735.8	307.8	1428.0
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური დახმარება	2345.6	546.8	1798.8
მშპ საბაზრო ფასებში	-	-	34028.5

ქვეყნის მამტაბით განხორციელებული ინვესტიციები არაფინანსურ აქტივებში 2016 წელს 10 მილიარდი ლარი იყო, საიდანაც მრეწველობაზე 1,4 მილიარდი ლარი მოდიოდა და ამ მაჩვენებლით იგი ჩამორჩებოდა ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორს. (იხ. ცხრილი. 3) ⁶

ცხრილი 3

ინვესტიციები ძირითად კაპიტალში (მლნ.ლარი)

	2012	2013	2014	2015	2016
სოფლის მეურნეობა, ნადირობა და სატყეო მეურნეობა; თევზჭერა;	714.3	812.3	920.6	1049.0	1146.4
მრეწველობა	613.6	891.3	1010.4	1003.7	1444.3
მშენებლობა	495.0	395.5	752.8	681.9	880.4
ვაჭრობა; ავტომობილების, საყოფაცხოვრებო ნაწარმისა და პირადი მოხმარების საგნების რემონტი	578.7	595.5	951.2	1039.6	921.5
სასტუმროები და რესტორნები	87.6	105.3	160.1	353.1	613.2
ტრანსპორტი და კავშირგაბმულობა	909.1	555.3	699.4	1534.1	1583.5
საფინანსო საქმიანობა	144.5	132.7	154.3	162.3	187.4
ოპერაციები უძრავი ქონებით, იჯარა და კომერციული საქმიანობა	821.7	772.3	1058.9	820.3	1180.2
განათლება	108.4	82.5	95.2	112.5	99.4
ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური მომსახურება	195.8	150.7	146.3	214.4	460.2
კომუნალური, სოციალური და პერსონალური მომსახურების გაწევა	286.4	94.0	88.5	201.7	103.7
სახელმწიფომ მართველობა და საერთო სარგებლობის აქტივები (გზები,საინჟინრო ნაგებობები)	1219.0	1014.9	1082.3	1479.0	1354.5
პირადი სარგებლობის აქტივები (საცხოვრისები, აგარაკები და ასოჯახო სამეურნეო საშუალებები)	322.7	290.4	414.9	380.1	335.7
ინვესტიციები ძირითად კაპიტალში	6496.8	5892.7	7534.7	9032.0	10310.3

⁶საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2017.თბილისი 2018. გვ.178.

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (41) 2018

უცხოური ინვესტიციების მოზიდვა ქვეყნის ეკონომიკაში და მათ შორის მრეწველობაში არსახარბიელოა და ოდნავ აღემატება 1.5 მილიარდ დოლარს. (იხ.ცხრილი.4) ⁷

ცხრილი 4

განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ქვეყნების მიხედვით
(ათასი აშშ დოლარი)


	2012	2013	2014	2015	2016
პირდაპირი უცხოური ინვესტიციები-სულ	911564	941903	1758423	1564500	1565867
ევროკავშირის ქვეყნები	440348	390744	820017	753720	395187
დსთ-ის ქვეყნები	86736	131507	448432	592866	595760
სხვა ქვეყნები	384480	419652	489974	217914	574920

მაშინ როცა მსოფლიოს ის ქვეყნები, რომლებიც მოსახლეობის მრიცხოვნობით უახლოვდება საქართველოს უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მაჩვენებელი შემდეგნაირია: ჰონკონგში (ჩინეთი) 2015 წელს შეტანილი იქნა 175 მილიარდი დოლარი სინვესტიცია; ირლანდიაში-101 მილიარდი დოლარი; ჰოლანდიაში-73 მილიარდი დოლარი; სინგაპურში-65 მილიარდი დოლარი და ა.შ. ⁸

აშშ, წარმოადგენს რა მსოფლიოს უძლიერეს სახელმწიფოს, გამორჩეულია ინვესტიციების მოზიდვის და გატანის მიხედვით. მოყვანილი მონაცემების მიხედვით ამ სახელმწიფომ 2015 წ-ს მოიზიდა უცხოეთიდან 380 მლრდ. დოლარი, ხოლო გაიტანა სხვა ქვეყნებში – 300 მლრდ. დოლარი. ინვესტიციების მოზიდვით მეორე ადგილზეა ჩინეთი 175 მლრდ. დოლარი, იგი ინვესტიციების გატანის მხრივ მესამე ადგილზეა (175 მლრდ. დოლარი). აღნიშნულ ჩამონათვალში საქართველო არ ფიგურირებს, რამდენადაც ინვესტირების მოცულობა ისედაც დაბალია, მით უფრო უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მხრივ. მონაცემები ინვესტიციების შემოტანის ზოგიერთ სახელმწიფოებში მოცემულია ნახაზ.1-ზე.

⁷საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2017.თბილისი 2018. გვ.269.

⁸Докладомировыхинвестицияхв 2016 году. Основные тенденции иобший обзор. ЮНКТАД. გვ.4



ნახ. 1. ინვესტიციების შემოტანა ზოგიერთ სახელმწიფოებში. მლრდ \$⁹.

ინვესტიციების მოზიდვის პროცესზე ზემოქმედების ფაქტორები თავისი ხასიათით არის მიკრო და მაკროეკონომიკური. მაკრო ეკონომიკური ფაქტორები შეიძლება დაჯგუფდეს შემდეგ მიმართულებებად: საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება; საბანკო-საკრედიტო პოლიტიკა; სამეურნეო სამართლიანობის დაცვის სისტემა; საგადასახადო გარემო.

მიკროეკონომიკური ფაქტორებიდან ძირითადია შრომითი რესურსების არსებობა და კვალიფიკაცია. ამ უკანასკნელის გამოა, რომ ისეთ განვითარებად ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის განათლება ძალიან დაბალია, უცხოური ინვესტიციების მოცულობაც ძალიან დაბალია, რასაც ვერ ვიტყვით საქართველოზე.

საბაზრო ინფრასტრუქტურის ფაქტორებში იგულისხმება უპირველესად თავისუფალი კონკურენციის დონე და ე.წ. მოწესრიგებული განვითარება.

⁹КОНФЕРЕНЦИЯ ОРГАНИЗАЦИИ ОБЪЕДИНЕННЫХ НАЦИЙ ПО ТОРГОВЛЕ И РАЗВИТИЮ. ДОКЛАД О МИРОВЫХ ИНВЕСТИЦИЯХ. 2016. p. 5. საიტო: file:///C:/Users/User/Desktop/wir2016_Overview_ru.pdf.

კონკურენციის მიხედვით საქართველოში ჯერ კიდევ მაღალია ეკონომიკის ხელოვნური მონოპოლიზაცია, რაც ინვესტორებისთვის ინვესტირების რისკის შემცველია. რაც შეეხება მოწესრიგებულ ბაზრებს ანუ ბირჟებს, მათი რამდენიმე სახეა ცნობილი - სასაქონლო, სავალუტო, ფასიანი ქაღალდების და შრომითი. ამათგან სრულყოფილ განვითარებას თითქმის ვერცერთმა სახეობამ ვერ მიაღწია. გამონაკლის წარმოადგენს სავალუტო ბაზარი, სადაც ვაჭრობა ხორციელდება ელექტრონულად და მასში მონაწილეობის უფლება აქვს მხოლოდ ეროვნულ და კომერციულ ბანკებს.

ეროვნული ბანკი პასუხისმგებელია ეროვნული ვალუტის სტაბილურობაზე და მიუხედავად ამისა ლარის კურსი დიდი რხევის ამპლიტუდით გამოირჩევა.

საქართველოს ბიზნეს რეესტრის მონაცემების თანახმად ფიქსირებულია რამდენიმე უნივერსალური და სპეციალიზირებული სასაქონლო ბირჟები, მაგრამ მათი ფუნქციონირება ან საერთოდ არ არსებობს ან მინიმალურია, რაც უპირველესი ინდიკატორია ქვეყანაში ეკონომიკის კლანურობისა და მონოპოლიზაციისა. არადა საქართველოს გეოპოლიტიკური მდებარეობა იძლევა საშუალებას სასაქონლო ბირჟების განვითარებისათვის რეგიონალურ ჭრილში. ამ მიმართულების სწორად ოგანიზაციის შემთხვევაში რეგიონი არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ ამიერკავკასიით და დიდი ალბათობით მასში ჩაერთვებოდა ირანი და შუა აზიის ქვეყნები.

რაც შეეხება შრომის ბირჟებს, მსოფლიოს ყველა ნორმალურ ქვეყანაში ისინი ორგანიზებულია სახელმწიფოს მიერ და ემსახურებიან არა მარტო შრომით მოწყობას, არამედ სამუშაო ძალის სპეციალიზაციას, გადამზადებას და კვალიფიკაციის შეცვლასაც კი შრომის ბაზრის მოთხოვნილებების შესაბამისად. საქართველოში შრომის ბირჟები საერთოდ არ არსებობს.

ფულად-საკრედიტო პოლიტიკა საბაზრო ეკონომიკაში და მეწარმეობის თავისუფალ ინიციატივაში მნიშვნელოვნად განაპირობებენ ინვესტიციების მიმზიდველობას. ამ მიმართულებითაც საქართველოში არასახარბიელო მდგომარეობაა, რადგანაც ეროვნული ვალუტა-ლარი არასტაბილურია, ხოლო სესხებზე საბანკო საპროცენტო განაკვეთი ძალიან მაღალი. სახელმწიფო ცდილობს მაღალი საპროცენტო განაკვეთი გადაფაროს მეწარმეობის განვითარების ფონდების

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (41) 2018

დაარსებით, რომლებიც ნაწილობრივ ფარავენ მაღალ პროცენტს, მაგრამ აღნიშნული მამუტაბურად ვერ აკომპენსირებს ფინანსურ ბაზარზე არსებულ სიტუაციას.

საქართველოში მომქმედი სამართლებრივი დაცვის მექანიზმი არ არის შეთანწყობილი ბიზნესის განვითარების მოთხოვნებთან. სახელმწიფო საარბიტრაჟო სასამართლოები საერთოდ არ არსებობს, ამიტომ სამეურნეო დავებს იხილავს საერთო სასამართლოების სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, სადაც განსახილველი საქმეები წლობით არის წარმოებაში და ბუნებრივია საქმის არაოპერატიული გადაწყვეტა აზიანებს ბიზნესინტერესებს.

საგადასახადო გარემოც არ გამოირჩევა ლიბერალურობით, ამიტომაც მსხვილი ბიზნესი ცდილობს ბიზნეს ინტერესები გაიტანოს ე.წ. ობშერულ ზონებში, სადაც გადასახადები მინიმალურია და კაპიტალის დაცვის გარანტიები გაცილებით მაღალი.

ზემოთ ჩამოთვლილი მაკროეკონომიკური ფაქტორების გამო საქართველოში მაღალია უმუშევრობის დონე და დიდია შრომითი მიგრაცია. ოფიციალური სტატისტიკით 2016 წელს ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა იყო 1,9 მილიონი ადამიანი, საიდანაც დაქირავებულ შრომით დასაქმებულია 745 კაცი ანუ აქტიური მოსახლეობის 37% და ამათგან ნახევარზე მეტი საჯარო სამართლის იურიდიულ პირებში, ანუ ღირებულებას ქმნის დაახლოებით 350 ათასი კაცი. (იხ. ცხრილი. 5 და ცხრილი. 6.)¹⁰

ცხრილი 5

ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა (ათასი კაცი)

	2010	2011	2012	2013	2014	2015	2016
ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობა-სულ	1944.9	1959.3	2029.1	2003.9	1991.1	2021.5	1998.3
მათ შორის დასაქმებულები	1628.1	1664.2	1724.1	1712.1	1745.2	1779.9	1763.3
აქედან: დაქირავებულები	618.6	632.0	662.6	658.2	692.3	753.4	745.4
თვით-დასაქმებულები	1007.1	1025.4	1054.0	1043.8	1046.1	1018.1	1010.9

¹⁰საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2017.თბილისი 2018. გვ.40.

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (41) 2018

არიდენტიფიცირებული	2.4	6.8	7.4	10.0	6.8	8.4	7.0
უმუშევრები	316.9	295.1	305.1	291.8	246.0	241.6	235.1

დასკვნა

ინვესტიციების მოზიდვისათვის საერთოდ საქართველოს ეკონომიკაში, კერძოდ მრეწველობაში გასატარებელი ღონისძიებებიდან აუცილებელია:

- საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარება, თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, ბირჟებისორგანიზებისთვისსახელმწიფოხელშეწყობა.

- ფულად-საკრედიტო პოლიტიკის სტაბილურობის უზრუნველყოფა, ლარის კურსის მიზმა თავისუფლად კონვერტირებად ვალუტაზე (მაგ: ააშ დოლართან) ფინანსურ ბაზარზე თავისუფალი კონკურენციის უზრუნველყოფა, რაც გამოიწვევს ბიზნეს სესხებზე საპროცენტო განაკვეთის დაწევას.

- საარბიტრაჟო სასამართლოების შემოღება, რომლებიც სამეურნეო დავებს განიხილავენ ოპერატიულად;

- საგადასახადო გარემოს გაუმჯობესება, იგი საჭიროა განვითარდეს ლიბერალიზაციის, დიფერენციაციის და არაპროპორციულობის მიმართულებით.

აღნიშნული ღონისძიებების გატარება ხელს შეუწყობს ეკონომიკისა და მრეწველობის დაჩქარებულ განვითარებას. უზრუნველყოფს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, დაქირავებულ შრომის დაკავებულთა მკვეთრ ამაღლებას და საბოლოოდ ქვეყნის სწრაფ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. სამოქალაქო განათლების ლექსიკონი. საიტი: www.nplg.gov.ge. გადამოწმებულია 07.02.2018;
2. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. მშპ. ოფიციალური საიტი Geostat.ge.გადამოწმებულია 07.02.2018;
3. „Народное хозяйство в 1987 году“. გვ.13;
4. Доклад о мировых инвестициях в 2016 году. Основные тенденции и общий обзор. ЮНКТАД. გვ. 4;

5. КОНФЕРЕНЦИЯ ОРГАНИЗАЦИИ ОБЪЕДИНЕННЫХ НАЦИЙ ПО ТОРГОВЛЕ И РАЗВИТИЮ. ДОКЛАД О МИРОВЫХ ИНВЕСТИЦИЯХ. 2016. 3. 5. საიტო: file:///C:/Users/User/Desktop/wir2016_Overview_ru.pdf.
6. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური, საქართველოს სტატისტიკური წელიწადეული, 2017. თბილისი 2018. გვ. 40.

Investment problem in the Georgian industry

G. Tkeshelashvili, N. Khitarishvili

Abstract

The problem of attracting investments is relevant to the Georgian economy and especially for one of its most important sectors - industry, which gradually disrupts the positions of the leading sector. The article emphasizes the current situation of the Georgian industry, the volume of investments in this sector and the growth of investments on macro and microeconomic problems. Microeconomic problems are emphasized on the professionalism and qualifications of labor resources, and macroeconomic problems are compromised in market infrastructure, money-credit relationships, tax environment and economic law. There are ways to attract investments to activate these factors.

ПРОБЛЕМАТИКА ИНВЕСТИЦИЙ В ГРУЗИНСКУЮ ПРОМЫШЛЕННОСТИ

Г. Ткешелашвили, Н. Хитаришвили

Резюме

Вопрос привлечения инвестиций важен для экономики Грузии и особенно для одного из её важнейших секторов - промышленности, которая постепенно теряет позицию ведущей отрасли. В статье заостряется внимание текущая ситуация в грузинской промышленности, на объеме инвестиций в эту отрасль и макроэкономическим и микроэкономическим проблемам роста инвестиций. Из микроэкономических проблем выделены профессионализм и квалификация трудовых ресурсов, а макроэкономические проблемы сгруппированы в рыночную инфраструктуру, денежно-кредитные отношения, налоговую среду и экономическое право. Намечены способы привлечения инвестиций для активации этих факторов.



უაკ: 330; 625.

საბაზრო ინფრასტრუქტურა და მრეწველობის ინვესტირება

საქართველოში

გ. ტყეშელაშვილი, ნ. ხითარიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, საქართველო, თბილისი,

მ . კოსტავას ქ. №77)

რეზიუმე: საქართველოს ეკონომიკა განზოგადოებული მაჩვენებლების მიხედვით რამდენჯერმე ჩამორჩება მსოფლიო საშუალო მაჩვენებლებს, რომ არაფერი ვთქვათ მოწინავე ინდუსტრიული სახელმწიფოებზე. ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარება კი შეუძლებელია ინდუსტრიალიზაციის დაჩქარების და განსაკუთრებით გადამამუშავებელი მრეწველობის განვითარების და ეკონომიკის ამ სექტორში ინვესტიციების მოზიდვის გარეშე. ინვესტირების მოცულობაზე გავლენას ახდენს რიგი მაკროეკონომიკური ფაქტორები, მათგან ერთ-ერთი უპირველესია საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარების დონე. სტატიაში განიხილება საბაზრო ინფრასტრუქტურის ისეთი შემადგენლები, როგორებიცაა სასაქონლო, ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და შრომითი ბირჟები. მათი ორგანიზაციის მარეგულირებელი დოკუმენტაცია და სრულფასოვნად ფუნქციონირების შემაფერხებელი მიზეზები. დასახული გზები მათ აღმოსაფხვრელად.

საკვანძო სიტყვები: ეკონომიკა, მენეჯმენტი, მრეწველობა, ინვესტიცია, ბირჟა.

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (41) 2018

ფლობენ მიწის მცირე ნაკვეთს. თვითდასაქმებულთა ამორიცხვით დასაქმებულთა სიიდან მივიღებთ, რომ საქართველოში შრომისუნარიანი მოსახლეობის მხოლოდ 30% არის დასაქმებული, დანარჩენი 70% -უმუშევარია. ამასთან დაბალი არის დასაქმებული მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობის სახელფასო ანზღაურება. აქედან გამომდინარე გარდა იმისა, რომ უმუშევრები არ იძლევიან შემოსავლებს ქვეყნისათვის, არ ქმნიან დოვლათს, რის გამოც ბუნებრივია დაბალია საბიუჯეტო შემოსავლებიც, მაღალია შრომითი რესურსების მიგრაციის მაჩვენებელი. ზოგიერთი ექსპერტის მონაცემებით საქართველოს მოსახლეობის 1,5-1,8 მილიონი კაცი შრომით მიგრაციაში იმყოფება, რაც გაცილებით მაღალია, ვიდრე საქართველოში დასაქმებულთა რაოდენობა.

ძირითადი ნაწილი

ეკონომიკური ჩამორჩენილობის დაძლევის გზაზე აუცილებელია ეკონომიკური ინვესტიციების სწრაფი ზრდა. ამ მხრივაც საქართველოში არც თუ ისე სახარბიელო მდგომარეობაა.

ცხრილი 1


პირდაპირი უცხოური ინვესტიციები					
მლნ. აშშ დოლარი					
წელი	სულ	I კვ	II კვ	III კვ	IV კვ
2005	452.8	88.6	104.8	79.6	179.7
2006	1 170.1	145.2	316.9	332.4	375.5
2007	1 750.2	328.4	366.5	468.9	586.4
2008	1 564.3	536.8	605.4	134.9	287.2
2009	658.9	113.3	177.1	173.7	194.8
2010	813.8	167.3	209.1	226.3	211.2
2011	1 048.2	209.7	248.3	288.2	302.0
2012	911.3	260.5	217.7	199.1	234.0
2013	949.9	252.2	208.8	254.8	234.0
2014	1 763.0	312.6	191.2	729.4	530.0
2015	1 576.0	294.6	465.6	486.0	329.8
2016	1 583.8	394.0	408.6	505.5	275.8
2017*	1 346.5	404.5	347.5	594.5	

ინვესტირება რა თქმა უნდა ხორციელდება ქვეყნის შიდა რესურსების ხარჯზე, მაგრამ ეფექტურობის თვალსაზრისით ძირითადი მაინც უცხოური ინვესტიციებია. ამ მაჩვენებლის დინამიკა მოცემულია ცხრილში 1.

საიდანაც ყველაზე მაღალი იყო აღნიშნული მაჩვენებელი 2007 წელს - 1,75 მილიარდი \$, ასევე 2016 წელს - 1,58 მილიარდი \$, რაც ძალიან დაბალი მაჩვენებელია. თუ გავითვალისწინებთ, რომ სინგაპურში, რომლის მოსახლეობის რაოდენობა ოდნავ აღემატება საქართველოს მოსახლეობის რაოდენობას, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების რაოდენობა - 70 მილიარდი დოლარია; ლუქსემბურგში კი, (რომლის ტერიტორია 2.5 ათასი კვ.კმ.-ია, მოსახლეობა კი-576 ათასი კაცი) უცხოური ინვესტიციების რაოდენობა 25 მილიარდ \$ აჭარბებდა.¹²

მოყვანილი მონაცემები ცხადყოფენ საქართველოში ინვესტიციების მოზიდვის არახელსაყრელ გარემოს. აღნიშნული უარყოფითი გარემო კიდევ უფრო ცხადი გახდება, თუ გავითვალისწინებთ ინვესტიციების განაწილებას ეკონომიკის სექტორის მიხედვით.

უმსხვილესი პირდაპირი უცხოური ინვესტიციები ეკონომიკის სექტორების მიხედვით 2017 წლის III კვარტალი (%)



ნახ. 1. უცხოური ინვესტიციების სტრუქტურა.³

¹²Доклад о мировых инвестициях. 2016. გაეროს ყოველწლიური მოხსენება. გვ.4. სტატისტიკის ეროვნული სამსახური. პირდაპირი უცხოური ინვესტიციები. საიტი: http://www.geostat.ge/?action=page&p_id=2230&lang=geo. გადამოწმებულია 17.02.2018.

ოფიციალური სტატისტიკით 2017 წელს შემოსული ინვესტიციებიდან 30%-მდე მოდიოდა ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაზე, 20% -მდე მშენებლობაზე, ხოლო მრეწველობაზე, რომელიც წამყვანი დარგი უნდა იყოს ეკონომიკურ სექტორებს შორის (იგულისხმება გადამამუშავებელი მრეწველობა) ინვესტირება 10% -ს არ აღემატებოდა. იხ. ნახაზი 1.¹³

ინვესტირების მოზიდვის ხელშემშლელი ფაქტორებიდან უნდა გამოიყოს საბაზრო ინფრასტრუქტურა, საგადასახადო გარემო, საბანკო-საფინანსო სისტემის განვითარება, ეკონომიკური სამართლიანობის უზრუნველყოფა. ამათგან მხოლოდ პირველ-საბაზრო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე შევჩერდეთ.

გასული საუკუნის 90-იან წლებიდან საქართველოს დეკლარირებული აქვს თავისუფალი საბაზრო ურთიერთობები და თავისუფალი ეკონომიკური ინიციატივა, რაც უპირველესად, როგორც მოწესრიგებული ისე სტიქიური ბაზრების განვითარებას გულისხმობს. მოწესრიგებული ბაზარი წარმოდგენილია ბირჟების სახით და თვითოეული მისი სახეობა რეგულირდება კანონმდებლობით. ბირჟები შემდეგი სახის არის: სასაქონლო, საფინანსო ანუ ფასიანი ქაღალდების, სავალუტო და შრომითი.

სასაქონლო ბირჟები რეგულირდება საქართველოს კანონით(სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ), რომელიც მიღებულია 1999 წლის 23 ივნისს. მასში შესწორებები შევიდა 2000, 2006 და 2009 წლებში.¹⁴

საქართველოში რეგისტრირებულია 20-ზე მეტი უნივერსალური და სპეციალიზირებული სასაქონლო ბირჟები, თუმცა დღეისათვის არცერთი მათგანი არ ფუნქციონირებს. გასული საუკუნის 90-იანი წლების მეორე ნახევარში გარკვეული ავტორიტეტი მოიპოვა „კავკასიის უნივერსალურმა სასაქონლო ბირჟამ“, რომელმაც დაახლოებით ერთი წელი იფუნქციონირა და მალევე გადაიქცა მაქინაციებისა და უსაქონლო ოპერაციების ადგილად და არსებობა შეწყვიტა. ასევე დაემართა სპეციალიზირებულ „მარცვლეულის“, „ღვინის“ და „ჩაის“ ბირჟებს. სასაქონლო ბირჟების არარსებობა პირდაპირ მიუთითებს ქვეყნის ეკონომიკის

¹³სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემები.

¹⁴საქართველოს კანონი სასაქონლო ბირჟების და საბირჟო ვაჭრობის შესახებ. საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. №2153.

არაჯანსაღ გარემოზე, რაც გამოწვეულია იკონომიკის კლანურობითა და მონოპოლიზაციით. წინააღმდეგ შემთხვევაში სასაქონლო ბირჟები ყველაზე ეფექტური საშუალებაა სამეწარმეო ბიზნესის, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და მზა პროდუქციის გასაღების საქმეში.

ბირჟის შემდგომი სახეობაა საფონდო ბირჟა, რომლის ფუნქციონირება რეგულირდება საქართველოს კანონით ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ.¹⁵

სს „საქართველოს საფონდო ბირჟა“ (სსბ) — საქართველოში მოქმედი ერთადერთი ლიცენზირებული საფონდო ბირჟაა. სსბ დაფუძნდა 1999 წლის 12 იანვარს წამყვანი საბროკერო კომპანიების, კომერციული ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და საინვესტიციო ფონდების ინიციატივით. სსბ-ის წესები, პროცედურები და სისტემები შემუშავდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით, წამყვანი ამერიკელი სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე. 2000 წლის 14 იანვარს ფასიანი ქაღალდების ბაზრის სახელმწიფომარეგულირებელმა ორგანომ განახორციელა სსბ-ის ლიცენზირება და იმავდროულად მიანიჭა მას საქართველოში პირველი თვითრეგულირებადი ორგანიზაციის სტატუსი. 2000 წლის 23 მარტიდან სსბ-ზე მიმდინარეობს რეგულარული საბირჟო ვაჭრობები. 2000 წლის 15 სექტემბერიდან არის ევრაზიის საფონდო ბირჟების ფედერაციის (FEAS) ნამდვილი წევრი. 2010 წლიდან სსბ-ზე სავაჭროდ დაშვებული 10 კომპანიის ჯამური საბაზრო კაპიტალიზაციის საფუძველზე იანგარიშება საქართველოს საფონდო ბირჟის GSX ინდექსი.

2013 წლის ბოლოს მდგომარეობით სსბ-ის საბაზრო კაპიტალიზაცია შეადგენს 1.9 მილიარდ ლარს (1.2 მილიარდ აშშ დოლარს). სსბ-ზე სავაჭროდ დაშვებულია 129 კომპანიის ფასიანი ქაღალდი, მათ შორის A და B ლისტინგის კატეგორიაში, შესაბამისად, „საქართველოს ბანკის“ და „ლიბერთი ბანკის“ აქციები. სსბ-ზე ფასიანი ქაღალდებზე დადებული გარიგებების კლირინგსა და ანგარიშსწორებას ახორციელებს სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“.

¹⁵საქართველოს კანონი ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ. საკანონმდებლო მაცნე №1(8).

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალური დეპოზიტარი“ დაფუძნდა სს „საქართველოს საფონდო ბირჟის“ მიერ 1999 წლის 1 ნოემბერს. მისი ძირითადი ფუნქციებია: ა) გახსნას, აამოქმედოს და დახუროს ფასიანი ქაღალდების ანგარიშები; ბ) მიიღოს ფასიანი ქაღალდები და უზრუნველყოს მათი შენახვა; გ) განახორციელოს საბირჟო გარიგებების კლირინგი და ანგარიშსწორება; დ) უზრუნველყოს მის ნომინალურ მფლობელობაში არსებული ფასიანი ქაღალდების აღრიცხვის მთლიანობა და უსაფრთხოება; ე) განახორციელოს ფასიანი ქაღალდებზე დადებული გარიგებების ანგარიშსწორება და ფასიანი ქაღალდებთან დაკავშირებული სხვა ოპერაციები;

სს „საქართველოს ფასიანი ქაღალდების ცენტრალურ დეპოზიტარზე“ მარეგულირებელი ორგანოს მიერ ლიცენზია გაიცა 2000 წლის 1 მარტს და, იმავდროულად მიანიჭა მას თვითრეგულირებადი ორგანიზაციის სტატუსი. მისი წესები, პროცედურები და სისტემები შემუშავდა აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დახმარებით, წამყვანი ამერიკელი სპეციალისტების რეკომენდაციების საფუძველზე.

დღეისათვის საფონდო ბირჟის ფუნქციონირების ინტენსივობა ძალზედ დაბალია, რაზეც მიუთითებს ბირჟაზე განთავსებული საბროკერო კომპანიების რიცხვი. ისინი სულ 6-ია და ბირჟაზე განთავსებული აქციების მეპატრონეთა რიცხვი არ აღემატება 300-ს. მაგალითისათვის: 2018 წლის 16 თებერვალს აქციების მხოლოდ ერთი გარიგება მოხდა, რომლის მოცულობამ 979 ლარი შეადგინა. (ფასიანი ქაღალდების ბირჟის საიტი)¹⁶

საქართველოში ყველაზე მეტად მოწესრიგებულია თბილისის ბანკთაშორისი სავალუტო ბირჟა, რომელიც ფუნქციონირებს საქართველოს ეროვნულ ბანკთან. ბირჟაზე ხდება სხვადასხვა ვალუტების ყიდვა-გაყიდვა ელექტრონული წესით. შესაბამისად ეროვნული ბანკი ადგენს ლარის ოფიციალურ კურსს.

ბუღალტრული და სხვა ოფიციალური მიზნებისათვის ხშირად გამოიყენება ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი, რომელიც გაიანგარიშება ბანკთაშორის

¹⁶ქართული ვიკიპედია. საიტი: <https://ka.wikipedia.org/wiki>. გადამოწმებულია 17.02.2018.

სავალუტო ბაზარზე დადებული გარიგებების მიხედვით და ქვეყნდება ეროვნული ბანკის მიერ.

ბანკთაშორის სავალუტო ბაზარი ორგანიზებულია ბლუმბერგის ელექტრონულ სავაჭრო სისტემაში, რომლის საშუალებითაც ხდება ვალუტებით ვაჭრობის გარიგებების დადება. აღნიშნულ ბაზარზე მონაწილეობის უფლება აქვს საქართველოში ლიცენზირებულ ყველა კომერციულ ბანკსა და უცხოური ბანკების ფილიალებს, რომლებსაც, მათი მოთხოვნის საფუძველზე, ეროვნული ბანკისმიერ მინიჭებული აქვთ მონაწილე ბანკის სტატუსი. ყოველ სამუშაო დღეს სავალუტო ბაზარზე მონაწილე ბანკების მიერ ხდება საკუთარი ყიდვა-გაყიდვის კურსების (კოტირებების) გამოქვეყნება ბლუმბერგის სავაჭრო სისტემაში, რომლებიც ხელმისაწვდომია ყველა მონაწილე ბანკისა და მათი დილერებისთვის. სისტემაში გარიგებების დადება შესაძლებელია 24 საათის განმავლობაში.

ინფორმაცია სავაჭრო სისტემაში დადებული გარიგებების შესახებ ხელმისაწვდომია საქართველოს ეროვნული ბანკისთვის, რომელიც წინა სამუშაო საბანკო დღის 16:30 საათიდან მიმდინარე სამუშაო საბანკო დღის 16:30 საათამდე დადებული გარიგებების გათვალისწინებით გაიანგარიშებს ლარის საშუალო შეწონილ კურსს დოლარის მიმართ. აღნიშნული კურსი ცხადდება ლარი/დოლარი სოფიციალურ გაცვლით კურსად შემდგომი დღისთვის.

სხვა ქვეყნის ვალუტების მიმართ ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი განისაზღვრება საერთაშორისო ბაზრებზე ანემიტენტი ქვეყნის შიდა სავალუტო ბაზარზე (დღის სამი საათისათვის) არსებული კურსების კროს-კურსული გადაანგარიშების საფუძველზე. გადაანგარიშებისთვის საჭირო გაცვლითი კურსების შესახებ ინფორმაციის წყაროს წარმოადგენს „როიტერის“, „ბლუმბერგის“ საინფორმაციო სისტემები და შესაბამისი ქვეყნების ცენტრალური ბანკები. ინფორმაციის მიღება, დამუშავება და გავრცელება ამ სისტემებიდან ხდება ავტომატურ რეჟიმში.¹⁷

¹⁷ფასიანი ქაღალდების ბირჟის ოფიციალური საიტი: <http://www.gse.ge/>.
გადამოწმებულია 17.02.2018.

7. ფასიანი ქაღალდების ბირჟის ოფიციალური საიტი: <http://www.gse.ge/>.
გადამოწმებულია 17.02.2018.

Market infrastructure and Investment problem in the Georgian industry

G. Tkeshelashvili, N. Khitarishvili

Abstract

According to the general indicators, the economy of Georgia lags behind the world average indicators, not to mention anything about advanced industrial states. The social-economic development of the country is not possible without the acceleration of industrialization and especially the development of processing industry and attracting investments in this sector. The amount of investments is influenced by a number of macroeconomic factors, one of which is the level of market infrastructure development. The components of market infrastructure such as commodity, securities, currency and labor exchanges are discussed in this article. Also organization's regulatory documentation, the hindering reasons toward straightened functioning and the solutions to eliminate these obstacles.


РЫНОЧНАЯ ИНФРАСТРУКТУРА И ИНВЕСТИРОВАНИЕ ПРОМЫШЛЕННОСТИ ГРУЗИИ

Г. Ткешелашвили, Н. Хитаришвили

Резюме

Экономика Грузии в несколько раз отстает по обобщённым показателям от мировых средних показателей, не говоря уже о развитых промышленных государствах. Социально-экономическое развитие страны невозможно без ускорения индустриализации и особенно в развитии обрабатывающей промышленности и привлечения инвестиции в эту отрасль экономики. На объём инвестиций влияет ряд макроэкономических факторов, важнейшим является уровень развития рыночной инфраструктуры. В статье рассматриваются такие компоненты рыночной инфраструктуры, как товарные, ценных бумаг, валютные биржи и биржа труда. Регулирующая их организацию документация и причины, препятствующие полноценному функционированию. Намечены пути их устранения.

GTU
TRANSPORT AND MACHIN-
ENGINEERING FACULTY
www.gtu.ge

TRANSPORT AND
№1 (41)  2018
MACHINEBUILDING
T: 68-82

№503
Department's of Scientific
and Research Centre
PRINT MEDIA

უაკ 625; 330

საქართველოში უცხოური ინვესტიციების მოზიდვის

შესაძლებლობები და მიღწევები

შ. მინდიაშვილი, ვ. რევიშვილი

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, საქართველო, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №77)

რეზიუმე: საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაციისა და განვითარებისათვის აუცილებელია უცხოური პირდაპირი ინვესტიციებისათვის შესაბამისი გარემოს შექმნა, მისი შესაძლებლობების მაქსიმალური გამოყენება, რაც განსაზღვრავს ამ პროცესის მაღალ ეფექტურობას. ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისათვის საჭიროა ინვესტიციათა არა უბრალოდ მოზიდვა ნებისმიერ დარგში და მისი აბსოლუტური გახსნილობა, არამედ მათი წახალისება ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სფეროებში, რომელიც მის გრძელვადიან განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, მაგ: თანამედროვე ტექნოლოგიები; ინფრასტრუქტურა; ინოვაციები და სხვ.

საკვანძო სიტყვები: პირდაპირი უცხოური ინვესტიცია, ეკონომიკის ლიბერალიზაცია, საინვესტიციო გარემო.

შესავალი

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკისთვის უცხოური ინვესტიციების მოზიდვა იმდენად პრიორიტეტულია, რამდენადაც ის სტაბილური ეკონომიკური ზრდის წინაპირობად განიხილება. ამა თუ იმ ქვეყანაში განხორციელებული ინვესტიციების

დონე და სტრუქტურა მნიშვნელოვანი მახასიათებელია და ბევრ კითხვაზე იძლევა პასუხს, მათ შორის: რამდენად სტაბილურია ქვეყანა, როგორია მისი ეკონომიკური პოლიტიკა, საინვესტიციო გარემო, ეკონომიკური და დარგობრივი ზრდის პერსპექტივა და ა.შ.

ძირითადი ნაწილი

პოტენციური ინვესტორებისათვის მნიშვნელოვანია დანახარჯები და არადივერსიფიცირებადი რისკები რაც კავშირებულია შემდეგ ფაქტორებთან:

- კაპიტალის და მოგების ხელმისაწვდომობა;
- პოლიტიკური სისტემის სტაბილურობა;
- მონეტარული და ფისკალური პოლიტიკის სტაბილურობა;
- ქვეყანაში დაგროვილი საგარეო ვალი და მომავალი პროგნოზები;
- იმფლაციის და ვალუტის კურსის პროგნოზები;
- შიდა ბაზრის სიდიდე;
- შრომითი რესურსების ხარისხი;
- სამთავრობო ადმინისტრირების სუსტი მხარეები და კორუფციის დონე;
- ინფრასტრუქტურა;
- საკუთრების უფლების დაცულობა;
- საგადასახადო ადმინისტრირება, განაკვეთები;
- ფინანსების ხელმისაწვდომობა.

ყოველი ბიზნესმენისთვის ამა თუ იმ ქვეყანაში ინვესტირების წინაპირობა მისი საკუთრების უფლების დაცვაა. მეტი აქტიურობაა საჭირო ხელისუფლების მხრიდან უცხოური ინვესტიციების მოზიდვისთვის და საინტერესო ბიზნეს გარემოს შესაქმნელად.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ განახორციელა საინვესტიციო რეჟიმის ლიბერალიზაცია მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვის მიზნით, რის შედეგადაც დღეს საქართველოს საინვესტიციო გარემოს დადებითი ფაქტორები ასე შეიძლება ჩამოვაყალიბოთ:

1. მხარდამჭერი სამთავრობო პოლიტიკა;
2. ბუნებრივი რესურსების შედარებით ხელმისაწვდომობა;

3. იაფი მუშახელი;

4. ეკონომიკის ლიბერალიზაცია;

5. ასოცირების ხელშეკრულების ხელმოწერა ევროკავშირთან.

ხელშეკრულება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს შორის, რომელიც მათ შორის თანამშრომლობის სტრუქტურას ქმნის. ხელშეკრულების არეალი მოიცავს პოლიტიკის, ვაჭრობის, სოციალური საკითხების განვითარებას, კულტურისა და უსაფრთხოების სფეროებს.

6. ლიბერალური საგადასახადო რეჟიმი.

2004 წლიდან შემცირდა საგადასახადო განაკვეთები და თავად გადასახადების რაოდენობა. 21 გადასახადიდან 2004 წლისათვის, დღეისთვის შემორჩენილია მხოლოდ 6 გადასახადი.

7. რეფორმა საბაჟო სექტორში.

აგრეთვე წარმატებული გამოდგა რეფორმა საქართველოს საბაჟო კანონმდებლობაში, რომელმაც საბაჟო პროცედურები მნიშვნელოვნად გაამარტივა: 2007 წელს მიღებულმა კოდექსმა ადრე არსებული 16 სხვადასხვა ტიპის საბაჟო ტარიფი 3-მდე დაიყვანა.

8. ლიცენზიებისა და ნებართვების მოდერნიზებული სისტემა.

ლიცენზიებისა და ნებართვების რაოდენობა შემცირებულია 84%-ით და ისინი გამოიყენება/მოითხოვება მხოლოდ მაღალი რისკის მქონე საქონელსადა მომსახურებასთან დაკავშირებულ განსაკუთრებულ საქმიანობებზე. დამკვიდრდა ერთი ფანჯრის პრინციპი.

9. ორმაგი დაბეგვრის თავიდან აცილება - აღსანიშნავია, რომ საქართველოს მრავალ ქვეყანასთან (სულ 54) აქვს რომელიც პარტნიორებს შორის დაბეგვრის პრინციპებს არეგულირებს.

ამ ფაქტორებს ემატება რეგიონული სავაჭრო შეთანხმებების გაფართოება და მსხვილ ბაზრებზე წვდომა. საქართველოს არ გააჩნია არავითარი შეზღუდვა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განხორციელების კუთხით ისეთ სექტორებში, როგორცაა: სამთო მრეწველობა, ნავთობისა და გაზის სფერო, სოფლის მეურნეობა, ვაჭრობა, მსუბუქი წარმოება, კავშირგაბმულობა, ენერჯეტიკა, საბანკო სექტორი, დაზღვევა, ტრანსპორტი, მედია, მშენებლობა, ტურიზმი და

ჯანდაცვა. მაშინ, როდესაც მრავალი ქვეყანა კონკრეტულ სფეროებს მთლიანად ან ნაწილობრივ თავისი გავლენის ქვეშ აქცევს: საფრანგეთი, უკრაინა, ბელორუსი-მედიაზე; რუსეთი-დაზღვევაზე; სომხეთი-სოფლის მეურნეობაზე; თურქეთი-ელექტროენერგიაზე და ა.შ.

თუმცა, ჩვენი აზრით, ეს არ არის საკმარისი პირობა ქვეყნის გრძელვადიანი განვითარებისათვის და საჭიროა ინვესტიციათა არა უბრალოდ მოზიდვა ნებისმიერ დარგში და მისი აბსოლიტური გახსნილობა, სადაც ამას ინვესტორი მოისურვებს, არამედ მათი წახალისება ქვეყნისათვის მნიშვნელოვან სფეროებში, რომელიც მის გრძელვადიან განვითარებაზე იქნება ორიენტირებული, მაგ.: თანამედროვე ტექნოლოგიები; ინფრასტრუქტურა; ინოვაციები და სხვ. აქვე შეიძლება აღინიშნოს მთავრობის მხრიდან ხშირად ვხვდებით უცხოელი ინვესტორებისადმი უფრო მეტ ლოიალურობას, ვიდრე ადგილობრივებისადმი, რაც ნეგატიურად მოქმედებს ეროვნულ ინვესტორზე.

მხოლოდ 2017 წლის განმავლობაში ადგილის ჰქონდა შემდეგ ეკონომიკური მოვლენებს: მოგების გადასახადის რეფორმა-2017 წლის 1 იანვრიდან მოგების გადასახადის ე.წ. ესტონური მოდელი ამოქმედდა, რაც იმას ნიშნავს, რომ კომპანია/საწარმო მოგების გადასახადით მხოლოდ მოგების განაწილების შემთხვევაში იბეგრება, ხოლო თუ მის სრულ რეინვესტირებას ახდენს, აღნიშნული გადასახადისგან თავისუფლდება. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის სამი კვარტლის მონაცემებით 591.5 მლნ. აშშ დოლარის რეინვესტიცია განხორციელდა რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით გაზრდილია 85,5%-ით.(4)

თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულება ჩინეთთან-2017 წელს საქართველოსა და ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას შორის თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება გაფორმდა. შეთანხმება საქართველოში წარმოებულ საქონელსა და მომსახურებას მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარს გაუხსნის, რომელიც დაახლოებით 1,4 მილიარდ მომხმარებელს აერთიანებს. ამასთან, ჩინეთში იმპორტირებული ქართული პროდუქციის დაახლოებით 94 პროცენტი საბაჟო გადასახადისგან გათავისუფლდება. შეთანხმება ძალიან მნიშვნელოვანი სტიმულია საქართველოში ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელების, მეწარმეობის განვითარებისა და ქართული პროდუქციის ექსპორტის ზრდის თვალსაზრისით,

რაც თავისთავად დადებითად აისახება ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დონესა და უმუშევრობის შემცირების მაჩვენებელზე.

ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა-2017 წელს ოფიციალურად გაიხსნა ბაქო-თბილისი-ყარსის რკინიგზა. აღნიშნული რკინიგზა სამხრეთ კავკასიასა და ცენტრალურ აზიას ევროპასთან აკავშირებს და განიხილება როგორც „რკინის აბრეშუმის გზა“. მას ეკონომიკურ წინსვლასა და რეგიონის სტაბილურობის ხელშეწყობაზე მიმართულ პროექტად მიიჩნევენ.

ანაკლიის ღრმაწყლოვანი პორტი-ანაკლიის პორტის სახმელეთო სამშენებლო სამუშაოები 2017 წლის დეკემბრში დაიწყო.ჯამში ინვესტიციის 2,5 მლრდ აშშ დოლარს შეადგენს. გეგმის მიხედვით, ანაკლიის პორტი 50 წლის განმავლობაში ქვეყნისთვის 60 მილიარდი აშშ დოლარის ეკონომიკურ ღირებულებას შექმნის. გეგმა 9 ფაზადაა დაყოფილი. მე-3 ფაზაში, რომელიც 2020-2021 წლებში დაიწყება, პორტმა 2 300-ზე მეტი სამუშაო ადგილი უნდა შექმნას. ეს რიცხვი 2069 წლისთვის 19 500-ს მიაღწევს. შთამბეჭდავია პორტის მთლიანი გამტარუნარიანობა საბოლოო ფაზაში, რომელმაც 100 მილიონ ტონას უნდა მიაღწიოს. გარდა ამისა, ამ პროექტის კვალდაკვალ შენდება საგზაო, სარკინიგზო, ოპტიკურ-ბოჭკოვანი და სხვა სახის ინფრასტრუქტურა. იგი არის 21-ე საუკუნის საქართველოს ყველაზე დიდი პროექტი, რომელიც არის დასაწყისი საქართველოს გარდაქმნისა სატრანზიტო ქვეყნიდან, წარმოების, ლოგისტიკის და ინდუსტრიის განვითარების ქვეყნად.

დასკვნა

ჩვენი ლიბერალური სავაჭრო რეჟიმის, დაბალი გადასახადებისა და სტრატეგიული მდებარეობის წყალობით, საქართველო იქცა საინვესტიციო შესაძლებლობების ახალ რეგიონულ ლიდერად.

უცხოელ მეწარმეებს ჩვენ ვთავაზობთ კონკურენტულ გარემოს ბიზნესის გასაფართოებლად და რეგიონში გასავრცობად, რაც შეამცირებს მათ საოპერაციო ხარჯებს. საქართველო ასევე სთავაზობს გასასვლელს არა მხოლოდ სამხრეთ კავკასიაში, არამედ ცენტრალურ აზიაშიც და შემდეგ ორი მილიარდი მომხმარებლის მქონე ადმოსავლეთის ბაზრებზე. ქვეყანა უზრუნველყოფს ფიზიკურ წვდომას თანამედროვე სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მეშვეობით

და ნორმატიულ წვდომას თავისუფალი სავაჭრო შეთანხმებების წყალობით. საქართველო არის პირველი ქვეყანა რეგიონში, რომელმაც ხელი მოაწერა თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებას როგორც ჩინეთთან, ისე ევროკავშირთან. ჩვენ ასევე გვაქვს თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებები დამოუკიდებელ სახელმწიფოთა თანამეგობრობის წევრ ქვეყნებთან, თურქეთთან და პრეფერენციული რეჟიმი ამერიკის შეერთებულ შტატებთან, კანადასა და იაპონიასთან. გარდა ამისა, წელს იგეგმება მოლაპარაკებების დაწყებას ინდოეთთან თავისუფალი ვაჭრობის შეთანხმებასთან დაკავშირებით.

გასული ხუთი წლის განმავლობაში საქართველოს პოზიციები გაუმჯობესდა ბიზნესისათვის ისეთი მნიშვნელოვანი მიმართულებების თვალსაზრისით, როგორებიცაა: კორუფციის აღქმის ინდექსი - 38 პოზიციით; საკუთრების უფლების დაცვის მონაცემებით - 74 პოზიციით; სასამართლოს მიუკერძოებლობის თვალსაზრისით - 39 პოზიციით; საბაზრო დომინირების მაჩვენებლის კუთხით - 45 ადგილით; ინვესტიციების საგადასახადო წახალისების ეფექტის თვალსაზრისით - 21 ადგილით გაუმჯობესდა; ხოლო მაკროეკონომიკური გარემოს თვალსაზრისით - 89 ადგილით“.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ყუფარაძე გ. „ საგადასახადო პოლიტიკის გავლენა პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებზე (2016 წელი)
2. ვახტანგ ჭარაია. „პირდაპირი უცხოური ინვესტიციების როლი და მნიშვნელობა ქვეყნის ეკონომიკური ზრდისთვის“(2015 წელი)
3. www.agora.ge
4. www.forbes.ge
5. <http://www.anakliadevelopment.com/>
6. www.geostat.ge
7. <http://saqinform.ge>

**The possibilities and achievements of Attracting Foreign
Investment in Georgia**

Sh. Mindiashvili, V. Revishvili

Summary

For the modernization and the development of the Georgian Economy it is vital to create the suitable environment to attract the Foreign Direct Investment (FDI), the full utilization of its possibilities, that defines the high effectiveness of this process. For the development of the country it's not sufficient to only attract the investments in any industry, and their full transparency, but rather their support in the important fields of the country, which will be oriented of its long-term development, e.g.: Modern Technology, infrastructure, innovation, etc.

**Возможности и достижения привлечения иностранных
инвестиций в Грузию**

Ш. Миндиашвили, В. Ревিশвили

Резюме

Для модернизации и развития экономики Грузии необходимо создать подходящую среду для прямых иностранных инвестиций, максимально увеличить ее возможности, что определяет высокую эффективность этого процесса. Для долгосрочного развития страны необходимо не только привлекать инвестиции в любой области, и ее абсолютной открытости, а также поощрять их в важных областях страны, ориентированных на ее долгосрочное развитие, таких как современные технологии; Инфраструктура; Инновации и многое другое.



უკ 656.025

რისკების შეფასება მულტიმოდალურ გადაზიდვებში

ვ. ხარიტონაშვილი, დ. აშოთია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, საქართველო,
თბილისი, მ. კოსტავას ქ. №77)

რეზიუმე: მოცემულია მულტიმოდალურ გადაზიდვებში რისკის ფასის განსაზღვრის მეთოდოლოგია მოსალოდნელ სატრანსპორტო შემთხვევაში სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის, საექსპლუატაციო დანახარჯების, გარე უარყოფითი შედეგების ღირებულების (სხვა საგზაო მონაწილესა და გარემოზე მიყენებული ზიანის) გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს ალტერნატიული ვარიანტებით ლოგისტიკური მიწოდების ჯაჭვის დაპროექტების შეფასებას და შეფერხებების შემცირების ღონისძიებების დამუშავებას.

საკვანძო სიტყვები: მულტიმოდალური გადაზიდვები, რისკები, გარე უარყოფითი ეფექტები.

შესავალი

რისკების მართვა წარმოადგენს პროცესს, რაც დაკავშირებულია რისკების იდენტიფიცირებასთან, ანალიზთან და გადაწყვეტილების მიღებასთან, რომლებიც შეიცავენ სარისკო მოვლენების შედეგების მინიმიზირებას. თავის საქმიანობაში მეწარმე აწყდება სხვადასხვა სახის რისკების ერთობლიობას, რომლებიც განსხვავდებიან ერთმანეთისაგან ადგილმდებარეობისა და დროის მიხედვით, გარე და შიდა ფაქტორების ერთობლიობით, რომლებიც გავლენას ახდენენ მათ დონეზე, და შესაბამისად, მათი ანალიზისა და აღწერის ხერხებზე.

მულტიმოდალური გადაზიდვების ეფექტურობის უზრუნველყოფა მოითხოვს კომპლექსურ მიდგომას, როგორც ეროვნული და საერთაშორისო მოთხოვნების, ისე რისკების შეფასებით ტრანსპორტის თავისებურების, საექსპლუატაციო პირობებისა და ადმინისტრაციულ-სამართლებრივი შეზღუდვების გათვალისწინებით. მულტიმოდალური მომსახურების რისკების შეფასება ძირითადად ეფუძნება თითოეული სახის სატრანსპორტო შემთხვევის შეფასებას, რაც არ იძლევა საშუალებას შეფასებულ იქნეს მულტი მოდალური გადაზიდვების რისკის დონე მრავალი შიდა და გარე ფაქტორების გავლენის გათვალისწინებით. ამდენად, მულტიმოდალურ გადაზიდვებზე რისკების შეფასებისა და მართვის მეთოდის სრულყოფა წარმოადგენს აქტუალურ ამოცანას.

ძირითადი ნაწილი

მულტიმოდალური გადაზიდვების პროცესში მოცემულ მარშრუტზე შეიძლება წარმოიქმნას რისკები, რომლებიც დაკავშირებულია საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო მდგენელების რისკებთან. რისკების მრავალგვარობიდან, რომლებიც თან ახლავს მულტიმოდალურ გადაზიდვებს, შეიძლება გამოიყოს რისკების ძირითადი ჯგუფები: სატრანსპორტო საშუალებისა და ტვირთის დაზიანება (განადგურება); სატრანსპორტო შემთხვევა სატრანსპორტო საშუალებისა და ტვირთის დაზიანების (განადგურების) გარეშე და სატრანსპორტო საშუალების ელემენტების (აგრეგატი, სისტემა, კვანძი, დეტალი) მტყუნება.

როდესაც სატრანსპორტო შემთხვევის ალბათობა მცირეა (იშვიათი მოვლენა) ამ მოვლენის ალბათობა ექვემდებარება პუასონის განაწილებას. პუასონის სტაციონარული მოვლენების ნაკადი, რომლისთვისაც იმის ალბათობა, რომ დროის τ პერიოდში დადგება k მოვლენა, შეიძლება განისაზღვროს ფორმულით (1) (ცხრილში) [1,2].

ამ შემთხვევაში გადაზიდვის უსაფრთხოების სტატისტიკურ მოდელს ექნება სახე (ფორმულა (2)).

№	ფორმულა	აღნიშვნა
1	$P_m(k) = \frac{a^k e^{-a}}{k!}$	სადაც P არის მოვლენის ალბათობა; m – ცდების რაოდენობა; $X(t, \tau)$ – შემთხვევითი სახიფათო
2	$P\{X(t, \tau)\} = \frac{a^k e^{-a}}{k!}$	მოვლენათა რაოდენობის ფუნქცია; $k - X(t, \tau)$ – შემთხვევითი სახიფათო მოვლენათა რაოდენობის განსახილველ დროის T ინტერვალში (კონკრეტული ამოცანის შესაბამისად); $a = \lambda \tau$ – პარამეტრი, რომელიც დამოკიდებულია შემთხვევითი მოვლენების ნაკადის ინტენსივობაზე და მოცემული დროის ინტერვალზე; λ – სახიფათო მოვლენათა ნაკადის ინტენსიურობა
3	$P(A_{ji}^l) = \frac{\sum_j \sum_i \sum_l N_{jil}}{\sum_l N_l}$	–
4	$\varpi(A_{ji}^l) = \frac{\sum_l N_{jil}}{\sum_j \sum_i \sum_l N_{jil}}$	–
5	$P(A_j^i B_i) = \frac{P(A_j^i) P(B_i A_j^i)}{\sum_{j=1}^L \sum_{i=1}^L P(A_j^i) P(B_i A_j^i)}$	სადაც $P(A_j^i)$ არის A_j^i ჰიპოთეზის ალბათობა; $P(B_i A_j^i)$ – პირობითი ალბათობები B_i მოვლენისა $P(A_j^i)$ ჰიპოთეზის შემთხვევაში
6	$\gamma_{(B_i A_j)} = \frac{\sum_j \sum_i \sum_l N_{jil}}{T_j}$	–
7	$\sum_{\gamma_{(B_i A_j)}} S = \frac{\sum_j \sum_i \sum_l N_{jil}}{T_j \times \sum S_{\Pi}}$	სადაც $\sum_l S_{\Pi}$ ხომალდების რაოდენობა, რომლებიც გაივლიან l მონაკვეთში T პერიოდში
8	$R(B_i A_j^l) = 1 - \exp(-\gamma_{B_i A_j^l} T_i)$	–
9	$R(B_i) = \sum_{j=1}^j P(A_j^l) R(B_i A_j^l),$	–
10	$R(B) = \sum_{i=1}^i \sum_{j=1}^j P(A_j^l) R(B_i A_j^l),$	–
11	$R_i^l = P(B_i A_j^l) \int W_i^l dl$	–
12	$P_j^o = \frac{P_j^{\min} + 4P_j^{na} + P_j^{\max}}{\delta}$	სადაც P_j^{\min} არის j -ური მტყუნების წარმოქმნის ალბათობის მინიმალური მნიშვნელობა; P_j^{na} – j -ური მტყუნების მაღალი ალბათური სიდიდე; P_j^{\max} – j -ური მტყუნების ალბათობის მაქსიმალური სიდიდე; δ – დისპერსია

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (41) 2018

13	$\delta^2 = \frac{(P_j^{\max} - P_j^{\min})^2}{2}$	–
14	$P_j^{na} = \frac{2P_j^{\min} + P_j^{\max}}{3}$	–
15	$R_s = \sum_i \sum_j \varpi_{ij} R_{ij}$	–
16	$R_w = R_1 + R_2 + R_3$	სადაც R_1 არის ხომალდის ჩაძირვით ზიანის რისკი; R_2 – ზიანის რისკი, რომელიც დაკავშირებულია სატრანსპორტო საშუალების ელემენტების მტყუნებებთან; R_3 – R_2 – ზიანის რისკი, რომელიც დაკავშირებულია სხვა სახეობის ტრანსპორტის (საზღვაო, სარკინიგზო და საავტომობილო) სატრანსპორტო შემთხვევებთან
17	$P(S) = P(G) + P(R) - P(GR) =$ $= P_{11}P_{12} + P_{13} - P_{11}P_{12}P_{13}$	–
18	$R_3 = \sum_j r_j \times W_j$	სადაც r_j არის მარშრუტების გადაკვეთაზე სატრანსპორტო შემთხვევის ალბათობა; W_j – ზიანის განაწილების ფუნქცია სატრანსპორტო შემთხვევის დროს
19	$P_{\sum(S)} = P(S_a) + P(S_r) + P(S_s)$	–
20	$W_m = (2W_{\min} + W_{\max})/3$	–
21	$\sigma^2 = 0,012(W_{\max} - W_{\min})^2$	–

საზღვაო ხომალდის რისკის შეფასების მეთოდის დამუშავების მიზნით დავუშვათ, რომ: საგანგებო სიტუაცია და შემდეგ სარანსპორტო შემთხვევა წარმოიქმნება როგორც არათავსებადი (არაერთდროული) A_j და თავსებადი B_j მოვლენების მიმდევრობა; არათავსებადი მოვლენების ჯგუფი A_j^l შეიცავს: l მარშრუტზე ($l=1,2,\dots,L$) j -ური სახის სახიფათო მტყუნებებს ($j=1,2,\dots,J$), მაგალითად, ძრავას მტყუნება. ამავე დროს, მოძრაობის დროს შეიძლება მხოლოდ ერთ A_j მოვლენას ჰქონდეს ადგილი (ხომალდის შეჯახება ან ხმელეთზე ჩაჯდომა); B_j მოვლენების ჯგუფი წარმოადგენს თავსებად მოვლენებს, რომელთაგან ერთი განსაზღვრული ალბათობით შეიძლება წარმოიქმნას A_j მოვლენის წარმოქმნის შემდეგ, ანუ ეს მოვლენა შეიძლება გახდეს შეჯახების ან ხმელეთზე ჩაჯდომის მიზეზი, ხომალდის კატასტროფა i -ური

სახის შედეგით (B_1 – კატასტროფა; B_2 – შეჯახება; B_3 – ზღვაოსნობა უნარიანობის დაკარგვა ან განადგურება).

ალბათობის თეორიის ფუნდამენტური ცნების გამოყენებით, j – ური სახის მტყუნების წარმოქმნის ალბათობა $P(A_{ji}^l)$ i – ური ზიანით შეიძლება განისაზღვროს, როგორც საშუალო სტატისტიკური, ტრანსპორტირების l მონაკვეთზე j – ური სახის მტყუნებით i – ური ზიანით სატრანსპორტო შემთხვევაში მოხვედრილი ხომალდების/სატრანსპორტო საშუალებების რაოდენობის N_{jil} შეფარდებით მათ საერთო რაოდენობასთან N_l , რომლებიც გაივლიან ამ მონაკვეთზე, ფორმულა (3).

მოძრაობის l მონაკვეთზე j – ური სახის მტყუნებით i – ური ზიანით მტყუნებების წონითი შეფასება შეიძლება ფორმულით (4).

რადგან ზღვაოსნობა უნარიანობის დაკარგვის მიზეზები განისაზღვება ექსპერტული შეფასებით, მოვლენის წარმოქმნის ალბათობა $P(A_{ji}^l)$ შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც სუბიექტური, აპრიორული ალბათობა. ამრიგად, მოვლენა A_j^l განხილულ უნდა იქნეს, როგორც ჰიპოთეზების ჯგუფი, რომლებიც წარმოქმნიან B_i მოვლენას. თუ მოხდა მოვლენა A_{ij} , მაშინ B_i მოვლენის წარმომქმნელი ჰიპოთეზის ალბათობა შეიძლება შეფასდეს თ.ბაიესის თეორემით, ფორმულა (5).

ალბათობის მაქსიმალური მნიშვნელობა შეიძლება მოიძებნოს $P(B_i|A_j^l)$ – ის მნიშვნელობის განსაზღვრით, ანუ განისაზღვროს თუ რომელი A_j^l მოვლენა გამოიწვევს B_i მოვლენას მაქსიმალური ალბათობით.

მტყუნებების შედეგად ზღვაოსნობა უნარიანობის დაკარგვის წარმოქმნის ინტენსიურობის ალბათობა თითოეული სახიფათო l მონაკვეთისათვის T პერიოდში შეიძლება განისაზღვროს სტატისტიკური მონაცემების მიხედვით, ფორმულა (6), ხოლო l მონაკვეთის მიხედვით ერთი ხომალდისათვის ფორმულით (7).

საგანგებო სიტუაციის და სატრანსპორტო შემთხვევის წარმოქმნის ალბათობა შეიძლება განისაზღვროს ფორმულებით (8,9,10) [3].

ზღვაოსნობაუნარიანობის დაკარგვის რისკის ფასი R_i^l შეიძლება განისაზღვროს, როგორც სატრანსპორტო შემთხვევების $P(B_i|A_j^l)$ ალბათობების ნამრავლი მოსალოდნელი ზიანის სიდიდეზე $\int W_i^l dl$ (ზიანის ფუნქცია ერთეული სატრანსპორტო საშუალების შემთხვევაში) ფორ-მულით (11).

ამრიგად, საგანგებო სიტუაციის და სატრანსპორტო შემთხვევის წარმოქმნის რისკის ალბათობის განსაზღვრის განხილული მეთოდიკა ქმნის რისკების ინტეგრალური შეფასების ფორმირების საფუძველს. ჩვენ შემთხვევაში, მულტიმოდალურ გადაზიდვებზე განიხილება რა მარშრუტის ორი მდგენელი საზღვაო და სახმელეთო (სარკინიგზო, საავტომობილო) მოქმედებს სამი სახის ტრანსპორტი. სტატისტიკური მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ სატრანსპორტო შემთხვევის პირველად მიზეზს წარმოადგენს ძირითადად ტექნიკური ელემენტების მტყუნებები, რთული ბუნებრივ-კლიმატური პირობები, ფორს-მაჟორული გარემოებები, ოპერატორის შეცდომები და ა.შ.

ამრიგად, რისკების შეფასების ფორმირებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს სატრანსპორტო შემთხვევის მიზეზ-შედეგობრივი კავშირი, ხოლო რისკების გაანგარიშებისას - მიზეზები და შედეგები სახეების მიხედვით, რაც საშუალებას იძლევა გაანგარიშებულ იქნეს მულტიმოდალურ მარშრუტზე სატრანსპორტო შემთხვევის რისკის ალბათობა სტატისტიკური მონაცემებისა და საექსპერტო შეფასებების საფუძველზე.

მოცემულ შემთხვევაში რისკის შეფასების ფორმირების ალგორითმს ექნება შემდეგი სახე [4]:

1. სტატისტიკური ან ექსპერტული მონაცემების "minimax" შეფასების თანახმად j – ური მტყუნებების წარმოქმნის აპრიორული ალბათობა განისაზღვრება ფორმულით (12). დისპერსია δ განისაზღვრება ფორმულებით (13,14);

2. განისაზღვრება j – ური მტყუნებების წონითი ფასი, რომლებმაც გამოიწვიეს სატრანსპორტო შემთხვევა;

3. განისაზღვრება B_i (i -ური სახის სატრანსპორტო შემთხვევის) მოვლენის წარმოქმნის პირობითი ალბათობა. გაანგარიშება სრულდება ყველა j, I და l -სათვის (ეტაპები, ტრანსპორტის სახეობა, მარშრუტები);

4. განისაზღვრება ალბათობების მაქსიმალური მნიშვნელობები, რომელი სახის მტყუნებები/პირობები დიდი ალბათობებით იწვევენ მოვლენას B_i (i -ური სახის სატრანსპორტო შემთხვევა);

5. ფორმირდება საგანგებო სიტუაციის და B_i (ავარიის) მოვლენის წარმოქმნის ინტეგრალური შეფასება. ინტეგრალური შეფასება $P(B_i^l | A_{jl})$ გაიანგარიშება ალბათობების შეკრების ფორმულით;

6. განისაზღვრება რისკის საშუალოწონითი ფასი, როგორც j -ური სახის მტყუნებების ნამ-რავლი i -ური ზიანით მარშრუტის l მონაკვეთზე რისკის ფასზე, რომელიც თავის მხრივ განისაზღვრება მისგან წარმოქმნილი ზიანის გამრავლებით სატრანსპორტო შემთხვევის წარმოქმნის ალბათობებზე, ფორმულა (15);

7. განსაზღვრული რისკის სიდიდე (ფასი) შედარდება რისკის დასაშვებ სიდიდესთან. თუ არ არსებობს ადამიანის მსხვერპლი და რისკის ფასი ნაკლებია მოსალოდნელ მოგებაზე, მაშინ რისკი შეიძლება ჩაითვალოს დასაშვებად.

საზღვაო ტრანსპორტით მოცემულ მარშრუტზე გადაზიდვის რისკის შეფასება შეიძლება წარმოდგენილ იქნეს, როგორც ზიანისაგან მიღებული რისკების ჯამი, რაც დაკავშირებულია ხომალდის ჩაძირვასთან, ტექნიკური საშუალებების ელემენტების მტყუნებასთან და სხვა სახეობის ტრანსპორტთან ურთიერთ ქმედებასთან, ფორმულა (16) [1,2,5].

მულტიმოდალური გადაზიდვის შემთხვევაში სქემით: “საზღვაო ტრანსპორტი - სარკინიგზო ტრანსპორტი - საავტომობილო ტრანსპორტი”, ლოგისტიკური ჯაჭვის თითოეულ მონაკვეთზე და ტრანსპორტის სახეობაზე განისაზღვრება რისკის ფაქტორები და შეირჩევა მნიშვნელოვანი ფაქტორი, განისაზღვრება საგანგებო სიტუაციის აპრიორული რისკის ალბათობა. ალბათობა შეიძლება განისაზღვროს: სატრანსპორტო შემთხვევების სახეების მიხედვით სტატისტიკური მონაცემების გამოყენებით; საექსპერტო შეფასებებით;

სტატისტიკური მონაცემების შედეგებისა და საექსპერტო შეფასებების დამუშავებით.

შემოვიღოთ აღნიშვნები: P_{ij} – j – ური სახეობის ტრანსპორტის i – ური სახის საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის ალბათობა; P – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის ალბათობა საზღვაო ტრანსპორტის მოძრაობისას $A-B$ მონაკვეთზე; $P(B-C)$ – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის ალბათობა სარკინიგზო ტრანსპორტის მოძრაობისას $B-C$ მონაკვეთზე; $P(C-D)$ – საგანგებო სიტუაციის წარმოქმნის ალბათობა საავტომობილო ტრანსპორტის მოძრაობისას $C-D$ მონაკვეთზე.

თითოეულ მონაკვეთზე თითოეული სახეობის ტრანსპორტისათვის განისაზღვრება რისკების სახეები, რომლებიც შესაძლებელია წარმოიქმნას, მაგალითად, $C-D$: მონაკვეთზე ავტომობილის ძრავას მტყუნების ალბათობა - p_{11} ; ავტომობილის სავალი ნაწილის მტყუნების ალბათობა - p_{12} ; მარშრუტზე მოძრაობის გაგრძელების შეუძლებლობა შეჯახების შედეგად მნიშვნელოვანი დაზიანების ალბათობა - p_{13} .

იმის ალბათობა, რომ ავტომობილი ვერ შეძლებს მოძრაობის გაგრძელებას (მოვლენა S), შეიძლება განისაზღვროს ალბათობის შეკრებისა და გამრავლების მეთოდებით [4].

ამრიგად განიხილება ორი ერთდროული მოვლენა: ავტომობილის ტექნიკური გაუმართაობა – მოვლენა G და ავტომობილის მტყუნება შეჯახების შედეგად – მოვლენა R . მაშინ ალბათობა $P(S)$ განისაზღვრება ფორმულით (17).

დავუშვათ, რომ აპრიორული ალბათობის ექსპერტული შეფასებებით:

$p_{11} = 0,005$; $p_{12} = 0,007$; $p_{13} = 0,008$, მაშინ ალბათობა განისაზღვრება:

$$P(S) = 0,005 \times 0,007 + 0,008 - 0,005 \times 0,007 \times 0,008 = 0,008.$$

ამრიგად, $A-D$ ლოგისტიკური მიწოდების ჯაჭვის $C-D$ მონაკვეთზე რისკის დონე, რომ ავტომობილი ვერ შეძლებს შეასრულოს გადაზიდვის პროცესი სატრანსპორტო შემთხვევის მიზეზით, ფასდება ალბათობით $P(S) = 0,008$.

დავუშვათ, რომ სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის დაზიანების, სხვა საგზაო მონაწილეთათვის და გარემოზე, აგრეთვე არარეალიზებული ტრანსპორტირების დანახარჯების ღირებულების გაანგარიშების შედეგად განისაზღვრა თანხა 61000\$ (აშშ დოლარი), მაშინ ფორმულით (18) განსაზღვრული რისკის ფასი იქნება: $R_3 = 0,008 \times 61000 = 488$ \$.

ანალოგიურად შესრულდება რისკის ალბათური შეფასება ტვირთის გადაზიდვისას სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტზე. დავუშვათ, რომ სარკინიგზო და საზღვაო ტრანსპორტზე (ტრანსპორტირების შეუსრულებლობის ალბათობა ან არსებითი შეფერხება, მიწოდების ვადების დარღვევა) საგანგებო სიტუაციების წარმოქმნის ალბათობა შესაბამისად $P(S_r) = 0,006$; $P(S_s) = 0,005$. მაშინ, მიწოდების ვადებისა ან ტვირთის მიწოდების შეუსრულებლობის ერთობლივი რისკის სიდიდე შეიძლება განისაზღვროს ალბათობების შეკრების ფორმულით (19):

$$P_{\Sigma(S)} = 0,008 + 0,006 + 0,005 = 0,019$$

ქონების მინიმალური დანაკარგი (ტრანსპორტის, ტვირთი, დანახარჯები) შეადგენს 61000 \$, ხოლო მაქსიმალური დანაკარგი (საზღვაო გადაზიდვა) შეადგენს 200000 \$. დანაკარგების თანხა მაღალი ალბათობით შეიძლება განისაზღვროს ფორმულით (20): $W_m = 107333$ \$, ხოლო დისპერსია - ფორმულით (21): $\sigma^2 = 13833$ \$.

მოცემულ შემთხვევაში, მულტიმოდალური გადაზიდვის პროცესში საგანგებო სიტუაციით წარმოქმნილი რისკის ერთობლივი ფასი შეადგენს: $R = 0,019 \times 107333 = 2039$ \$.

რისკის დაშვებაზე გადაწყვეტილების მიღებისათვის (როცა ადამიანისათვის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის საფრთხე არ არსებობს) საჭიროა შედარებულ იქნეს გადაზიდვებზე მომსახურების რისკის ფასი მოსალოდნელ მოგებასთან. თუ მოსალოდნელი მოგების სიდიდე მეტია რისკის ფასზე, მაშინ ასეთი რისკი, კომერციული თვალსაზრისით, დასაშვებია. მაგალითად, განსახილველ შემთხვევაში, მოსალოდნელი მოგების თანხა შეადგენს 45000\$, რაც მნიშვნელოვნად აჭარბებს რისკის ფასს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. Вентцель Е.С. Теория вероятностей. М. Наука, 1973. 496 с.
2. Гмурман В.Е. Руководство к решению задач по теории вероятностей и математической статистике. М. Высш. шк. 1975. 333 с.
3. Мартынюк И.В. Снижение рисков чрезвычайных ситуаций техногенного характера - стратегическое научно-техническое направление на железнодорожном транспорте. Сб. докл. 8-й Всерос. науч.практ. конф. МЧС России. М. 2003. с. 63-82.
4. Фаустова О.Г. Методика оценки рисков возникновения чрезвычайных ситуаций в мультимодальных перевозках. Вестник АГТУ.Сер. Морская техника и технология. №16, 2014.
5. Абчук В.А. Теория риска в морской практике. Судостроение, 1983. 152 с.

Оценка рисков в мультимодальных перевозках

В. Харитонашвили, Д. Ашотиа

Резюме

Дана методика оценки рисков в мультимодальных перевозках при ожидаемом транспортном происшествии с учетом транспортного средства, груза, эксплуатационных затрат и стоимости внешних отрицательных эффектов (нанесенного ущерба другим участникам транспортного процесса и внешней среде). что в свою очередь обеспечит оценку на этапе проектирования логистической цепи поставок альтернативных вариантов по критерию риска и разработку мероприятий по снижению уровня риска.

Risk assessment in multimodal transport

V. Kharitonashvili, D. Ashotia

Abstract

The methodology of risk assessment in multimodal transport is given with the expected transport price taking into account the vehicle, cargo, operating costs and the cost of external negative effects (damage to other participants in the transport process and the external environment). That in turn will provide an assessment at the design stage of the supply chain of supply of alternative options for risk assessment and development of measures to reduce the level of risk.



უაკ 656.13

დამუხრუჭების პარამეტრების სიდიდის გავლენა ავტოტექნიკური
ექსპერტიზის დასკვნაზე

ვ. ხარიტონაშვილი, პ. ჭანია

(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, საქართველო, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №77)

რეზიუმე: ავტომობილის დამუხრუჭების პარამეტრების კვლევის შედეგად გამოვლენილი შეუსაბამობები მოწმობს ექსპერტიზის თეორიული საფუძვლების სრულყოფის აუცილებლობაზე, დასბუთებულია საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევაში მონაწილე მძღოლის მიერ საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევის თავიდან აცილების ტექნიკური შესაძლებლობის განსაზღვრა ავტომობილის ფაქტობრივი სიჩქარის გათვალისწინებით ფორმულით $V_{af} \leq (V_a - n)/1,1$, სადაც V_a არის საშტატო სპიდომეტრის სკალაზე ნაჩვენები სიჩქარე, ხოლო n - ავტომობილის კატეგორიის შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობა. ვიდეოჩანაწერისა და “იუზის” კვალის სიგრძის მიხედვით ავტომობილის მოძრაობის დასაშვები სიჩქარის განსაზღვრისას მიღებული რიცხვით მნიშვნელობას უნდა დაემატოს საშტატო სპიდომეტრის ჩვენებასა და ფაქტობრივ სიჩქარეს შორის სხვაობის სიდიდის მნიშვნელობა.

საკვანძო სიტყვები: საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევა, ავტომობილისი გაჩერების მანძილი.

შესავალი

როგორც წესი, საგზაო-სატრანსპორტო შემთხვევების (სსშ) კვლევისას ავტოტექნიკური ექსპერტიზის ობიექტურ დასკვნაზე არსებით გავლენას ახდენს

დამუხრუჭების ისეთი პარამეტრების განსაზღვრა, როგორცაა მოძრაობისათვის საფრთხის წარმოქმნის მომენტში ავტომობილის სიჩქარე. ავტომობილის შეჯახებამდე მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრისათვის იყენებენ მოწმეთა და მოცემულ სსშ-ში მონაწილეთა ჩვენებებს. მიღებული ჩვენებები ყოველთვის არ არის სარწმუნო და მათ გააჩნიათ დიდი გაბნევა, რადგან შეუძლებელია საკმარისი სიზუსტით განისაზღვროს მოძრაობის სიჩქარე ვიზუალურად ინდივიდუალური შეფასებით.

ამდენად, ავტომობილის დამუხრუჭების პარამეტრების სიდიდის დაზუსტება წარმოადგენს აქტუალურ საკითხს და გააჩნია არსებითი მნიშვნელობა საექსპერტო კვლევისათვის, რადგან ამ პარამეტრების განსაზღვრა საშუალებას იძლევა დადგინდეს სსშ-ის, როგორც მიზეზი, ისე ავტომობილის მძღოლის მიერ საგზაო მოძრაობის წესების შესაბამისი/შეუსაბამო მოქმედებების ალბათობის ხარისხი.

ძირითადი ნაწილი

საგზაო მოძრაობის წესების ნორმები მძღოლს ავალდებულებს მუდმივად აკონტროლოს ავტომობილის მოძრაობის სიჩქარე, ისე რომ დაცული იყოს მოძრაობის უსაფრთხოება [1].

მძღოლის მიერ ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის კონტროლი ხორციელდება სპიდომეტრით ვიზუალურად, ხოლო გაუმართავი სპიდომეტრით ავტომობილის ექსპლუატაცია აკრძალულია [2].

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაერო) ევროპის ეკონომიკური კომისიის (ეეკ) №39-ე წესების მიხედვით ავტომობილის სპიდომეტრის საშუალო ცდომილება შეიძლება იყოს მხოლოდ დადებითი და ფაქტობრივ სიჩქარეს უნდა აჭარბებდეს $10\%+6$ კმ/სთ. M და N კატეგორიის ავტომობილების მოძრაობის სიჩქარე სპიდომეტრის ჩვენებით არასოდეს არ უნდა იყოს ფაქტობრივ სიჩქარეზე ნაკლები. სპიდომეტრის სკალაზე ნაჩვენებ სიჩქარესა და ფაქტობრივ სიჩქარეს შორის დაცული უნდა იყოს თანაფარდობა (ცხრილში ფორმულა 1) [3].

ტრანსპორტი და მანქანათმშენებლობა №1 (41) 2018

ავტომობილის დამამზადებელი ეყრდნობა რა ეეკ-ის №39-ე წესებს, იგი ზრდის სპიდომეტრისა და ოდომეტრის ჩვენებას. ამით ის აგრეთვე ამცირებს ავტომობილის რეალურ საგარანტიო პერიოდს (მაგალითად, როცა დამამზადებელი ავტომობილის გარანტიას იძლევა 100,0 ათას კმ განარბენზე, გარანტიიდან ხსნის სპიდომეტრის ჩვენების მიხედვით არაუმეტეს 94,0 კმ განარბენზე).

ცხრილი

№	ფორმულა	აღნიშვნები
1	$0 \leq V_a - V_{af} \leq \frac{V_{af}}{10} + 6 = 0,1V_{af} + 6$ კმ/სთ.	V_a – ავტომობილის საშტატო სპიდომეტრის სკალაზე ნაჩვენების სიჩქარე; კმ/სთ; V_{af} – ფაქტობრივი სიჩქარე, კმ/სთ
2	$\Delta V = V_a - V_{af}$	
3	$S_{g(60)} = (t_r + t_d + 0,5t_{st})V_a + \frac{V_a^2}{2\varphi_x g} = 43,04$	t_r – მძღოლის რეაქციის დრო, წმ; t_d – მუხრუჭების ამძრავის აძვრის დაგვიანების დრო, წმ; t_{st} – ავტომობილის შენელების გაზრდის დრო, წმ; φ_x – თვლის გზასთან ჩაჭიდების გრძივი კოეფიციენტი; g – თავისუფალი ვარდნის აჩქარება, მ/წმ ²
4	$S_{g(54,55)} = (t_r + t_d + 0,5t_{st})V_{af} + \frac{V_{af}^2}{2\varphi_x g} = 37,32$	
5	$\Delta S = S_{g(60)} - S_{g(54,55)} = 5,72$	-
6	$V_a = 0,5jt_{st} + \sqrt{2jS_{ro}}$	j – ავტომობილის შენელება, მ/წმ ² $j = \varphi_x g$; S_{ro} – ავტომობილის თვლების ბლოკირებით გზის საფარზე დატოვებული იუზის კვალის სიგრძე, მ;

დავუშვათ, რომ საფრთხის წარმოქმნის მომენტში ავტომობილის მოძრაობის სიჩქარეა $V_a = 60$ კმ/სთ (16,67 მ/წმ). იმის გათვალისწინებით, რომ სპიდომეტრის ჩვენებას გააჩნია ცდომილება მეტობით, მაშინ საშტატო სპიდომეტრის ჩვენებით ავტომობილის მოძრაობის 60 კმ/სთ სიჩქარე V_a დამუხრუჭების მომენტში ფაქტობრივად არის ნაკლები $V_{af} \leq V_a$. იმის გათვალისწინებით, რომ სპიდომეტრის

ჩვენებს გააჩნია ცდომილება დაახლოებით 10-15%-ით, ავტომობილის მოძრაობის ფაქტობრივი სიჩქარე დამუხრუჭების მომენტში შეიძლება იყოს $V_{af} = 54,55$ კმ/სთ (15,15 მ/წმ). შესაბამისად, სიჩქარის განსაზღვრის ცდომილებამ შეიძლება შეადგინოს არა ნაკლებ 5,45 კმ/სთ (1,52 მ/წმ) (ფორმულა 2).

განვსაზღვროთ ავტომობილის გაჩერების მანძილები მოძრაობის სიჩქარეებზე $V_a = 60$ კმ/სთ და $V_{af} = 54,55$ კმ/სთ, $\varphi_x = 0,65$, მძღოლის რეაქციის დრო $t_r = 1$ წმ; სამუხრუჭო ამძრავის დაგვიანების დრო $t_d = 0,1$ წმ; ავტომობილის შენელების გაზრდის დრო მოცემულ საგზაო პირობებში $t_{st} = 0,35$ წმ, მაშინ მივიღებთ: $S_{g(60)} = 43,04$ მ (ფორმულა 3) [4]; $S_{g(54,55)} = 37,04$ მ (ფორმულა 4). აქედან გამომდინარეობს, რომ გაჩერების მანძილის ცდომილება შეადგენს 5,72 მ-ს (ფორმულა 5).

ექსპერტი თავის დასკვნებში მიიჩნევს, რომ $V_a = 60$ კმ/სთ მოძრაობის სიჩქარეზე გაჩერების მანძილი შეადგენს $S_{g(60)} = 43,04$ მ, მაშინ, როცა ფაქტობრივად არის 37,04 მ. ამდენად, საფრთხის წარმოქმნის მომენტში ავტომობილის მკვეთრი დამუხრუჭების დაწყების წინ ავტომობილის მოძრაობის ფაქტობრივი სიჩქარის დასადგენად საჭიროა საშტატო სპიდომეტრის ჩვენების შედარება ეტალონურ სპიდომეტრის ჩვენებასთან (რომლის ცდომილება არ უნდა აღემატებოდეს $\pm 0,5\%$) და განისაზღვროს კორექტირებული ფაქტობრივი სიჩქარე.

ანალოგიურ უზუსტობას აქვს ადგილი ავტომობილის მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრისას “იუზის” კვალის სიგრძისა (ფორმულა 6) და ვიდეოჩანაწერის მიხედვით მოძრაობის სიჩქარის განსაზღვრისას. ამ შემთხვევაში, ავტომობილის მოძრაობის სიჩქარე საშტატო სპიდომეტრზე იქნება ფაქტობრივ სიჩქარეზე მეტი ($V_a > V_{af}$).

ამრიგად, გაჩერების მანძილი უნდა განისაზღვროს ავტომობილის ფაქტობრივი სიჩქარის გათვალისწინებით ფორმულით $V_{af} \leq (V_a - n)/1,1$, სადაც V_a არის საშტატო სპიდომეტრის სკალაზე ნაჩვენები სიჩქარე, ხოლო ავტომობილის კატეგორიის შესაბამისი რიცხვითი მნიშვნელობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კანონი „საგზაო მოძრაობის შესახებ“. 1830-რს, 24/12/2013
2. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს საგზაო პოლიციის მიერ ავტოსატრანსპორტო საშუალებებზე ტექნიკური ზედამხედველობის განხორციელების წესები. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2000 წლის 18 აპრილის #142 ბრძანება. დანართი #1 „უწყესივრობათა და პირობების ნუსხა, რომელთა არსებობისას აკრძალულია სატრანსპორტო საშუაებათა ექსპლუატაცია.
3. ГОСТ Р 41.39-99. Единообразные предписания, касающиеся официального утверждения транспортных средств в отношении механизма для измерения скорости, включая его установку (Правила ЕЭК ООН N 39).
4. Иларионов В.А. Экспертиза дорожно-транспортных происшествий/В.А.Иларионов. М. Транспорт, 1989. 243 с.

**ВЛИЯНИЕ ТОЧНОСТИ ОЦЕНКИ ВЕЛИЧИН ПАРАМЕТРОВ
АВТОМОБИЛЯ НА ЗАКЛЮЧЕНИЙ ЭКСПЕРТА**

В. Харитонашвили, П. Чаниа

Резюме

Исследование основожного пути автомобиля при определении технической возможности предотвращения дорожно-транспортного происшествия показывает о необходимости совершенствования теоретических основ экспертизы, обосновано расчет основожного пути с учетом фактическую скорость автомобиля по формуле $V_{af} \leq (V_a - n)/1,1$, где V_a - скорость по шкале спидометра, а n -числовое значение, соответствующее категорию автомобиля. При определении допустимой скорости автомобиля по видеозаписи или по длине следа юза, полученное численное значения необходимо увеличить разницей между показаний штатного спидометра и фактической скорости автомобиля.

**EFFECT OF ACCURACY OF ESTIMATION OF VALUES OF PARAMETERS
VEHICLES ON THE EXPERT'S CONCLUSIONS**

V. Kharitonashvili, P. Chania

Abstract

The study of the vehicle's ostonochnogo in determining the technical feasibility of preventing road traffic prosveshestviya shows the need to improve the theoretical basis of the examination, justified the calculation of the otovochnoy path taking into account the actual speed of the car according to the formula $V_{af} \leq (V_a - n)/1,1$, where V_a - speed on the scale of the speedometer, a n -number value corresponding to the category of the car. When determining the permissible speed of a car from a video recording or along the length of the track of the user, the numerical value obtained must be increased by the difference between the indication of the nominal speedometer and the actual speed of the car.



უაკ 625; 30

ინვესტიციების გამოყენების ეფექტურობა და მისი პროგნოზირება
ი. ამანათაშვილი, ნ. ელაშვილი, მ. ამანათაშვილი
(საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი, 0175, საქართველო, თბილისი,
მ. კოსტავას ქ. №77)

რეზიუმე: სტატია ეხება ინვესტიციების ეკონომიკური ეფექტიანობის კვლევის საკითხს, ვინაიდან ხშირ შემთხვევაში, სწორედ ის არის ინვესტორების ამა თუ იმ საინვესტიციო პროექტით დაინტერესების საფუძველი. გარდა ამისა, ნაშრომში განხილულია ინვესტიციების ეფექტურობის შეფასების კრიტერიუმები და მათი შერჩევის ხერხები. კონკრეტული კომპანიის მაგალითზე გაანგარიშებული და შეფასებულია ინვესტიციების ეფექტურობის ისეთი ეკონომიკური მაჩვენებლები, როგორცაა რენტაბელობის შიდა ნორმა (IRR) და კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება (WACC). გაანალიზებულია მათ შორის არსებული კავშირები.

საკვანძო სიტყვები: ინვესტიცია, ეფექტურობა, რენტაბელობა, მათემატიკური მოდელირება.

შესავალი

იმ მრავალრიცხოვან პრობლემებს შორის, რომლებიც გავლენას ახდენენ ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის ზრდაზე, უმნიშვნელოვანესს წარმოადგენს საინვესტიციო პოლიტიკის სწორად განსაზღვრა და ისეთი სტრატეგიის შემუშავება, რომელიც უზრუნველყოფს ინვესტიციების მოცულობის და ეფექტიანობის განუხრელ ზრდას.

როგორც ცნობილია, კაპიტალის უმთავრესი მახასიათებელი თვისებაა მფლობელისათვის მოგების მოტანა, ხოლო მისი გრძელვადიანი დაბანდება, ანუ ინვესტირება, ამ საშუალების გამოყენების ერთ-ერთი ფორმაა.

საინვესტიციო პროექტები შეიძლება შეფასდეს მრავალი კრიტერიუმით - მათი სოციალური მნიშვნელობის თვალსაზრისით, გარემოზე ზემოქმედების მასშტაბებით, შრომითი რესურსების ჩართვის ხარისხით და ა.შ. თუმცა, ამ შეფასებებში ცენტრალური ადგილი უჭირავს საინვესტიციო პროექტების ეფექტურობას.

საინვესტიციო პროექტების ეფექტურობა წარმოადგენს კატეგორიას, რომელიც ასახავს პროექტის შესაბამისობას საინვესტიციო საქმიანობის სუბიექტების მიზნებისა და ინტერესებისადმი და მთლიანად საზოგადოების მიმართ. ამიტომ ტერმინი "საინვესტიციო პროექტის ეფექტურობა" აღიქმება, როგორც პროექტის ეფექტურობა. იგივე ეხება ეფექტურობის მახასიათებლებს.

ძირითადი ნაწილი

ინვესტირების ეკონომიკური ეფექტიანობის ანალიზი მეტად მნიშვნელოვანია, ვინაიდან სწორედ ის არის, ხშირ შემთხვევაში, ინვესტორების ამა თუ იმ საინვესტიციო პროექტით დაინტერესების საფუძველი. ამდენად, საინვესტიციო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის შეფასება თანამედროვე ეკონომიკის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს.

არსებობს რამოდენიმე წესი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ საინვესტიციო გადაწყვეტილების მიღების დროს. მაგალითად დისკონტირებული ფულადი ნაკადების კონცეფცია, რომელიც ჩვენ გვაძლევს საშუალებას მივიღოთ სწორი გადაწყვეტილება ინვესტირების შესახებ. ამ დამოკიდებულებას ასახავს განტოლება, რომელიც გვიჩვენებს კავშირს მომავალ ღირებულებას, მიმდინარე ღირებულებას, საპროცენტო განაკვეთს (დისკონტის განაკვეთს) და ამ განაკვეთის დარიცხვის პერიოდულობას შორის:

$$FV = PV (1+i)^n$$

ცხადია, თუ ვიცით ამ განტოლების სამი ცვლადის მნიშვნელობა, ჩვენ შეგვიძლია ვიპოვოთ მეოთხე ცვლადის მნიშვნელობაც. ინვესტირების შესახებ

გადაწყვეტილების მიღების დროს ყველაზე ზოგადი წესია წმინდა მიმდინარე ღირებულების გაანგარიშება(NPV). წმინდა მიმდინარე ღირებულების წესის თანახმად, ინვესტირება უნდა განვახორციელოთ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე ღირებულება მეტია თავდაპირველ ინვესტიციაზე. ინვესტირება უნდა განხორციელდეს, თუ წმინდა მიმდინარე ღირებულება დადებითია და არ განხორციელდეს, თუ ის უარყოფითი სიდიდეა.

იგივე შედეგს მივიღებთ, თუ გამოვიყენებთ მომავალი ღირებულების წესს, რომელიც გვეუბნება, რომ ინვესტირება უნდა მოვახდინოთ ისეთ პროექტში, რომლის მომავალი ღირებულება მეტია, ვიდრე მისი ალტერნატიული პროექტის ღირებულება.

